avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ოთარ აბესაძე

ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი ქეთევან მარშავა

უნივერსიტეტის
გამოცემლობა

თბილისი

2015

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. ევროინტეგრაცია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა 13

1.1 ევროინტეგრაციის არსი და მისი ძირითადი მიმართულებები 13

1.2 ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე 21

1.3 ევროპული ღირებულებებისაკენ სწრაფვის ისტორიული ასპექტები 36

თავი II. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური შესწავლის მეთოდები და აღრიცხვის ძირითადი პრობლემები 43

2.1 საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური პრინციპები 43

2.2 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი მეთოდები 50

2.3 საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები 65

თავი III. საქართველოს ევროპის ბაზარზე ინტეგრაციის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება 77

3.1 ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი 77

3.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები 101

3.3 საქართველოს საგარეო ვალის სტატისტიკური ანალიზი 112

3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში 122

3.5 ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზების გაანგარიშება 136

3.6 „ევროპული კონვერგენტული“ კრიტერიუმები და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მოსალოდნელი ტენდენციები 159

დასკვნა 171

გამოყენებული ლიტარატურა 181

დანართები 191

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანარჩენ მსოფლიოსთან მის კავშირურთიერთობებზე, რადგან მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ფონზე გაიზარდა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეების ერთმანეთზე გავლენის ხარისხი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სტატისტიკური მეთოდებით ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესწავლა, ამის საფუძველზე კი პროგნოზების გაანგარიშება. უდავოდ დიდია ამ მეთოდების მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის შეფასებისათვის, მით უფრო თანამედროვე პირობებში ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ფორმირების პროცესში, როდესაც მოვლენათა ანალიზის დროს გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდები. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან დღეს, ეკონომიკური მოვლენების მეცნიერული კვლევა და მის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება წარმოუდგენელია მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების გამოყენების გარეშე. მათი გამოყენების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც საქმე ეხება საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის შეფასებას, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებელთა ანალიზსა და დინამიკაში მისი საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებას.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების თანამედროვე დონისა და მასშტაბების პირობებში, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების სტრატეგიის არჩევისას ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორი სტატისტიკური შეფასებებია. შესაბამისი ინფორმაციის არარსებობა ნიშნავს უცვლელი გარემოს მოლოდინს, ან მოლოდინს იმისას, რომ მოვლენათა განვითარების შემდეგ ჯერ კიდევ იქნება საკმარისი დრო მოქმედებისათვის. ცხადია, მომავლის პერსპექტივების განსაზღვრა შეუძლებელი იქნება, თუ მიმდინარე პერიოდისათვის არ იქნება მოვლენების განვითარების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაცია და მათი შესაბამისი ანალიზი. სწორედ, აქ ვლინდება სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობის მნიშვნელობა. ამასთან, ინტეგრაციული პროცესების ცვლილებებისადმი სწორი მოლოდინი საჭირო რესურსების გამოძებნისა და ადეკვატური რეგულაციების საშუალებას იძლევა. საგარეო ვაჭრობის საკითხებისადმი ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ გამოიწვია

განსაკუთრებული ინტერესი სტატისტიკური მეთოდებით საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი. ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციული პროცესების მასშტაბებმა და ევროპული ღირებულებებისადმი ლტოლვამ, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცვლილებებმა, ეკონომიკური განვითარების ტემპებმა და გამოვლენილმა ტენდენციებმა მოითხოვა საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად ევროინტეგრაციული პროცესების ამსახველი სტატისტიკის თეორიული საკითხების ახლებურად გააზრება და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე პრაქტიკასთან თავსებადი, სტატისტიკის სფეროში მსოფლიოში აპრობირებული მეცნიერულად დასაბუთებული, მეთოდოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება.

დღეს, როდესაც საქართველოს საგარეო ინტერესებში მოწინავე ევროპული ფასეულობებისა და გამოცდილების გაზიარება შედის, განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული სტატისტიკის „მოდერნიზების“ საკითხი, რომლის თანმდევი პროცესია „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმ ძირითადი პარამეტრების იმპლემენტაცია, რომელსაც მიეკუთვნება: ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარება დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით. ეს ობიექტურად გარდაუვალი და შეუქცევადი პროცესია, რადგან მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროში თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევების ჩასატარებლად, არგუმენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოსატანად წინა პლანზე წამოიწია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების ამსახველი „ხარისხიანი” ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არსებობამ. ეს საკითხი აქტუალურია განსაკუთრებით დღეს, რადგან უკვე გარდაუვალია ამ მიმართულებით არსებული სტატისტიკის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. ეს კი პირდაპირ მოითხოვს ევროინტეგრაციული პროცესების ადეკვატური სანდო სტატისტიკის არსებობას, რადგან ქვეყნის სწორი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭიროა სხვა ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სფეროში არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემების

გამოკვეთა, მათი სტატისტიკური შესწავლა და შეფასება დროული, აუცილებელი და მეტად აქტუალური პრობლემაა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას უდიდესი, შეიძლება ითქვას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია საქართველის ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდასა და უცხოური ინვესტიციების წახალისებას, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების შედეგად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ქართული ექსპორტის ზრდას, ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. ყოველივე ამის პარალელურად აუცილებელია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამთავრობო და კერძო სექტორების ინფორმირება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, სამეწარმეო გარემოსა და საქართველოში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებზე. სისტემატურად უნდა მოხდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წარმატებით განხორციელებული რეფორმების წარმოჩენა. საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების გარანტი შეიძლება გახდეს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკური რეფორმების შესახებ პარტნიორ ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარება და ამის ბაზაზე ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნეს-წრეებს შორის გამოცდილების გაზიარება. ცხადია, აუცილებელია ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული განზომილების გაძლიერებაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროინტეგრაციული პროცესებისა და მის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გავლენის შეფასებას, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, საგარეო სექტორის შესახებ დროული და საიმედო სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა პროცესების მრავალმხრივი ანალიზისათვის, როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს, თანამედროვე

ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ამის საფუძველზე რეალური ტენდენციების გამოვლენა და ძირითადი კანონზომიერების დადგენა. ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მზარდი ინტერესი შედეგია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმებისა, რომლის მოთხოვნებიც ეტაპობრივად რეალიზდება საქართველოში, რაც შეუქცევადი პროცესია და თავის მხრივ ასოცირების ხელშეკრულების მთავარი და განუყოფელი ნაწილია. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე პირველ რიგში ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებთან აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას, ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტის სტიმულირების გაზრდის ხელშეწყობით.

ევროპასთან ეკონომიკური ინეგრაციის ინტენსიურად მზარდი და ღრმა პროცესების ფონზე სულ უფრო იზრდება სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების რეალური ასახვისა და ტენდენციების გამოვლენისათვის. ეს კი თავისთავად ოფიციალური სტატისტიკის განვითარებას, სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას მოითხოვს.

დღეს, საქართველოს ევროპასთან მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე, თვალსაჩინო ხდება სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადისერტაციო თემის აქტუალობა უდავოა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი და მისი ძირითადი პარამეტრების გრძელვადიანი პროგნოზირება, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების აღრიცხვის პრობლემების გამოვლენა და მისი სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრა. დეტალურად მიზნის იდენტიფიკაცია გულისხმობს:

- ევროინტეგრაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
- საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ეტაპების დახასიათებას;
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების დახასიათებას;

- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პრობლემის გამოკვეთასა და გამომწვევი მიზეზების დადგენას;
- ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურისა და გეოგრაფიული მიმართულებების განსაზღვრას;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკურ ანალიზს;
- საგარეო ვალის სტატისტიკურ ანალიზს;
- ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას;
- ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზების გაანგარიშებას;
- ევროკავშირში გაერთიანების მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ევროინტეგრაციის არსისა და ევროკავშირის შექმნის ისტორიული ასპექტების განხილვა;
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში უშუალოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული ამოცანების გამოყოფა და მათი დეტალური დახასიათება;
- საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სისტემის დახასიათება, ძირითადი განსხვავებებისა და მსგავსების დადგენა;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი;
- საგარეო ვალის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება;
- ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის რაოდენობრივი მახასიათებლების გაანგარიშება დინამიკაში და მათი ანალიზი;
- საგარეო ვაჭრობის დროითი მწკრივების მაჩვენებლების მოსწორება და პროგნოზების გაანგარიშება;
- საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ევროპის ბაზარზე შეღწევის სტატისტიკური ანალიზი;
- საგარეო ვაჭრობის დროითი მწკრივების მოსწორება და პროგნოზების

გაანგარიშება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდითა და კომპიუტერული პროგრამა Eview-6-ის გამოყენებით;

- ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის – მშპ-ს მიხედვით ევროკავშირის ქვეყნების რეიტინგული კლასიფიკაციის გაანალიზება და საქართველოში გამოვლენილი ტენდენციების გრძელვადიანი პროგნოზირება

კვლევის საგანი და ობიექტი. წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის რაოდენობრივი მახასიათებლები, ხოლო კვლევის ობიექტია ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ტენდენციები 2008-2014 წლებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტების შრომები აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით. მათ შორის აღსანიშნავია ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ს. გელაშვილი, ბ. გაბიძაშვილი, ქ. მარშავა, ი. მესხია, გ. ღაღანიძე, თ.შენგელია, ლ. ყორღანაშვილი, მ. ხმალაძე, ნ. ასლამაზიშვილი, ლ. ძებისაური, გ. თოდრაძე, რ. ფუტკარაძე, ნ. ფარესაშვილი, თ. ბერუჩაშვილი, თ. ყანდაშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. პაპაჩაშვილი, ი. გოგორიშვილი, და სხვები. ნაშრომში გამოყენებულია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მრავალი ქართული და უცხოური ლიტერატურა, ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიური ხასიათის რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები, ემპირიული სტატისტიკური მონაცემები, ინტერნეტ რესურსებიდან მოძიებული მასალები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის, საგარეო ვალისა და ინვესტიციების სტატისტიკის წარმოების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო "საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა" (ნიუ იორკი, 2004 წ.) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უახლესი რეკომენდაციები „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები" (ნიუ იორკი, 2011 წ.). ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოები "საგარეო ვალის სტატისტიკა" (ვაშინგტონი, 2013 წ.) და „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია" (ვაშინგტონი, 2008 წ).

კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური მეთოდების მძლავრი აპარატი, რომელიც კლასიფიცირდება კერძო და სპეციფიკურ მეთოდებად. ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, დიალექტიკის მეთოდების პარალელურად ინტენსიურად გამოიყენება სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ნაშრომში სტატისტიკური ემპირიული მასალის ანალიზისა და გაანგარიშებული სხვადასხვა შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციული მაჩვენებლების თვალსაჩინო წარმოდგენისათვის გამოყენებულია გრაფიკული გამოსახვის მეთოდები. საგარეო ვაჭრობის დროითი მწკრივების დონეების მოსწორებისათვის და შემდგომ პროგნოზირებისათვის გამოყენებულია ტრენდის გამოვლენის სტატისტიკური და მათემატიკური ხერხები. საგარეო ვაჭრობის სფეროში მიმდინარე პროცესების დინამიკაში შესწავლის სრულყოფის მიზნით, გაანალიზებულ იქნა საინდექსო მეთოდის გამოყენების თავისებურებანი, ექსპორტ-იმპორტის ფასების ინდექსის აგების მეთოდოლოგია, რაც მთლიანობაში აყალიბებს ევროინტეგრაციული პროცესების სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომი წარმოადგენს ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური კუთხით ქართულ ენაზე შესრულებულ ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა გარკვეული მეცნიერული სიახლეები, კერძოდ:

- ემპირიული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის მახასიათებელი უახლესი ტენდენციები, დადგენილია და გამოვლენილია ამ ურთიერთობათა განვითარების ძირითადი კანონზომიერებები და პრიორიტეტული მიმართულებები;
- გამოკვეთილია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არსებული პრობლემები და მოცემულია ამ პრობლემების დაძლევის კონკრეტული ღონისძიებები;
- გაანგარიშებულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხის მოდიფიცირებული მაჩვენებელი;
- გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისად, გაანგარიშებულია ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის, იმპორტის, საექსპორტო და საიმპორტო ნაკადებში ევროკავშირის წილის გრძელვადიანი პროგნოზები 2015-2024 წლებისათვის. ტეილის ფორმულის საფუძველზე განსაზღვრულია მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების ვერიფიკაციის ხარისხი;

- გაკეთებულია ევროკავშირის ქვეყნების რეიტინგული კლასიფიკაცია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის, მშპ-ს მიხედვით და გაანგარიშებულია გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისი გრძელვადიანი პროგნოზები.
- განსაზღვრულია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მოსალოდნელი ეკონომიკური ტენდენციები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული დებულებები ემყარება არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში მიმდინარე პროცესებს, არამედ განიხილება ადეკვატურ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ინფორმაციული ბაზის სრულყოფის ღონისძიებები და პერსპექტივაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) მათი განხილვის, დანერგვისა და შეფასების საკითხები, რაც სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომში დამუშავებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნიათ, რადგან ისინი წარმოადგენენ პრაქტიკული თვალსაზრისით სავსებით რეალიზებადს და შესაძლებელია მათი განხორციელება საქსტატის შესაბამის ექსპერტებთან და ეკონომისტებთან ერთად ერთობლივი განხილვის საფუძველზე. რეკომენდაციების რეალიზაცია აამაღლებს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხს და განაპირობებს მონაცემთა შესადარისობას საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საგარეო ვაჭრობის სფეროში შემუშავებული და ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება საქსტატის ინფორმაციული ბაზის სრულყოფას შეუწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში სტატისტიკის მოდერნიზებას განაპირობებს. ამის მისაღწევად აუცილებელია განხორციელდეს საბაჟო დეკლარაციების სრულფასოვანი შევსება, კერძოდ: ქვეყნების, 11-ნიშნა დონეზე საქონლის კოდების, ღირებულების მითითებით, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის სრულყოფილად დაფიქსირებით, აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეცდანიშნულების ტვირთისა და დიპლომატიური ტვირთების ზუსტად აღრიცხვის უზრუნველყოფა, საჭიროა სრულყოფილ იქნეს შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზები, საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების სრულად დანერგვის

მიზნით მოხდეს ბიზნეს რეგისტრისა და საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების შედარება და ურთიერთდაკავშირება, სრულყოფილ იქნას ექსპორტ-იმპორტის ფასების ინფორმაციული ბაზა, განხორციელდეს ექვსნიშნა დონეზე პროდუქციის მიხედვით ინდექსების გაანგარიშება, რაც კლასიფიკატორების შესაბამისი დეტალური კონვერტორის (HS-NACE) არსებობას მოითხოვს, მიზანშეწონილია ქართულ ენაზე შემუშავდეს კლასიფიკატორები.

ნაშრომში მიღებული შედეგები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციების კურსის – სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში - შესწავლაში და ასევე იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას ზრდის ვიზუალური ეფექტიც, რაც უკავშირდება ჩატარებული კვლევის შედეგების თვალსაჩინოდ წარმოდგენის ფორმას მრავალი ცხრილისა და დიაგრამის სახით.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები მოხსენდა 4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას და გამოქვეყნდა სხვადასხვა პუბლიკაციებში. კერძოდ, სამ რეცენზირებად ჟურნალში და საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულში.

1. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area. Economics and Management: Challenges and Perspectives: Collection of scientific articles. - "East West" Association For Advanced Studies and Higher Education GmbH, Vienna, Austria, 2015;

2. საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები და მათი სრულყოფის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა." № 1-2 თბ., 2015;

3. ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების პროგნოზირება. ჟურნალი, „ეკონომისტი."№1 თბ., 2015;

4. ევროპის ბაზარზე საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. ჟურნალი, „ახალი ეკონომისტი"№1 თბ., 2015;

5. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტატისტიკური მახასიათებლები. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები თბ., 2014;

6. The main trends of transformation of foreign trade in Georgia. Collection of scientific articles of International Scientific –Practical Conference “Business Administration and Corporate Social Responsibility” Baky. Azerbaijan. Azerbaijan State Economic University. 2014;

7. საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკა” სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2014.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის რეკომენდაციები მოწონებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ. ნაშრომი აპრობირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, სადაც იგი მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, თორმეტი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ის, სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 190 გვერდს. წარმოდგენილია 30 ცხრილი, 49 გრაფიკული გამოსახულება. ნაშრომს თან ახლავს დანართები და გამოყენებული ლიტერატურის სია 155 დასახელებით.

თავი I. ევროინტეგრაცია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

1.1 ევროინტეგრაციის არსი და მისი ძირითადი მიმართულებები

დღეს, ევროკავშირი დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში, რადგან მიღწეული შედეგების თვალსაზრისით ის წარმოადგენს ისეთ ინტეგრაციულ ორგანიზაციას, რომლის სრულფასოვანი ანალოგი მსოფლიოში არ შექმნილა.

ევროპის კავშირი შემოკლებით ევროკავშირი, ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. ამჟამად მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 4,324 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა – 501 მლნ. კაცს აჭარბებს.

მართალია გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას ევროპის ტერიტორიაზე, ევროკავშირის მასშტაბების შესადარი ერთიანი სახელმწიფო გაერთიანებები არსებობდა დასავლეთ რომის იმპერიის, ფრანკების სახელმწიფოსა და საღვთო რომის იმპერიის სახით. შემდეგ ამერიკული რევოლუციის შემდეგ გაჩნდა იდეა ევროპის შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მარტო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ქვეყნების უმრავლესობას მილიონობით ადამიანის მსხვერპლი, დანგრეული ქალაქები, დაშლილი ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები მოუტანა. ევროპის სახელმწიფოებში თანდათან გაჩნდა იდეა ევროპის გაერთინებისა და ერთმანეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა, რასაც მოჰყვებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უსაფრთხოება.

ევროპული გაერთიანება ბევრი ევროპელი მწერლის, ფილოსოფოსისა და მოაზროვნის წარმოსახვაში არსებობდა. 1795 წელს, გერმანელმა ფილოსოფოსმა, ემანუელ კანტმა, თავის ესეში „სამოთხისეული მშვიდობისაკენ“ მიუთითა ევროპის ქვეყნების ფედერაციაზე, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა მშვიდობის უზრუნველყოფა. კანტის მიზანი იყო ევროპის ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარება, ამიტომაც წამოაყენა წინადადება ნებაყოფლობითი ფედერაციის

შესახებ. 1849 წელს, ფრანგი მწერალი, ვიქტორ ჰიუგო, წერდა: „დადგება დღე, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, საკუთარი ინდივიდუალურობის დათმობის გარეშე, მჭიდრო გაერთიანებად შეიკვრება და დიდ ევროპულ ძმობას დაუდებს საფუძველს. დადგება დღე, როდესაც აღარ იარსებებს საბრძოლო ველი, გარდა ბაზრისა (რომელიც იხსნება ვაჭრობისათვის) და სულიერებისა (რომელიც იხსნება იდეებისათვის). დადგება დღე, როდესაც ტყვიებსა და ბომბებს შეცვლის ხმის მისაცემად გამზადებული ბიულეტინის ქაღალდები." 1925 წელს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, არისტიდ ბრიანდმა, იტალიის ზღვისპირა პატარა ქალაქ ლოკარნოს სამშვიდობო პაქტის დადებისას თქვა: „აქ, ლოკარნოში ჩვენ ვსაუბრობთ ევროპულად, ეს არის ახალი ენა, რომელსაც სწავლა სჭირდება.[1]

დიდი ბრიტანეთის ლიდერი უ. ჩერჩილი წინასწარმეტყველებდა „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნას, როდესაც გამოთქვა მოსაზრება გაერთიანებული და დემოკრატიული „დიდი ევროპის" შექმნის შესახებ.

შემდგომში ფრანგმა ჟან მონემ, რომელიც ფიქრობდა, რომ რკინა და ქვანახშირი იყო აუცილებელი ყველა ქვეყნისათვის უსაფრთხოების გაძლიერებისათვის, წამოაყენა წინადადება დაინტერესებული ქვეყნების მიერ ფოლადისა და ქვანახშირის ერთობლივად წარმოების შესახებ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის (1948-1952წ.წ. შემდგომში უკვე ევროპარლამენტის პრეზიდენტი 1958-1960 წ.წ) ინიციატივით განხორციელდა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების შეთანხმება ფოლადისა და ქვანახშირის წარმოების გაერთიანების შესახებ. ამიტომ, ევროპული გაერთიანების პირველ დამფუძნებელ დოკუმენტად იქცა პარიზის 1951 წლის ხელშეკრულება ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დაფუძნების შესახებ. ამ გაერთიანების მიზანი იყო თავისი საქმიანობა განეხორციელებინა ვიწრო სპეციალურ დარგებში – ქვანახშირმომპოვებელ და ფოლადსასხმელ მრეწველობაში, შედეგად ამ დარგებში იქმნებოდა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რომელსაც „ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზარი" ეწოდებოდა. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა წევრი სახელმწიფოების მიერ და 1952 წლის 10 აგვისტოს უმაღლესმა ორგანომ ჟან მონეს ხელმღვანელობით ბინა დაიდო ლუქსემბურგში. მართალია პარიზის

[1] ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები. კახა გოგოლაშვილ სერგი კაპანაძის რედ. თბ., 2006. გვ. 11.

ხელშეკრულების შემდეგ იყო მცდელობა, რომ ამ გაერთიანების პრინციპები სამხედრო და ზოგად პოლიტიკურ სფეროებშიც გადაეტანათ, მაგრამ ეს მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა და მათი გამოყენება მხოლოდ ეკონომიკურ სფეროზე გავრცელდა.

ზემოთაღნიშნული ამ ევროპული გაერთიანებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1957 წელი, როდესაც პარიზის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, შეექმნათ კიდევ ერთი დარგობრივი ორგანიზაცია – ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება (ევრატომი), მშვიდობიანი მიზნებისთვის ატომური ენერგიის ერთობლივად ათვისების მიზნით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება ურთიერთშორის შეექმნათ სრულფასოვანი „საერთო ბაზარი". ამ გადაწყვეტილების ლოგიკური გაგრძელება იყო აღნიშნულ ექვს წევრ სახელმწიფოს შორის 1957 წელს რომის ორი ხელშეკრულების გაფორმება: პირველი ეს არის ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ და მეორე, ხელშეკრულება ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების დაფუძნების შესახებ.[2] სწორედ, რომის ხელშეკრულებები იქცა იმ მნიშვნელოვან წყაროებად, რომელთა საფუძველზეც განვითარდა შემდგომში ევროპული ინტეგრაცია. ის შეიქმნა საერთო ბაზრის ფორმირებისათვის. მათი ძალაში შესვლის პარალელურად, გაჩნდა ტერმინი „ევროპის გაერთიანებები" (ან „გაერთიანებები"). იგი აღნიშნავდა ინტეგრაციული ტიპის სამ ერთგვაროვან ორგანიზაციას, ერთ გაერთიანებაში, რომელსაც 1979 წელს ევროპული გაერთიანება, ხოლო 1992 წლიდან კი - ევროკავშირი ეწოდება.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნამ განსაზღვრა ინტეგრაციის სტრატეგია. შემოღებულ იქნა ერთიანი პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროებში შესაძლებელი გახდა სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება. 1968 წლის 1 ივლისს კი მთლიანად გაუქმდა დამფუძნებელ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადი.

ზემოთ აღნიშნული სამი ევროპული გაერთიანების მიზნების ერთიანობიდან გამომდინარე განხორციელდა მათი ერთიან ინტეგრაციულ ორგანიზაციად გარდაქმნა და 1967 წლიდან შეიქმნა: ევროპის გაერთიანებების საბჭო, ევროპის გაერთიანებების ასამბლეა, ევროპის გაერთიანებების კომისია და ევროპის გაერთიანებების სასამართლო.

---

[2] Хартли Т.К- Основы права Европейского сообщества,Москва=Будапешт, 1998, стр.3.

1960-იანი წლების ბოლოს ევროპის გაერთიანებების წევრი სახელმწიფოები შეეცადნენ გადასულიყვნენ ერთიან „ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე“, რაც გულისხმობდა მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციასა და 1980 წლისათვის თვით ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღებას. მაგრამ იმ დროისათვის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა წევრ სახელმწიფოებს არ გამოუვიდათ. ამის მიზეზი გახდა 1970-იანი წლების მსოფლიო ენერგეტიკული და სავალუტო-ეკონომიკური კრიზისი, როდესაც აშკარა იყო აშშ-ის დოლარზე დამყარებული ბრეტონ ვუდსის მსოფლიო სავალუტო სისტემის წინააღმდეგობები, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სავალუტო სტაბილურობის დაცვა.[3] 1969 წელს ჰაგაში გამართულ ევროპის ქვეყნების თანამეგობრობის სამიტზე არჩეულ იქნა 1980 წლისათვის სავალუტო კავშირის რეალურად ამუშავების გეგმის შემმუშავებელი კომისია ლუქსემბურგის თავმჯდომარეობით. ვერნერის გეგმა ითვალისწინებდა სავალუტო კავშირის შექმნას 10 წლის განმავლობაში, რომელიც მიღებულ იქნა 1971 წლის 22 მარტს. თუმცა, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

ერთიანი სავალუტო კავშირის შექმნის შემდეგ მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება გერმანიის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც 1979 წელს ჩამოყალიბდა ევროპის სავალუტო სისტემა, რომელშიც გაერთიანდა 8 ქვეყანა: გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, იტალია, ირლანდია და დანია. მათი კოლექტიური ვალუტა იყო „საკალათო ვალუტა“ –ეკიუ როგორც მომავალი „ევროს“ წინასახე. ეკიუ -ს საფუძველზე, ფუნქციონირება დაიწყო სავალუტო (გაცვლითი) კურსების მექანიზმმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფულადი ბაზრის სტაბილიზაცია და მდგრადობა. ეკიუ შედგებოდა კავშირში შემავალი ქვეყნების ეროვნული ვალუტებისაგან, თუმცა მასში შემადგენლობითი წილი განისაზღვრებოდა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერით და ურთიერთვაჭრობის მოცულობით. კვოტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 32,7%-გერმანული მარკა, 20,8%-ფრანგული ფრანკი, 11,2%-ინგლისური ფუნტი,10,2%-ჰოლანდიური გულდენი, 7,2%-იტალიური ლირა, 8,7%-ბელგიური და ლუქსემბურგული ფრანკი, 4,2%-ესპანური პესეტა, 2,7%-დანიური კრონა, 1,1%-იტლანდიური ფუნტი, 0,7%-პორტუგალიური ესკუდო და 0,5%-ბერძნული

[3] ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები:პრობლემები და პერსპექტივები.თბ., 2010, გვ.25.

დრამი. მოქმედი მექანიზმი ევროპული საბჭოს ქვეყნების გაცვლითი კურსის ცვლილებას ზღუდავდა 2,25 –დან არაუმეტეს 15%-მდე. ეკიუ წარმოადგენდა ევროპის ეროვნულ ვალუტებზე დამყარებულ გადახდის ხელოვნურ საშუალებას, რომლის ღირებულება გაიანგარიშებოდა ე.წ. სავალუტო კალათის საფუძველზე.[4]

ევროს მიმოქცევაში გაშვება ეტაპობრივად განხორციელდა. უნაღდო ანგარიშსწორებით ის 1999 წლის 1 იანვრიდან არსებობს. იმავე წელს ევროპის სავალუტო სისტემის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნაღდი ევროს ბანკნოტების ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ და დაიწყო მისი ბეჭდვა. ევრო ნაღდი ფულის სახით მიმოქცევაში 2002 წლის 1 იანვრიდან შემოვიდა. ერთიანი ვალუტის შემოღება უდავოდ უპრეცენდენტო ფაქტი იყო, რადგან ასეთ მიზანს დროის მოკლე პერიოდში ვერც ერთმა ინტეგრაციულმა დაჯგუფებამ ვერ მიაღწია.

70-იან წლების დასაწყისიდან გააქტიურდა ქმედებები ეკონომიკურ, საგარეო-პოლიტიკურ და სამართალდამცავ სფეროებში წევრი სახელმწიფოების ყველა პროექტის ერთ მთლიან კონსტრუქციაში გაერთიანების მიმართულებით „ევროპის კავშირის“ სახელწოდებით. ამის ლოგიკური დასასრული იყო 1992 წელს ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების დადება, რომელსაც წინ უძღოდა „1986 წლის ერთიანი ევროპული აქტის” ხელმოწერა.

გაერთიანებების წევრი სახელმწიფოების 1989-1991 წლებში გამართული ორი სამთავრობათშორისო კონფერენციის მუშაობის შედეგი იყო 1992 წლის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (მაასტრიხტის ხელშეკრულება). პირველი კონფერენცია მიეძღვნა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის იურიდიული საფუძვლების მომზადებას, ხოლო მეორე, პოლიტიკური საკითხების განხილვას. ევროპული გაერთიანების წევრი ქვეყნების მიერ 1991 წლის დეკემბერში მაასტრიხტის ევროპული საბჭოს სხდომაზე გადაწყდა კავშირის გაძლიერება და 1992 წლის 7 თებერვალს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. ამ ხელშეკრულებით ახალი ეტაპი დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესში, რომლის დაგვირგვინებაც ერთიანი სავალუტო სივრცის ჩამოყალიბება იყო. მაასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებში იქნა განსაზღვრული ევროპის კავშირის შიდა

[4]ფუტკარაძე რ .საქართველო-ევროკავშირს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2010, გვ.26.

მოწყობა, რომელსაც ხშირად სამი „საყრდენის“ სტრუქტურას უწოდებდნენ და რომელიც კარგა ხნის მანძილზე (ფაქტიურად, ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრამდე) ევროპის კავშირის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა.[5] 2001 წლის 26 თებერვალს ხელი მოეწერა ნიცის ხელშეკრულებას, რომლის მთავარი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მიღება. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავშირის გაფართოებისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადებისათვის.

2003 წელს ხელი მოეწერა "მიერთების შეთანხმებას," რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ამ შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში. ეს იყო მცდელობა კონსტიტუციის სრულყოფის მიმართულებით. აღნიშნულმა საქმიანობებმა გამოიღო შედეგი და 2004 წლის 29 ოქტომბერს, რომში, 25 წევრი ქვეყნის მიერ ხელი მოეწერა ევროპის კონსტიტუციას. ევროპის კონსტიტუცია ეს არის საერთო ფასეულობების მიმართ პატივისცემის გარანტია, რომელიც მოიცავს ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვას.

2007 წლის 21-22 ივნისს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ განხორციელებულიყო კონსტიტუციური რეფორმა, „ძველი“ ევროპის კავშირის დამფუძნებელი დოკუმენტების (ე.ი. ევროპის კავშირის შესახებ 1992 წლის ხელშეკრულების და ევროპის გაერთიანებისა და ევროატომის დამფუძნებელი 1957 წლის ხელშეკრულებების) მოდერნიზაციის გზით. 2007 წლის 13 დეკემბერს, ეს დოკუმენტი ოფიციალურად იქნა ხელმოწერილი ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების ყველა, ოცდასამივე ოფიციალურ ენაზე, რომლებიც თანაბრად ავთენტურნი არიან. მისი სრული სახელწოდებაა: „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე“, მოკლედ კი – *„ლისაბონის ხელშეკრულება“*, რომელიც ძალაში 2009 წლის 1 დეკემბრიდან შევიდა. არაოფიციალურად მას ხშირად უწოდებენ *„ხელშეკრულებას რეფორმის*

[5] პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. საბაზისო აქტები და კომენტარები. თბი., 2013, გვ.16.

შესახებ". ლისაბონის ხელშეკრულებამ „ახალი", „განახლებული" ევროპის კავშირს დაუდო საფუძველი.

ევროკავშირის შექმნის პირველივე დღეებიდან ნავარაუდევი იყო, რომ ევროგაერთიანებას თანდათანობით შეუერთდებოდა ევროპის დანარჩენი ქვეყნებიც. რომის ხელშეკრულების 23-ე მუხლში ნათქვამია: "ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გამოთქვას გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი".[6] მაგრამ კავშირში გასაწევრიანებლად მარტო სურვილი არაა საკმარისი. კავშირში გასაწევრიანებლად საჭიროა, რომ სახელმწიფომ დააკმაყოფილოს ევროკავშირის წესდებით გათვალისწინებული კრიტერიუმები. კერძოდ: პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმები და ქვეყნის მოსახლეობა თანახმა უნდა იყოს გაწევრიანებაზე. პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით, წევრობაზე განმცხადებელი ქვეყანა აუცილებლად უნდა იყოს დემოკრატიული მმართველობის ფორმის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება კარგად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან, პარლამენტის საქმიანობა უნდა იყოს გამჭირვალე, სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ქვეყანაში კარგად უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებები. რაც შეეხება ეკონომიკურ კრიტერიუმებს, ქვეყანას, რომელსაც სურს გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, უნდა ქონდეს საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა, რათა დააკმაყოფილოს წევრობით გათვალისწინებული მოვალეობები. კანდიდატ ქვეყანაში უნდა შეინიშნებოდეს ეკონომიკური ზრდა და წევრმა ქვეყანამ უნდა შეძლოს ეფექტური კონკურენციის გაწევა ბაზარზე. ამასთან გაფართოების მეხუთე ტალღამ, შემოიღო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების გარდა კიდევ 2 კრიტერიუმი: პირველი, ქვეყნის უნარი შეასრულოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებები და მეორე, შეძლოს ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირება ევროკავშირის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან.

დაარსებიდან მოყოლებული დღემდე ევროპის შვიდი გაფართოება დაფიქსირდა: პირველი გაფართოება იყო 1973 წელს, როდესაც ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის წარმატებამ სტიმული მისცა დანიას, ირლანდიას და გაერთიანებულ სამეფოს, რათა გაწევრიანებულიყვნენ ევროპულ თანამეგობრობაში. მათი მიღება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იხილებოდა. საკმარისია

---

[6] პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები - საბაზისო აქტები და კომენტარები. თბ., 2013, გვ.16.

აღინიშნოს, რომ საფრანგეთმა, პრეზიდენტ დე გოლის მეთაურობით, ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება (1961 წელს და 1967 წელს). თუმცა, საკითხი ბოლოს დადებითად გადაწყდა და გაერთიანების წევრი ქვეყნების რიცხვი ექვსიდან ცხრამდე გაზარდა. კავშირის გაფართოებას მოჰყვა მოვალეობების გაღრმავებაც: სოციალურ, რეგიონულ და გარემოს დაცვის საკითხებში.

გაფართოების ახალი ტალღა უკავშირდება 1981 წელს საბერძნეთის, ხოლო 1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის შეერთებას. ამ პერიოდს უკავშირდება ევროპული თანამეგობრობის როლის ამაღლება საერთაშორისო არენაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1975-1989 წლებში ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებებს ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ ქვეყნებთან, აგრეთვე, აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან. 1994 წლის აპრილში კი, ქ. მარაქეშში GATT-ის ყველა წევრის მიერ ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარა WTO-ს – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რომლის შემდეგაც მსოფლიო ვაჭრობა ახალ ფაზაში შევიდა. თუმცა 1980-იანი წლების დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გარკვეულად „პესიმიზმის" ნიშნები გააჩინა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის, მაგრამ 1985 წელს ჟაკ დელორის კომისიის მიერ შემუშავებული ე.წ. „თეთრი წიგნის" საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იყო შვიდი წლის განმავლობაში ყველა იმ ტექნიკური და საგადასახადო ბარიერების გაუქმება, რომლებიც დაბრკოლებას უქმნიდა თანამეგობრობის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1993 წლის 1 იანვრისათვის ევროგაერთიანებას შეექმნა საერთო ბაზარი.

1986 წელს ხელმოწერილმა და 1987 წლის ივლისიდან ძალაში შესულმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა კიდევ უფრო განამტკიცა ევროგაერთიანების ეს გადაწყვეტილება და დაიწყო ამის შესაბამისად კანონმდებლობის სრულყოფის საქმიანობები. კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც შემოღებულ იქნა ე.წ. „კვალიფიცირებული უმრავლესობის" პრინციპი და შიდა ბაზრის პოლიტიკის საკითხებზე წევრ ქვეყნებს ჩამოერთვათ ვეტოს უფლება, ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისიდან.

რიგით მეოთხე გაფართოება განხორციელდა 1995 წლის 1 იანვარს, როდესაც სამი ქვეყანა ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდა ევროკავშირს. წევრთა რაოდენობამ 15 შეადგინა.

მეხუთე ტალღა (2004) ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა, რადგან მაში გაერთიანდა: ბაალტიისპირეთის რესპუბლიკები - ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, ასევე, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა.

2007 წელს (მეექვსე გაფართოება) ევროკავშირს ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო 2013 წელს (მეშვიდე გაფართოება) ხორვატია შეუერთდა. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოებია: თურქეთი, მაკედონია, ისლანდია, სერბეთი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ევროკავშირში გაერთიანების რეალურ გზას დაადგნენ ასევე უკრაინა, მოლდოვა და საქართველო.

2013 წლის 22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე, ხოლო 2013 წლის 29 ნოემბერს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება განხორციელდა. 2014 წლის 27 ივნისს კი ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ნაწილობრივ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1996 წლის 22 აპრილს ქ. ლუქსემბურგში ხელმოწერილი „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისიდან. მის ბაზაზე შექმნილია თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმები (თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი), რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი საქმიანობის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზებას.

1.2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. ევროკავშირი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარა და კომპლექსური დახმარების პროგრამები აამოქმედა პოსტსაბჭოთა სივრცეში. 1992-2004 წლებში ევროკავშირი საქართველოს დაახლოებით 450 მლნ ევროთი დაეხმარა. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა

არაერთი ტექნიკური, ჰუმანიტარული თუ საკვების უსაფრთხოების პროექტი, მათ შორის სარეაბილიტაციო პროექტები კონფლიქტურ ზონებში. მართალია ევროკომისიამ თბილისში წარმომადგენლობა 1995 წელს გახსნა, მაგრამ ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა. 1996 წელს მიღებულ იქნა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ქვაკუთხედად იქცა. ეს შეთანხმება, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში, თავდაპირველად ათი წლის ვადით იყო მიღებული, თუმცა ის ყოველ წელს, ავტომატურად, ერთი წლით გრძელდებოდა. შეთანხმება მოიცავდა ფართომასშტაბიან თანამშრომლობას პოლიტიკური დიალოგის, ვაჭრობის, ინვესტიციების, ეკონომიკური, საკანონმდებლო და კოლტურული თანამშრომლობის სფეროებში.

წლების განმავლობაში ევროკავშირის ეტაპობრივმა ისტორიულმა გაფართოებამ ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარი საფუძვლები შექმნა. ამის პარალელურად იკვეთებოდა პლატფორმა პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრისათვის ახალ მეზობლებთან ურთიერთობაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ევროპის კომისიის (ევროკომისია) მიერ 2003 წლის 11 მარტს გამოქვეყნებულ კომუნიკეში - „გაფართოებული ევროპა – აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობის ახალი სამართლებრივი ჩარჩოები“, წარმოდგენილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) კონცეფცია, რომლის ძირითადი ამოცანა მეზობლებთან ახალი გამყოფი ხაზების წარმოშობის პრევენცია და სტაბილურობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.[7]

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის მიმართულებაა, რომელიც წარმოიშვა 2004 წლის 1 მაისს, ევროკავშირის 10 ქვეყნით (პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, ჩეხეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა), ხოლო 2007 წლის 1 იანვარს კიდევ ორი ქვეყნით (რუმინეთი და ბულგარეთი) გაფართოების შემდეგ. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

[7] შეკარევი ა. ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მიღწევები, ხარვეზები და გამოწვევები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. თბ., 2013, გვ. 58.

თავის მეზობლების ევროკავშირთან მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას გულისხმობს, რომელიც ეყრდნობა, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონიერების, თავისუფალი ბაზრის პრინციპებსა და მდგრადი განვითარების ღირებულებებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა თავდაპირველად 13 ქვეყანას: ბელორუსიას, მოლდოვას, უკრაინას, ალჟირს, ეგვიპტეს, ისრაელს, იორდანიას, ლიბანს, ლიბიას, მაროკოს, პალესტინას, სირიას და ტუნისს მოიცავდა. 2004 წლის 14 ივნისის მიღებული გადაწყვეტილებით, მას დამატებით სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უნდა მოეცვა. საქართველოსათვის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა ევროკავშირთან ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

აღსანიშნავია, რომ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული თითოეული ქვეყნის თანამშრომლობის პრიორიტეტები ამ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე განისაზღვრება, რაც უდაოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ეს პრიორიტეტები ერთობლივად შემუშავდება და ქვეყნების სამოქმედო გეგმებში აისახება. საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საბჭოს რეკომენდაციების ტექსტს ხელი მოეწერა 2006 წლის 14 ნოემბერს, ბრიუსელში თითქმის წელიწადნახევრიანი მოლაპარაკებების შემდეგ.

ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმა, რომელიც პირველი ნაბიჯია ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესში, პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავს. ის ხუთი წლის ვადით იქნა შემუშავებული. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა დახმარებას „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ ძირითადი დებულებების შესრულებაში და ურთიერთკავშირების დამყარება-განვითარებას თანამშრომლობის იმ ახალ სფეროებში, რაც ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მნიშვნელოვან ხარისხსა და უფრო ღრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას განაპირობებდა. მისი მიზანი იყო საქართველოსთვის მიეცა სტიმული და გაეწია დახმარება მის მიერ დასახული ძირითადი მიზნის – ევროკავშირის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში

შემდგომი ინტეგრირება–შესრულებისათვის, აგრეთვე თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით.

სამოქმედო გეგმაში, რომელიც საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მიერ მოწონების შემდეგ საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს, ასახულია პარტნიორებთან შეთანხმებული აღებული ვალდებულებებისა და მისი შესრულების შეფასების კრიტერიუმები. საქართველომ სამოქმედო გეგმით აიღო დემოკრატიული რეფორმების გატარების ვალდებულება, რაც პირველ რიგში ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მნიშვნელოვან ხარისხსა და უფრო ღრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობდა. მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა განახლებადი დოკუმენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, საქართველოში გატარებული რეფორმების ტემპისა და ხარისხის გათვალისწინებით შესაძლებელია მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა.[8]

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში დემოკრატიის გავრცელების გზით სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება-რეალიზების უზრუნველსაყოფად სამეზობლო პოლიტიკა ვერ იქცა ძლიერ მექანიზმად. პროცესი აღმოჩნდა დროში საკმაოდ გაწელილი, რაც ზოგიერთი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, პრობლემურ და მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა. ისიც უნდა აღინიშოს, რომ სამეზობლო პოლიტიკაში არ იყო ჩადებული პარტნიორი ქვეყნების მიერ შესრულებული რეფორმების შეფასების მკაფიო კრიტერიუმები და არ ჩანდა მკაფიო სარგებელი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ რეფორმებს. აღნიშნულმა ხარვეზმა განაპირობა, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი გადაიქცა რეგიონის ქვეყნებისთვის სასურველი რეფორმების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩარჩოდ, ნაცვლად იმისა, რომ ის გამხდარიყო დემოკრატიული რეფორმების დამაჩქარებელი და სრულყოფილი წარმმართველი ძალა. პრობლემის ნაწილი იყო ისიც, რომ სამეზობლო პოლიტიკა, როგორც რეგიონული ინსტრუმენტი, სათანადოდ ვერ ასახავდა იმ ქვეყნების ამბიციებს, რომლებსაც ევროკავშირთან უფრო სწრაფი და ყოვლისმომცველი ურთიერთობის განვითარება სურდათ.[9]

---

[8] ENP, EU/Georgia action plan, Europaen Commission, 2006, pp. 1-3.

[9] ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები.თბ.,2009, გვ. 32-35.

2006 წელს ნოემბერში დამტკიცებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP AP) თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სავაჭრო ურთიერთობების განვითარება დაისახა. მთავარი, რაც ამ გეგმის მიხედვით განისაზღვრა, იყო ამ სფეროში ქვეყნის მარეგულირებელი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. თუმცა, ეს პროცესიც გაჭიანურდა, რადგან ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და შესაბამისი პრაქტიკის საქართველოში დამკვიდრების პროცესი იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

სამოქმედო გეგმით უშუალოდ ვაჭრობასთან მიმართებაში განისაზღვრა ამოცანები, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგი განსაზღვრული თანმიმდევრობით:

- პირველს განეკუთვნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცება, მათ შორის სარგებლის გაზრდა "პრეფერენციების ზოგადი სისტემიდან" და ამის შედეგად საქართველოს საექსპორტო საქმიანობის გაუმჯობესება;
- მეორე გულისხმობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელებას და შესაძლებლობების განვითარებას საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;
- მესამე მოიცავს სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების დადებას. კერძოდ, გეოგრაფიული წარმოშობის მაჩვენებლების შესახებ (ღვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორის ჩათვლით) ორმხრივი შეთანხმების გაფორმებას და მოლაპარაკებათა გაგრძელებას მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე;
- მეოთხე ეხება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ ცვლილებებს, მათ შორის, ვაჭრობის სფეროს მუშაკებისათვის იმპორტის და ექსპორტის წესებისა და პროცედურების შესახებ რეგულარული ინფორმირების მექანიზმის შექმნას.

2008 წლის 19-20 ივნისს, ევროპულმა საბჭომ პოლონეთისა და შვედეთის მიერ წარმოდგენილი ერთობლივი წინადადების საფუძველზე მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა. ხსენებული ინიციატივა ევროპული საბჭოს მიერ 2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე იქნა დამტკიცებული. აღნიშნული პარტნიორობის პრინციპები თავსდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნად განისაზღვრა ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებთან (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა) თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. თუ დავაკონკრეტებთ, აღმოსავლეთ პარტნიორობა გულისხმობს ახალი ასოცირების შეთანხმების გაფორმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის საშუალებით ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირების და სავიზო რეჟიმის გამარტივების პერსპექტივას. ასევე, ამ ქვეყნებში პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერას.

2009 წელს პრაღის სამიტზე მიღებულ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაცია და ოფიციალურად დამტკიცდა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“, რომელიც ემყარება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპის მიმართ საერთო ერთგულებას: კანონის უზენაესობას, კარგ მმართველობას, ადამიანთა უფლებების დაცვას, უმცირესობათა პატივისცემას და დაცვას, საბაზრო ეკონომიკას, მდგრად განვითარებას.[10]

აღმოსავლეთის პარტნიორობა მიმდინარეობს ორმხრივი და მრავალმხრივი სამუშაო ფორმატით. ორმხრივი თანამშრომლობის მიზანია ევროკავშირსა და თითოეულ აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობის გაღრმავება.[11] ის მოიცავს ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებებს, როგორიცაა - ასოცირების ხელშეკრულება, ვიზის ლიბერალიზაცია უსაფრთხო გარემოში, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ევროკავშირთან დაახლოება, ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება და ა.შ.

მრავალმხრივი ფორმატი კი ქმნის თანამშრომლობის ახალ სტრუქტურას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად შექმნილი “თანამშრომლობის პლატფორმები”: დემოკრატიის, ეფექტური მმართველობისა და სტაბილურობის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და ენერგოუსაფრთხოების, ადამიანებს შორის კონტაქტების მიმართულებით.

---

[10] ,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა- ელგუჯა ხოკრიშვილი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი გამოწვევები, 2008, გვ. 12.

[11] ხოკრიშვილი ე. დარელიშვილი ნ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავარო სივრცე (DGFTA)ევროკავშირთან. თბ., 2013, გვ. 57.

თითოეულ პლატფორმას შემუშავებული აქვს საკუთარი მიზნები და, შესაბამისად, სამუშაო პროგრამები, რაც თავის მხრივ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ეფექტურ განხორციელებას ემსახურება. მრავალმხრივი ურთიერთობების ფარგლებში თემატური პლატფორმების ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა ასევე პანელები. პანელები განსაზღვრავს პლატფორმებში თანამშრომლობის მიზნების განსახორციელებელ უფრო ვიწრო და კონკრეტულ გზებს, ღონისძიებებს (მაგ. პროგრამებს, ტრენინგებს და ა.შ.), რომელთა შემუშევებაზე მოწვეული ექსპერტები იმუშავებენ.[12]

ხომ არ არის იდენტური „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, აღმოსავლეთის პარტნიორობა იძლევა უფრო უკეთესს და უფრო ზუსტ გეოგრაფიულ ფოკუსს და აღმოსავლეთის პარტნიორობის მიერ შემოთავაზებული ახალი შესაძლებლობები უფრო კონკრეტული, უფრო პრაქტიკული და თვალსაჩინოა; მეორე, აღმოსავლეთის პარტნიორობას ინდივიდუალური მიდგომის უფრო მაღალი ხარისხი გააჩნია და აღმოსავლეთის პარტნიორობა იძლევა ენერგეტიკული თანამშრომლობის ძალზე დეტალურ სამოქმედო გეგმას.

გარდა ამისა, აღმოსავლეთის პარტნიორობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან შედარებით მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს. ესენია: ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოიცავს, მობილურობისა და უსაფრთხოების ფაქტები, რაც გულისხმობს სავიზო რეჟიმის გამარტივებას და ასევე ევროკავშირთან თანამშრომლობას კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის, ენერგოუსაფრთხოების ხელშეწყობის, გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებში და სხვ.[13]

ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში გამოვლენილი პრობლემების დაძლევას ემსახურებოდა 2011 წლის 24 მაისს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეტრინ ეშტონისა და

---

[12] ლიბერალური აკადემია. „ვინ ვინ არის ბრიუსელში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე“, 2012, გვ. 32-33.

[13] იქვე.

ევროკომისიის მიერ მიღებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ახალი დოკუმენტი, რომელიც საზოგადოების უფრო მეტ სფეროებს მოიცავს და დამატებითი სტიმულირების სისტემას ეფუძვნება. ეს ევროპის ახალი სამეზობლო პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: დემოკრატიის მაღალი დონის მიღწევის მხარდაჭერა, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაფართოება, „პარტნიორობა მობილურობისათვის“ მხარდაჭერა, დამატებითი ფინანსური სახსრების მიმართვა პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში პარტნიორებისათვის ასოცირების ხელშეკრულების შეთავაზება. აღნიშნულმა ცვლილებებმა ნაწილობრივ გამოასწორა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაკლოვანი მხარეები.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მნიშვნელობა დიდია, რადგან ის გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმებთან და სტანდარტებთან, რაც შექმნის მტიცე საფუძველს შემდგომი ეკონომიკური ინტეგრირებისთვის. ინტეგრირებას საფუძვლად დაედება ეკონომიკასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული წესებისა და მოთხოვნების მიღება და მათი შესრულება, ვაჭრობის გააქტიურების, მეტი ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადი ზრდის მისაღწევად, რაც საბოლოო ჯამში პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს.[14]

უდავოა, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა” ხელს შეუწყობს ახალი ტიპის საპარტნიორო ურთიერთობების შექმნას. გაღრმავდება სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები, შეიქმნება ეკონომიკური კანონმდებლობის დაახლოების წინაპირობები, მხარეები ერთმანეთის მიმართ ეკონომიკურად უფრო გახსნილები გახდებიან, გაგრძელდება ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შემცირება, რაც ინვესტირებასა და ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. [15]

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ახალი ურთიერთობის ეტაპია საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური ასპექტები.

პრაღის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ფინანსური დახმარება მიმართული იქნება აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების მისაღწევად და ამასთან

---

[14] ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კრიტიკული შეფასება. Com (2010). 207, ბრიუსელი 12 მაისი 2010, გვ. 4

[15] Petrovic, Milenko, and Malgorzata Klatt. "11. The European Union and its post-communist neighbours: EU enlargement and the European Neighbourhood Policy." *The European Union and Global Engagement: Institutions, Policies and Challenges* 2015, pp. 197.

გაითვალისწინებს ინდივიდუალური პარტნიორი ქვეყნის პროგრესს. გარდა თანამეგობრობის მიერ გამოყოფილი გრანტისა და თანადაფინანსებისა ეროვნულ დონეზე, ევროკავშირი შეეცდება ასევე მოიზიდოს დამატებითი დაფინანსება სხვა დონორების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო სექტორის მხრიდან. ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდასაჭერად თანამეგობრობა ხელს შეუწყობს კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ამასთან მოუწოდებს ევროპის საინვესტიციო ბანკს და სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, დახმარება აღმოუჩინონ პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესს და შეიმუშაონ მოსახერხებელი საინვესტიციო პროექტები.

ევროკომისიის დოკუმენტის თანახმად, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხები დაიხარჯება შემდეგი მიზნებისთვის: ინსტიტუციონალური მშნებლობის მრავალმხრივი პროგრამები (დაახლოებით 175 მლნ ევრო), რეგიონალური განვითარების პილოტური პროგრამები, რომლებიც გათვლილია რეგიონის ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის საკითხებზე (დაახლოებით 75 მლნ ევრო), „აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი მიმართულებების განხორციელება (დაახლოებით 350 მლნ ევრო).[16]

რაც შეეხება საქართველოს, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში საქართველოსთვის გამოყოფილ დაფინანსებას, ის მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2007-2010 წლებში გამოყოფილი იყო 120 მილიონი ევრო, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელდა, 2011-2013 წლებისთვის ეს თანხა თითქმის 50%-ით გაიზარდა და 180 მილიონ ევროს მიაღწია.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში ევროკავშირი პარტნიორებს ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში ძირითად სფეროებში კავშირების კიდევ უფრო გააქტიურებას სთავაზობს. ამის მაგალითია აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშორმლობა შემდეგი მიმართულებებით: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება და მიღება;

[16]ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. ვასილ ჭყოიძე, აღმოსავლეთ პარტნიორობა-მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატი, გვ. 89-90

გადაადგილება და უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.[17]

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება საქართველოს აძლევს საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას, ხოლო ადამიანების თავისუფალ გადაადგილება ხელმისაწვდომი იქნება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის შედეგად. ამიტომ, ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით თავისუფალი ვაჭრობის ზონა არის საერთაშორისო ინტეგრაციის სახეობა, რომლის წევრებსაც არ ეკისრებათ საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები. მათზე არ ვრცელდება რაოდენობრივი შეზღუდვებიც, რომელსაც საერთაშორისო შეთანხმებები არეგულირებს. ეს ინტეგრაციის უფრო ღრმა სახეობაა, ვიდრე პრეფერენციალური შეთანხმებები. თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრები ასევე ინარჩუნებენ უფლებას, თავად განსაზღვრონ ვაჭრობის რეჟიმი მესამე ქვეყნებთან. უმრავლეს შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის ზონის წესები ვრცელდება ყველა სახის საქონელზე, თუმცა, ზონაში შემავალ ქვეყნებს შორის არსებობს საბაჟო საზღვრები და პოსტები, სადაც საქონლის წარმომავლობას ამოწმებენ.

უახლოეს წარსულში მოხდა შეთანხმება „სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესის“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში. პირველი პროგრამა ვრცელდება ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებზე, მეორე კი- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაზეც.

ზემოქმულიდან გამომდიარე, საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას, ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად

[17] ,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. ელგუჯა ხოკრიშვილი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი გამოწვევები, 2008. გვ. 14.

გამოყენებას, ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას, ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას, ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.[18]

2013 წლის დეკემბერში, საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ოქმს ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე. საქართველომ ასევე მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის[19] შეთანხმებების განხორციელების გზაზე და განაგრძო რეფორმების განხორციელება უსაფრთხო გარემოში მობილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშრებულ სფეროებში. საქართველომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ 2014 წლის შუალედურ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გაითვალისწინა. ყოველივე ამის შემდეგ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და

---

[18] ECORYS და CASE- Research-“Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiation of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova”, 2014;

[19] „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება (შემდგომში „რეადმისიის შეთანხმება) ძალაში შევიდა 2011 წლის პირველი მარტიდან. შეთანხმების ძირითადი მიზანია თანამშრომლობის გაძლიერება ხელშემკვრელ მხარეებს შორის უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში და პირთა უსაფრთხო დაბრუნება ევროპიდან საქართველოს მიმართულებით, ან პირიქით.

ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“ საქართველოსთვის ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომი ნაბიჯი პარლამენტების მიერ დოკუმენტის რატიფიკაციაა. ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მისი რატიფიცირება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის პარლამენტებმა უნდა მოახდინოს. ამჟამად ეს დოკუმენტი 19 ქვეყანის მიერაა რატიფიცირებული. 2014 წლის 18 ივლისს დოკუმენტის რატიფიცირება განხორციელდა საქართველოს პარლამენტში, 2014 წლის 18 დეკემბერს კი სტრასბურგში, ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წელს არის ნავარაუდევი, თუმცა, უკვე 2014 წლის შემოდგომაზე წინმსწრებად ამოქმედდა შეთანხმების ნაწილი, მათ შორის DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს "ასოცირების დღის წესრიგი", რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველო სარგებლობს ევროკავშირის მხრიდან ცალხმრივი სავაჭრო შეღავათებით, ე.წ. "პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით" (GSP +). ამ სისტემის ფარლებში შეთავაზებული შეღავათები შეზღუდულია DCFTA -სთან შედარებით. მას შემდეგ, რაც DCFTA ჩაანაცვლებს (GSP +)-ს, გაუქმდება ტარიფები თითქმის ყველა პროდუქტზე და ამასთანავე ორივე მხარე გადაჭრის მარეგულირებელი ბარიერების საკითხს. ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნება არსებულ (GSP +) -თან შედარებით, რომელიც ცალხმრივი, დროებითი ხასიათისაა და ევროკავშირთან მოლაპარაკებებს არ ექვემდებარება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შეთანხმება ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები,

სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება). აღნიშნულ სფეროებში დაახლოვების შედეგად საქართველოში შეიქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას. როგორც ცნობილია, ზოგადად, მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა პირადი, ქონებისა და ძირითადი საჭიროებების (სურსათი, თავშესაფარი, ჯანდაცვა.) უსაფრთხოება.[20]

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი კანონი, რომლებიც სურსათის უვნებლობასა და მომხმარებელთა უფლებებს არეგულირებენ, სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესებულა. ცვლილებები შევიდა კანონში „კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2012 წლის აპრილში, თუმცა აღნიშნული რეფორმაც ვერ პასუხობს ევროკავშირის ძირითად მოთხოვნებს.

2013-2014 წლებში საგრძნობლად გაიზარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ინსპექტირების რაოდენობა. კონტროლდება ბიზნეს ოპერატორების მიერ საწარმოო პროცესის ყველა სტანდატრის მაქსიმალურად დაცვის შესაძლებლობები. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ხორციელდება ბიზნეს ოპერატორების დაჯარიმება და ზოგიერთ შემთხვევაში ხდება საწარმოო პროცესების შეჩერებაც. 2014 წელს გეგმური ინსპექტირებისათვის შეირჩა 2 536 ბიზნესოპერატორი; არაგეგმური ინსპექტირებისათვის შეფასდა 502 საწარმო; სათანადო წესით აღებული და ლაბორატორიებში ჩაბარებული იყო სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 2911 ნიმუში/სინჯი, რომელთა ხარისხის პარამეტრებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით 837 (28,8%) ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. ლაბორატორიული კვლევის შედეგებით გამოვლენილი დარღვევების 80% წარმოადგენდა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დარღვევებს. მარტო 2014 წლის დასაწყისში გეგმურ ინსპექტირებას დაქვემდებარებული 659 ბიზნეს ოპერატორიდან 33% იყო

[20] ჩავლეიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი, ჟ.ეკონომიკა და ბიზნესი, №3 2013, გვ. 75.

შეუსაბამო საქართველოს კანონმდებლობასთან, რის გამოც დაჯარიმდნენ. 6 ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების არსებობის გამო. ამ ინსპექტირებული საწარმოებიდან 37 იყო ცხოველთა სასაკლაო, რომელთა 31%-ში აღმოჩნდა შეუსაბამობა.[21]

ინსპექტირების პროცესებმა დინამიკაში დარღვევების შემცირების ტენდენცია გამოავლინა.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა, ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული ჯანდაცვა, ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგორესურსების განვითარება, უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა. აღმოსავლეთ პარტნიორობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერება. ყველაზე ოპტიმისტური გამოთვლებითაც კი, თუ ევროკავშირი ფუნდამენტურად არ გარდაქმნის თავის ენერგეტიკულ პოლიტიკას და არ ჩადებს ამ სფეროში სერიოზულ ინვესტიციებს, ევროკავშირის დამოკიდებულება ენერგორესურსების გარე მომწოდებელზე 2025 წლისათვის 50%-დან 70%-მდე გაიზრდება. ამ დონის დამოკიდებულება გარე მომწოდებლებზე, საფრთხეს უქმნის ევროკავშირის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. [22]ენერგეტიკულ კონტექსტში იგი პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირის სამ სხვადასხვა პოლიტიკაში ჩართვას და

[21] http://nfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=181

[22] Paresashvili, N. Policy Implementation of the Eastern Partnership in Georgia, Journal: ,,Public Policy and Administration”, 2013. Vol.12, №4 pp.640.

მონაწილეობის შესაძლებლობას გულისხმობს. ესენია: ევროკავშირის ვაჭრობა, კონკურენციის პოლიტიკა და ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა..[23]

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოვება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამასთან, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს: ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის განვითარებას, საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული უზრუნველყოფის გზით, ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას, მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას და სხვა[24]

თავისუფალი სავაჭრო სივრცე შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს საქართველოს თანდათანობით ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე, რასაც შედეგად მოჰყვება: სამართლიანი და ბიზნესისათვის ხელსაყრელ გარემოს ჩამოყალიბება, კორუფციის შემცირება, შიდა ბაზრის წესების შესაბამისი სამრეწველო პროდუქციისა და სურსათის უვნებლობის სფეროში თანამედროვე

[23] Declaration: Prague Summit-Southern Corridor-Ref: CL09-102EN, Source UE: Conceil, UN forum, Date: 8/5/2009.

[24] http://www.mfa.gov.ge.

სტანდარტებს შემოტანა. სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო დიდად გაზრდის საქართველოს, როგორც ეკონომიკური პარტნიორის, მიმზიდველობას, რაც წაახალისებს საგარეო და საშინაო ინვესტიციებს. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდება ბაზარზე დაშვების ბარიერების ორმხრივი და თანდათანობითი მოხსნა, ექსპორტის მხრივ, ქართულ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს შესთავაზებენ თავისუფალ წვდომას ევროკავშირის ბაზარზე, ყველა ტიპის საქონელის 500 მილიონზე მეტი მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებლით. ამიტომ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე თეორიულად და პრაქტიკულადაც დიდი მნიშვნელობის მქონეა და გაცილებით ღრმაა. მისი რეალური მიზანი სწორედ ევროკავშირის კანონმდებლობის იმ ნაწილის მიღებაა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო პოტენციალის გაზრდას. ეს კი საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველო ჩართული აღმოცნდება ევროპული ბაზრის საერთო სივრცეში. ეს კი ნიშნავს, რომ მოხდება თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს თანდათანობითი ინტეგრაცია.

1.3 ევროპული ღირებულებებისაკენ სწრაფვის ისტორიული აპექტები

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“

ზურაბ ჟვანია

ევროპული ღირებულებები და ფასეულობები ოდიდგანვე ქართველი მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეების სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა. საქართველოს ევროპისკენ და ზოგადად, დასავლეთისკენ ლტოლვა XX საუკუნის მიწურულს არ დაწყებულა. ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე დაიწყეს გზის გაკაფვა ევროპისაკენ, მიაჩნდათ რა ევროპა ქვეყნის ძლიერებისა და თავისუფლების ერთ-ერთ გარანტად. თუ ფრანგი პოეტისა და მოაზროვნის, პოლ ვალერის ცნობილ მოსაზრებას გავაანალიზებთ “ყველა რასა, „ყველა მიწა, რომელიც თანმიმდევრულად იყო რომანიზებული, გაქრისტიანებული,

ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის შეგნებას, აბსოლუტურად ევროპულია”[25] ადეკვატურ დასკვნას გავაკეთებთ: საქართველოც ისეთივე ევროპული ქვეყანაა გამოდის, როგორც საბერძნეთი, პოლონეთი, უნგრეთი ან რომელიმე სხვა მათი მსგავსი.

საკმარისია გავიხსენოთ პეტრე იბერის, გიორგი მთაწმინდელის, მეფეების: დავით IV აღმაშენებელი, თამარი, გიორგი IV ლაშა, გიორგი V ბრწყინვალე, სიმონ მეფე, თეიმურაზ, ვახტანგ VI, ერეკლე II და სხვ საქმიანობები და მოსაზრებები, რომ განვაცხადოთ: დასავლეთის ცივილიზაციის პროცესში საქართველო მონაწილეობდა და მისი მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისკენ. ეს დასტურდება დროთა განმავლობაში შავი ზღვის ქართულ სანაპიროებზე ბერძნების მიერ ქალაქების დაარსებითა და სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების განვითარებით, რითიც შეიქმნა წინაპირობები საქართველოსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციაზე მიუთითებდა ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერი, პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი, რომელიც ხაზს უსვამდა ქართველების ევროპელობას, როდესაც წერდა „აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო დასავლეთის ერების ოჯახში. დრო ა ქართველებმა შეიგნონ, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან”.[26]

ევროპული ღირებულებების ადეკვატური სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებებია წარმოდგენილი ე.წ. “მართალი სამართლის” მიხედვით უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში”. რუსთაველი აფიქსირებს ტახტის მემკვიდრეობის უფლებას, აჩვენებს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, ყურადღებას ამახვილებს ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდებებისათვის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებზე, ხაზს უსვამს ომისა და აჯანყების უფლებას. რუსთაველისათვის მეფე არის თვითმპყრობელი, რეფორმატორი და ტოლერანტი. ამავე დროს ის არის მოსიყვარულე და ქვეშემვრდომთათვის სამართლის მიმნიჭებელი, ქვრივ-ოხრებზე და გაჭირვებულებზე მუდამ მზრუნველი. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმ

[25] შუბითიძე ვ., წერეთელი, ნ. ევროპეიზაცია და ქართულუ პოლიტიკური აზროვნება თბ., 2013 გვ. 5.

26 მუსხელიშვილი მ. საქართველო და ევროპა, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, თბ; 1995, გვ.54.

ღირებულებების კონსტანტაციას, რომელსაც შემდგომ დაეფუძნა მთელი ევროპული ცივილიზაცია.

წმინდა ევროპული იდეალებსა და პრინციპებს ეფუძვნება თამარის საქმიანობები: „მეფე (თამარი) აუქმებს ასოების მოკვეთას, აჩერებს სიკვდილით დასჯას, ავითარებს ქველმოქმედებას, შემდგომში ამკვიდრებს სახელმწიფო სამსახურში დგომის ტრადიციას და არა ცარიელ გვარიშვილობას, არააბორიგენების მიმართ შეღავათებს და მათი კულტურის, რელიგის შენახვას, მათ დაცვას. რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რაც ცხადია ეხმიანება ევროპულ იდეებს.[27] თამარი ევროპული სოციალური იდეალის რეალური სახეა.

აღსანიშნავია, რომ ფარული არჩევნების იდეა ჯერ კიდევ ათონის მთაზე (ბიზანტია) მოღვაწე გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) საქმიანობისას გაჩნდა. მან შემოიღო "წილნაყრობის წესი," რომელიც ქართული მონასტრების წინამძღვართა დანიშვნისას გამოიყენებოდა. "საკმარისია გავიხსენოთ XI საუკუნის დამდეგს ქართულ სამონასტრო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილება, როდესაც წინანდელი მამასახლისისგან თანამდებობის პირთა დანიშვნის მონარქიული წესი რესპუბლიკურ წესად შეიცვალა და მონასტრებში ყველა წევრთა "თანადგომითა და ერთნებობით" მოწყობილი არჩევნები იქნა შემოღებული, რომ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილებების იდეური სათავის სათაურობა ცხადი შეიქნას. [28]

ევროპული ღირებულებებისადმი სწრაფვის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ზრუნვა განათლების ევროპულ დონესთან მიახლოებაზე. ამის იდეალურ მაგალითს წარმოადგენდა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე დავით აღმაშენებელის მიერ გელათის და იყალთოს აკადემიების დაარსება. ეს სხვა არაფერი არ იყო, თუ არა ევროპული განათლება, ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და მეცნიერების განვითარება ეროვნული ტრადიციების დაცვით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში ფაზისში (დასავლეთ საქართველოში), უკვე არსებობდა ფაზისის აკადემია.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინდელი ქართული სამართალი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული სამართალი იყო.

---

[27] შუბითიძე ვ. პოლიტოლოგია, თბ; 2006, გვ. 85.

[28] ჯავახიშვილი ი. თხზ. ტომი II, თბ; 1983, გვ 376.

აკრძალა რა წამება და შეაჩერა სიკვდილით დასჯა, თამარის საქართველომ გაუსწრო ევროპულ ქვეყნებს: "სამართლის საქმეთა ორგანიზაციაშიც საქართველომ იმ ეპოქაში საგრძნობ პროგრესს მიაღწია: სისხლის სამართლის თეორიის უდიდესი მიღწევების გვერდით, იმ მიღწევების, რომელთა მშვენიერი მაგალითი მოცემულია ექვთიმე ათონელის მოძღვრებაში მკვლელობისა და ჭრილობათა მიყენების შესახებ, საქართველოში მთელი რიგი ღონისძიებები იყო ჩატარებული პრაქტიკული ხასიათისაც. შექმნილი იყო საგანგებო დაწესებულება, რომელიც განაგებდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს. ამგვარად გამიჯნულ იქნა სფერო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის წარმოებისა. შემდეგ საკასაციო საჩივართა გარჩევა დავით აღმაშენებელმა ჩამოართვა უზენაესი ხელისუფლების ფუნქციებს, ნაცვლად ამისა შეიქმნა უზენაესი საკასაციო კოლეგიური სასამართლო." [29]

ქველმოქმედება, ღარიბთა დახმარება განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოთა წესი და სოციალური ნორმაა. სოციალურ მშვიდობიანობას დავითის ხელისუფლების დროს ქვეყანაში განაპირობებდა ის, რომ სახელმწიფო შემოსავლის 10% ქველმოქმედებას ხმარდებოდა, სადაც "შიგან მათთა სიბრძნისაგან თხა და მგელი ერთად სძოვდეს".

მართალია 1453 წელს ოსმალთა მიერ ბიზანტიის და კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველო დიდი ხნით მოწყვიტა ევროპას და ევროპულ ფასეულობებს, მაგრამ ქართველობას არც თურქ-სელჩუკებთან და მონღოლებთან თავგანწირული ბრძოლების შემდეგ შეუწყვეტია სწრაფვა ევროპისაკენ, ამ მხრივ აღსანიშნავია მეფეების: სიმონ მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე მეორე და ქართველი მოაზროვნეების: სულხან-საბა ორბელიანი, ანთიმოზ ივერიელი, და სხვა. საქმიანობა. ქეთევან წამებულის თავდადება ქრისტიანობისათვის მთელ იმდროინდელ ევროპაში ევროპელი მისიონერებისა და სამღვდელოებისათვის მისაბაძ მაგალითად იქცა. ყველა ამ დამპყრობლის სასტიკი კოლონიური მმართველობის მიუხედავად, ქართველებისათვის მთავარ ღირებულებას ერისა და პიროვნების თავისუფლება, მტერთან შეურიგებლობა, ცივილიზებული მმართველობის დამყარება წარმოადგენდა.

ევროპული ღირებულებების შემოტანა და დაბრუნება საქართველოში უკავშირდება ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და არჩილ ჯორჯაძის სახელს.

[29] ჯავახიშვილი ი. თხზ. ტომი II, თბ; 1983, გვ 409.

სწორედ ილია ჭავჭავაძე საუბრობდა ქვეყანაში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვაზე: "ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს, დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა, ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი – ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე" [30]

ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ს. მესხი აღნიშნავდა თერგდალეულთა ახალი თაობის (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, და სხვ.) როლს ქართველი ერის ისტორიაში ევროპისაკენ ახალი ბილიკების გაკვალვაში: "ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა- დასავლეთ ევროპის გზა არის.[31]

ნ. ნიკოლაძეს საქართველოსთვის იდეალურ ვარიანტად ევროპული განვითარების კურსი მიაჩნდა: "ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქონდა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფიზიკისკანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს

[30] შუბითიძე ვ, პოლიტოლოგია. თბ; 2006, გვ.82-83.

[31] ნაწერები სერგეი მესხისა. ტომი I, 1903, გვ 104.

თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს."[32]

ნ. ნიკოლაძე აგრეთვე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვისაც ვაჭრობა მიაჩნდა, მრეწველობის შემობრუნების, სოფლის მეურნეობის განვითარების, საზოგადოების წინსვლისა და გაძლიერების ბერკეტად. მან ქვეყნის პრიორიტეტად მეცნიერება გამოცხადა. ნ. ნიკოლაძემ წინა პლანზე წამოსწია ერის განვითარებაში საკუთარი წარმოების აღორძინების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება. მას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად.

1913 წელს ჟურნალი "კლდე" წერდა: „ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია ორი ანტიპოდია, სულ სხვადასხვა ტიპები. ნ. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკული და საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სოციალისტიკით გაჟღენთილი. ამიტომ ჩვენი ინტელიგენტები უმთავრესად არიან თეორეტიკოსები, მეოცნებე, აკადემიური მსჯელობის ხალხი. ამათი სფეროა თბილი კაბინეტი, რბილი სავარძელი, უნიადაგთ თეორიული მსჯელობა, მეტაფიზიკური მორალი და სხვადასხვა პარტიულ-პოლიტიკური ოცნება, ფანტაზიები. ნიკოლაძე კი, უწინარეს ყოვლისა, მუშაკია დაკაპიწებული ხელებით, ცხოვრების ტექნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალური პოლიტიკის მწარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავარდნილი."[33]

ქართველთაგან ნოე ჟორდანია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გააცნობიერა, რომ ევროპა „ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ვევროპიელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით უნდა ვიცხოვროთ" და რომ "გაევროპელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე." ევროპაში იძულებით ემიგრაციასა და მრავალი წლის განმავლობაში იქ ცხოვრების დროს ნოე ჟორდანია კიდევ უფრო ცხადად დარწმუნდა, რომ "ევროპის გზა მსოფლიო

[32] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. IV, პროფ. ლ.მ. გამეზარდაშვილის რედ.,თბ. სახ. უნ-ტი, 1964, გვ. 337.

[33] ნიკოლაძე ნ. -150 საიუბილეო კრებული, თბ; 1996, გვ.10.

გზაა, ახლა ისტორიის სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა" ნ. ჟორდანიას აზრით საქართველოსათვის მისაღებია ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა, მისი ტექნიკა და მისი მეცნიერება.

დღეს, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და სუვერენიტეტი ერთ მთლიან სუბიექტად იქცა, რომლისკენაც მიზანმიმართულად მიიწევს დღეს საქართველო. საქართველოს ევროპულ ორიენტაციას არ გააჩნია ალტერნატივა. ეს არის ის. რომლისკენაც მუდამ ისტორიულად ისწრაფოდა კულტურით, რელიგიითა და პოლიტიკური სისტემით.

თანამედროვე ეტაპზე, ევროკავშირი სულ უფრო დამაჯერებლად იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო გავლენის მზარდი გეოპოლიტიკური ცენტრი. აქედან გამომდინარე იზრდება ინტერესი თავად ევროპის კავშირისა და მის ფარგლებში ჩამოყალიბებული ტენდენციების მიმართ. მით უფრო, რომ სამომავლოდ კავშირის მოქმედების ტერიტორიული სფეროს კიდევ უფრო გაზრდა და გაფართოვება იგეგმება, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების ხარჯზე, მართალია კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსი გააჩნია თურქეთს, თუმცა ამ ქვეყნის კავშირში მიღება დღეს დიდი დავისა და კამათის საგანია. საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამაც უკვე მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი.

ევროპის კავშირთან ურთიერთობების გაღრმავება და ინტეგრაცია საქართველოს არა მარტო ევროპული ცივილიზაციის წიაღში დაბრუნების, კეთილდღეობისა და სტაბილურობის გარანტიას იძლევა - იგი საქართველოს დამოუკიდებლობის, კულტურული გადარჩენისა და განვითარების ერთ-ერთ წინაპირობასაც წარმოადგენს.

თავი II. საქართველის ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური შესწავლის მეთოდები და აღრიცხვის ძირითადი პრობლემები

2.1 საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური პრინციპები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული „დანარჩენ სამყაროსთან მის კავშირურთიერთობებზე,”[34] რადგან მსოფლიოში მიმდინარე ინტერგრაციული პროცესების ფონზე გაიზარდა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეების ერთმანეთზე გავლენის ხარისხი.

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს იმ სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც ასახავს დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. ამიტომ ის ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ბერკეტია. საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის მეთოდოლოგია ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ მე-6 გამოცემას („Balance of Payments and International Investment Position Manual Sixth Edition (BPM6)”. international Monetary Fund. Washington, 2009).

საგადასახდელო ბალანსის ინფორმაციის წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველკვარტალური და სხვადასხვა პერიოდულობის შერჩევითი კვლევები, სატვირთო–საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, შპს „საქართველოს ელექტროსისტემის“ ყოველკვარტალური ინფორმაცია იმპორტირებული, ექსპორტირებული და ტრანზიტით გატარებული ელექტროენერგიის შესახებ, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ინფორმაცია იმპორტირებული და ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირის შესახებ, ძირითადი პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემები, შპს „საქართველოს რკინიგზა“, საქართველოში არსებული პორტები და აეროპორტები,

[34] ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა. თბ. 2009, გვ.85.

სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვა), პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.[35]

საგადასახდელო ბალანსი შედგება ორო ძირითადი ნაწილისაგან: მიმდინარე ოპერაციების ანგარიშისა და ფინანსური რესურსების ანგარიშებისაგან.[36] მიმდინარეს მიეკუთვნება სასაქონლო, მომსახურებისა და შემოსავლების ოპერაციები (მიმდინარე ტრანსფერები განიხილება როგორც შემოსავლების გადანაწილება)[37] ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტემის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. (გამოიყოფა: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები). მიმდინარე ანგარიშში ასახულია საქონელი და მომსახურება, პირველადი შემოსავლები და მეორადი შემოსავლები. საქონლის ანგარიში მოიცავს საქონლის ექსპორტ-იმპორტს, ხოლო მომსახურების ანგარიში მოიცავს მომსახურებას, რომელიც გაუწიეს სხვა ქვეყნის რეზიდენტებს საქართველოს რეზიდენტებმა და პირიქით. ამ მომსახურებებს მიეკუთვნება: სატრანსპორტო, საფოსტო და კურიერული მომსახურება, ტურიზმი, მშენებლობა, მანუფაქტურული მომსახურება, საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება, სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა, ფინანსური მომსახურება სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, სხვა საქმიანი მომსახურება, პირადი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება, სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი.

პირველადი შემოსავლის ანგარიშში ასახულია პირველადი შემოსავლის ნაკადები რეზიდენტ და არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის. ის მოიცავს: შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს. მომუშავეთა ანაზღაურება სხვა ქვეყნის რეზიდენტების მიერ აისახება შრომის ანაზღაურებაში, მასში შედის ასევე ქვეყანაში მომუშავე და საზღვარგარეთის ქვეყნებში ქვეყნის

[35] https://www.nbg.gov.ge საგარეო სექტორი/მეთოდოლოგია.

[36] ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა. თბ. 2009, გვ. 66.

[37] მარშავა, ქ. მინდორაშვილი, მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი თბ., 2008, გვ, 232.

დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებული არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება.

რაც შეეხება საინვესტიციო შემოსავლებს, მასში შედის შემოსავლები პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებიდან. კრედიტში აისახება საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო დებეტში პირიქით – არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი.

მეორადი შემოსავლის ანგარიში ასახავს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. ტრანსფერი არის ოპერაცია, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს აწვდის საქონელს, მომსახურებას ან აქტივს და სამაგიეროდ არ იღებს მისგან ეკვივალენტურ საქონელს, მოსახურებასა და აქტივს[38]. საერთაშორისო ანგარიშები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგი სახის მიმდინარე ტრანსფერებად: მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ., სოციალური მოსაკრებლები, სოციალური სარგებელი, მიმდინარე საერთაშორისო თანამშრომლობა, წმინდა სადაზღვევო პრემია სიცოცხლის დაზღვევის გარდა, სადაზღვევო მოთხოვნები სიცოცხლის დაზღვევის გარდა, პირადი გადარიცხვები და სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს: კაპიტალის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშს. აქედან კაპიტალის ანგარიშში გამოიყოფა: კაპიტალური ტრანსფერები და არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შეძენა–გადაცემა. თავის მხრივ კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება იყოს სამთავრობო სექტორისა და სხვა სექტორების. კაპიტალურ ტრანსფერს მიეკუთვნება ასევე ვალის პატიება.

პორტფელის ინვესტიციები, პირდაპირი ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები აისახება ფინანსურ ანგარიშში. როგორც ცნობილია პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს: სააქციო კაპიტალს და საინვესტიციო ფონდის აქციებს, რეინვესტირებულ შემოსავლებს და სავალო ინსტრუმენტებს. აქვე აისახება საქართველოს პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ. საქსტატი მათ შესახებ ინფორმაციის მოიპოვებს საწარმოთა პირდაპირი გამოკვლევიდან კომერციული ბანკების ანგარიშგების საფუძველზე,

[38] მარშავა მ. მინდორაშვილი - ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი თბ., 2008, გვ.238.

ხოლო დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა ხდება ინტერნეტიდან და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან.

პორტფელის ინვესტიციები მოიცავს ისეთ დაბანდებებს საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10%–ზე ნაკლებს. პორტფელის ინვესტორებს მიეკუთვნებიან ასევე ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ არარეზიდენტი საწარმოს მიერ გამოშვებულ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას. [39]

ფინანსური წარმოებულები, რომელიც ადრე შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში, ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტია. მასში შედის ფასიან ქაღალდები: ოპციონები, ფიუჩერსები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და სხვა. საქართველოში უკვე რამდენიმე ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფინანსური წარმოებულების შესახებ ძირითად ინფორმაციის წყარო წარმოადგენს საწარმოთა გამოკვლევა, კომერციული ბანკების და ეროვნული ბანკის ანგარიშგება.

სხვა ინვესტიციები მოიცავს ფინანსური ანგარიშის ყველა მოკლე და გრძელვადიან გატარებას, გარდა პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციებისა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და სარეზერვო აქტივებისა. მათ მიეკუთვნება: ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სავაჭრო კრედიტები, ავანსები და სხვა აქტივები და ვალდებულებები. ცალკე უნდა გამოვყოთ სავაჭრო კრედიტები და ავანსები, რადგან ეს არის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შედეგად და რომლებიც მოკლევადიანია. თუმცა საგადასახდელო ბალანსში ხორციელდება მათი დაყოფა გრძელ და მოკლევადიანად. რაც შეეხება სესხებს საგადასახდელო ბალანსში ისინი კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. სხვა ინვესტიციების სხვა ვალდებულებები და აქტივები შედგება ვადაგადაცილებული დავალიანებისაგან და, გარდა ამისა, ყველა იმ პოზიციისგან, რომელიც არ მოხვდა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მაღალლიკვიდურ უცხოურ აქტივებს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი და რომლის გამოყენება საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან რაიმე

[39] https://www.nbg.gov.ge საგარეო სექტორი/მეთოდოლოგია.

სხვა მიზნით შესაძლებელია დაუყონებლივ. სარეზერვო აქტივები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლება, სავალუტო პოზიცია ფონდში, სხვა სარეზერვო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ სარეზერვო აქტივების მოთხოვნებს და არ მოხვდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში. სხვა სარეზერვო აქტივები შედგება ნაღდი უცხოური ვალუტისაგან, არარეზიდენტ საფინანსო ორგანიზაციებში განთავსებული დეპოზიტებისგან და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდებისგან. ამასთან, სარეზერვო აქტივი უცხოურ ვალუტაში აუცილებლად უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი. მონაცემთა წყაროა ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.[40]

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვა სექტორები. სსპ–ის ძირითადი მუხლები საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სხვა სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მოთხოვნები/ვალდებულები) და სარეზერვო აქტივებს. საგადასახდელო ბალანსის აგების პრონციპი მდგომარეობს მასში, რომ თითოეული ოპერაცია ტარდება ორმაგი ჩაწერის წესით.[41]

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, მოცულობის სხვა ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ოპერაციული ცვლილება შეესაბამება საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+) ან წმინდა დებეტური (-).

---

[40] https://www.nbg.gov.ge საგარეო სექტორი/მეთოდოლოგია.

[41] გაბიძაშვილი, ბ. -სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში.თბ., 2011, გვ.815.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ინფორმაციის წყაროს არმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალისა და მისი მომსახურების შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური იძლევა ინფორმაციას საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, ხოლო ინფორმაციას ინვესტიციების შესახებ კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის: „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ მე-6 გამოცემასთან („Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6)”. International Monetary Fund. Washington, 2009).

გასათვალისწინებელია, რომ გამოქვეყნებული უცხოური აქტივები და ვალდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებში მოცემულ ანალოგიური მონაცემებისაგან, სავალუტო კურსების დამრგვალების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს განსხვავება საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში მოცემული საბანკო სექტორის წმინდა უცხოურ აქტივებს, უცხოური ვალდებულებებსა და მონეტარული სტატისტიკის სხვა დეპოზიტური კორპორაციების შესაბამისი მონაცემებს შორის, რაც გამოწვეულია მონეტარული სტატისტიკის მონაცემებში უცხოელი პირდაპირი და პორტფელის ინვესტორების მიმართ ვალდებულებების აღურიცხაობით. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში მოცემული საბანკო სექტორის წმინდა უცხოური აქტივები და უცხოური ვალდებულებები განსხვავდება აგრეთვე მონეტარული სტატისტიკის სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვაში მოცემული შესაბამისი მონაცემებისგან. განსხვავების მიზეზი არის ის, რომ მონეტარული სტატისტიკის მონაცემებში არ არის ასახული ვალდებულებები უცხოელი პირდაპირი და პორტფელის ინვესტორების მიმართ.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური ვალდებულებების შესახებ არარეზიდენტების მიმართ. რომ განვმარტოთ ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი, ეს არის დროის მოცემული მომენტში ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელი თანხა, რომელიც გულისხმობს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში. გამოდის რომ ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, ჩართული უნდა იყოს ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში. საანგარიშო ერთეულად, ისე როგორც საგადასახდელო ბალანსის შემთხვევაში, გამოყენებულია აშშ დოლარი.

რაც შეეხება საგარეო ვალის სტატისტიკის ინფორმაციული წყაროებს, აქ უნდა გამოვყოთ საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოსთან "საგარეო ვალის სტატისტიკა" („External Debt Statistics, Guide for Compilers and Users". International Monetary Fund. Washington, 2013).

საგარეო ვალის სტატისტიკა, ისევე როგორც საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, წარმოებს დარიცხვის მეთოდით.

ცალკე უნდა გამოვყოთ სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალის ინფორმაციული წყარო, რომელსაც მიეკუთვნება ფინანსთა სამინისტროს მონაცემები სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის შესახებ. და რადგან ეროვნული ბანკი, ახდენს გარკვეული ცვლილებების განხორციელებას (მონაცემების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით), ამიტომ ჩნდება განსხვავება ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა შორის. მაგალითად, ეროვნული ბანკი ვადაგადაცილებულ ძირითად ვალს იღებს მიმდინარე სესხებიდან და აღრიცხავს როგორც

ვადაგადაცილებულ დავალიანებას, ვადაგადაცილებული პროცენტის და დარიცხული ჯარიმის დავალიანება, (ეს არ შედის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში) ეროვნულ ბანკში აღირიცხება როგორც ვადაგადაცილებული დავალიანება, ეროვნული ბანკი ანგარიშობს იმ დარიცხულ პროცენტებს, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა და ის ემატება მთლიან საგარეო ვალს. თუმცა ეს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში არ არის ასახული. განსხვავების მიზეზია აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო ევროობლიგაციები ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში ასახულია ნომინალური ღირებულებით, ხოლო ეროვნული ბანკის მონაცემებში საბაზრო ფასით. ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავების მიზეზი შეიძლება იყოს სავალუტო კურსების დამრგვალება ფინანსთა სამინისტროს მიერ.

აღსანიშნავია, რომ საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის საანგარიშო ერთეულია აშშ დოლარი.

2.2 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი მეთოდები

ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას 1995 წლიდან უზრუნველყოფს. მონაცემები მუშავდება როგორც ქვეყნების, ისე სასაქონლო ჭრილში და გამოქვეყნდება ყოველთვიურად. 2012 წლიდან კი საქსტატი ექსპორტის, იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის აგრეგირებულ მონაცემებს აქვეყნებს. გარდა ამისა ქვეყნდება დეტალური ინფორმაცია ქვეყნებისა და სასაქონლო ჭრილის მიხედვით. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის, აგრეთვე, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელოს "საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა"(ნიუ იორკი, 2004 წ.) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უახლესი რეკომენდაციების „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები" (ნიუ იორკი, 2011 წ.) შესაბამისად ახორციელებს.

ცნობილია, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი _ CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).[42]

საგარეო ვაჭრობა ექსპორტ-იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლაა ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა-გაყიდვის გზით. სწორედ, ამ პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლებია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლის საგანი. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის არეალი ფართო და მრავალფეროვანია, რადგან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები მოიცავს არა მარტო ქვეყნებს შორის ვაჭრობას, არამედ ისეთ ოპერაციებსაც, როგორიცაა ტრანზიტი. მასში ჩაირთვება აგრეთვე საქონლის უსასყიდლოდ გადაცემაც, რომელსაც მიეკუთვნება გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, ბარტერი და სხვა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში არ აისახება მომსახურების ყიდვა-გაყიდვა, შემოსავლები კაპიტალიდან და კაპიტალის ბრუნვა. ამის აქცენტირება აუცილებელია, რადგან არასწორად მოძიებული, შემდეგ დამუშავებული და გაანალიზებული სტატისტიკური მასალა გამოიწვევს მცდარი დასკვნების გაკეთებას და შესაბამისად, შეიქმნება წინაპირობანი არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საგარეო ვაჭრობის სალდო, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ექსპორტისა და იმპორტს შორის. იგი შეიძლება იყოს დადებითი, აქტიური, როდესაც ექსპორტის მოცულობა აჭარბებს იმპორტს და უარყოფითი, პასიური, როდესაც იმპორტის სიდიდე მეტია ექსპორტის მოცულობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

[42] www.geostat.ge საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია.

საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობისა და მისი განვითარების ტენდენციების შესწავლის უნივერსალური სტატისტიკური ინსტრუმენტია,[43]სადაც სისტემატიზირებული სახითაა ასახული მოცემული ქვეყნის მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების ჯამობრივი მონაცემები დროის გარკვეული მონაკვეთისათვის. საგადასახდელო ბალანსი არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და დანარჩენ სამყაროს შორის გარკვეულ მონაკვეთში ყველა ეკონომიკური გარიგების ღირებულების სისტემატიზირებული ჩანაწერი. სავაჭრო ბალანსი ეს არის მოცემული ქვეყნის ფარგლებში ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა.[44]

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა გამოისახება ნატურალურ და ღირებულებით ზომის ერთეულებში. ნატურალურ ერთეულებში ძირითადად გამოისახება პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ცალკეული სასაქონლო პოზიციები, საერთაშორისო ტვირთბრუნვის და მგზავრთბრუნვის სიდიდეები კონკრეტული ქვეყნების მიხედვით და ა. შ. ძირითადად საგარეო ვაჭრობის მონაცემები გამოისახება ღირებულებით ფორმაში (როგორც წესი, აშშ დოლარში).

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ჰარმონიზებული სისტემა საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მასში მრავალი დასახელების საქონელი კლასიფიცირებულია გარკვეული ნიშნების მიხედვით და შექმნილია ესნ-ის სისტემა, მისი გამოყენება ხდება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვისას. საყურადღებოა, რომ სასაქონლო ნომენკლატურის განახლება, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მიღებულია ხუთ წელიწადში ერთხელ.

2012 წლის 1 მაისიდან მოხდა გადასვლა საგარეო ეკნომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ახალ 2012 წლის ჰარმონიზებულ ვერსიაზე. მასში გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ბაზარზე გამოვლენილი ტენდენციები და ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, ცხადია, ქვეყნების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. 2012 წლამდე მოქმედებდა 2006 წლის სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედებული სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია, რომლის

[43] ასლამაზაშვილი ნ.- საერთაშორისო სტატისტიკა თბ.,2009, გვ.85.

[44] მესხია ი. -საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2012, გვ. 300-302.

დეტალიზაცია მოხდა 11 ნიშნა დონეზე. აქედან გამომდინარე შეიცვალა კლასიფიკატორის სტრუქტურაც. ახალ ვერსიაში ზოგიერთი საქონელი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი (დიდი ნაწილი) – გამსხვილებული სახით. მასში შეტანილი იქნა ზოგიერთი სახის შენიშვნა და გაკეთებულ იქნა მცირე ტექსტური კორექტირებები.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას მიზანშეწონილია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას. იმპორტის შემთხვევაში იზრდება მოცემული ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგები, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში მცირდება. ამასთან, სატრანზიტო ან დროებითი ტვირთები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას არ ჰპოვებს, გარდა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლისა.

დეტალურად განვიხილოთ ის საქონელი, რომელიც საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება. ესენია:

- მონეტარული ოქრო, როგორც საფინანსო აქტივი;
- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი. (მაგ. გამოფენებზე გატანილი ხელოვნების ნიმუშები, საწარმოო ნიმუშები, სადემონსტრაციო მოწყობილობები და სამეცნიერო-მეთოდური მასალები, აგრეთვე შეჯიბრებაზე გაყვანილი ცოცხალი ცხოველები და სხვ.)
- , ტერიტორიული ანკლავებიდან მიღებული ან გაგზავნილი საქონელი. მას მიეკუთვნება ე.წ. დიპლომატიური ტვირთები, რომელიც განიხილება როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;
- სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც გადაადგილდებიან საბაჟო ტერიტორიის გავლით მხოლოდ ტრანსპორტირების მიზნით (კიოტოს კონვენცია);
- რეზიდენტების მიერ არარეზიდენტის საკუთრებაში არაფინანსური აქტივების გადაცემა საზღვრის გადაკვეთის გარეშე. ეს აქტივები მოიცავს: მიწას, დანადგარებს და მატერიალურ მარაგებს, მოწყობილობებს. არაფინანსურ აქტივებზე ასეთი სახის საკუთრების ცვლილება ითვლება ფინანსურ ოპერაციად;
- საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა. ეს მოიცავს: ა) ყველა კატეგორიის (მათ შორის მომუშავე არარეზიდენტების)

ჩამოსული მგზავრის მიერ შეძენილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს; ბ) პირდაპირი გამოწერის წესით გაგზავნილი გაზეთები და პერიოდული გამოცემები. გ) უცხოური სახელმწიფოების ანკლავებისა (საელჩოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები და ა.შ.) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული საქონელი, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. დ) ინფორმაციის მატარებლები, რომლებზეც ჩაწერილია ინდივიდუალური დაკვეთით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა;[45]

- შემდგომი გადაყიდვისათვის შეძენილი საქონელი. (გადაყიდვის ქვეშ იგულისხმება, სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის რეზიდენტის მიერ ამავე ქვეყნის არარეზიდენტისგან საქონლის ყიდვა, საზღვრის გადაკვეთის გარეშე სხვა არარეზიდენტისათვის ამავე საქონლის მიყიდვის მიზნით);
- ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გზაში დაკარგული ან განადგურებული საქონელი, იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეტანამდე, ეს საქონელი არ აისახება იმპორტიორი ქვეყნის იმპორტში, მაგრამ უნდა აისახოს ექსპორტიორი ქვეყნის ექსპორტის სტატისტიკაში. მაშინ როდესაც იმპორტიორ ქვეყანას აქვს ასეთი სახის საქონელზე საკუთრების უფლება, საჭიროა მისი ღირებულება ცალკე აღირიცხოს იმპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის მთლიანი იმპორტის გაანგარიშების დროს საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;
- ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული საქონელი, მასში შედის ხომალდები, საფრენი აპარატები, კონტეინერები და ასევეე ხელახალი გამოყენებისათვის დაბრუნებული ცარიელი ბოთლები,
- სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი.[46]

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების მიხედვით ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მიუხედავად იმისა, რომ აისახება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, აუცილებელია ცალკე აღირიცხოს საგადასახდელო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების

[45] საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

[46] იქვე.

საჭიროებიდან გამომდინარე. ასეთი სახის საქონელს მიეკუთვნება: საქონელი, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისათვის (საკუთრების უფლების ცვლილების გარეშე) და საქონელი, რომელიც საზღვარს კვეთს ორ მხარეს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე.

ცალკე უნდა გამოვყოთ ის საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება და არ აისახება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. მას მიეკუთვნება:

- ტექნიკური მომსახურების მიზნით ან სარემონტოდ გადატანილი საქონელი. (არ იქმნება ახალი პროდუქტი.) აქ არ შედის რემონტის ღირებულება, როგორც გაწეული ან მიღებული მომსახურება იმის შესაბამისად, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა საქონლის შეკეთების სამუშაოები;
- ჯართი და ნარჩენები. (თუ მათ არ აქვთ კომერციული ღირებულება);
- საზღვარზე არალეგალურად გადაადგილებული საქონელი, (მაგალითად, მოპარული სატრანსპორტო საშუალებები, ნარკოტიკული ტვირთი კონტრაბანდული საქონელი);
- საქონელი, რომელიც განადგურდა ან დაიკარგა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.[47]

არსებობს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის "ზოგად მეთოდი" და სპეციალური მეთოდი. საქართველო იყენებს აღრიცხვის "ზოგად მეთოდს", რომლის შესაბამისად პარტნიორი ქვეყნის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია: საქონლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა-იმპორტის დროს, ხოლო საბოლოო დანიშნულების ქვეყანა-ექსპორტის დროს. საქსტატისტათვის საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. ამასთან, ინფორმაციის ნაწილი მიიღება სხვადასხვა უწყებებიდან. კერძოდ, მონაცემები სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ დამატებით მიიღება შსს-ის მომსახურების სააგენტოდან, ხოლო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – შესაბამისად შპს "საქართველოს

[47] საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

გაზის ტრანსპორტირების კომპანია"-დან და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-დან.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქსტატი ახორციელებს:

-შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების შესწორებას. კერძოდ, ახორციელებს იმ საქონლის ამოღებას ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას. ასეთი შეიძლება იყოს: დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით არ შედის საქონლით საგარეო ვაჭრობაში მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები.

- საქონლის კოდის, ფასის, წონის, დამატებითი ზომის ერთეულის, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის მიხედვით სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს;

- ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში, ახდენს ღირებულების, რაოდენობის, ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას;

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეყრდნობა რა საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის “საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშებას ახორციელებს აშშ დოლარებში საბაჟო ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

როგორც აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის “ზოგად მეთოდს”. თუმცა ქვეყნების მიერ გამოყენებული სავაჭრო სისტემა შეიძლება იყოს „სპეციალური“. მეთოდის მორგება ხდება იმისდა მიხედვით, თუ ეკონომიკური ტერიტორიის რა ნაწილს მოიცავს სტატისტიკური ტერიტორია.

თუ ქვეყნის ეკონომიკური და სტატისტიკური ტერიტორია ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ გამოიყენება ვაჭრობის ზოგადი სისტემა. შესაბამისად, ამ დროს ექსპორტში და იმპორტში აღირიცხება ყველა საქონელი, რომელიც გადაადგილდება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. ხოლო, როდესაც სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ეკონომიკური ტერიტორიის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, გამოიყენება სპეციალური სისტემა.

განასხვავებენ ვაჭრობის სპეციალური სისტემის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებას. „ვიწრო“ გაგება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას ანუ ეკონომიკური ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც საქონელი შეიძლება რეალიზებული იქნას ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების გარეშე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში იმპორტში აისახება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც შეიტანება სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, ხოლო ექსპორტი მოიცავს მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც გადის ასეთი ზონიდან. აღნიშნული განმარტების შესაბამისად, საქონელი, რომელიც იმპორტირებულია შიდა გადამუშავებისათვის, ან შეტანილია თავისუფალ სამრეწველო ან სავაჭრო ზონაში, ასევე საბაჟო საწყობებში, არ ექვემდებარება აღრიცხვას, რადგან ეს საქონელი არ გაივლის საბაჟო კონტროლის პროცედურებს შიდა მოხმარებისათვის. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ექსპორტის შემთხვევაშიც.

„ფართო“ გაგებით სპეციალური სისტემა გამოიყენება, როდესაც საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში გაითვალისწინება: ა) საქონლის იმპორტი შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდეგ; ბ) თავისუფალ სავაჭრო ზონაში იმპორტირებული ან ასეთივე ზონიდან ექსპორტირებული საქონელი. [48]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველო იყენებს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად სისტემას. ამიტომ უდაოდ საინტერესოა მიმოვიხილოთ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის საკითხები ცალკე ექსპორტისა და იმპორტის მიხედვით.

ვაჭრობის ზოგადი სისტემის შემთხვევაში საიმპორტო ნაკადების გადაადგილება ქვეყანაში ხორციელდება დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტის (როცა ტრანზიტული საქონელი რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე) შედეგად.

საიმპორტო საქონელში შეიძლება გამოვყოთ: უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად), უცხოური საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან მიღებული გარე გადამუშავების შედეგად, ადრე ექსპორტირებული ეროვნული წარმოების საქონელი (იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო ექსპორტირებული).

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემის დროს საიმპორტო ნაკადების გადაადგილების მიმართულების განხილვით დგინდება, რომ საიმპორტო

---

[48].ძებისაური, ლ. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. 2012, გვ.28.

ნაკადები გადაადგილდებიან: თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში და საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებში.

ზოგად იმპორტში ერთიანდება ექვსი განსხვავებული სასაქონლო ნაკადი, (მათ შორის ორი წარმოადგენს რეიმპორტს):

1) დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან უცხოური საქონლის იმპორტი საბაჟო საწყობში ან თავისუფალ ვაჭრობის ზონაში, (გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციის გარდა);
2) დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან თავისუფალი მიმოქცევა, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში უცხოური საქონლის იმპორტი (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა);
3) დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან უცხოური საქონლის იმპორტი, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში;
4) დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან უცხოური საქონლის იმპორტი, რომელიც შედგება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან;
5) ეროვნული (სამამულო) წარმოების საქონელი იმავე ფორმით, რა ფორმითაც ადრე იყო ექსპორტირებული დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში;
6) ეროვნული(სამამულო) წარმოების საქონელი იმავე ფორმით, რა ფორმითაც ადრე იყო ექსპორტირებული, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში.[49]

[49] Internationas Merchandnise Trade Stistics. Compilers Manual. New York.2004. p. 35-39. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf

ადრიცხვის ზოგადი სისტემით ექსპორტის დროს საექსპორტო ნაკადები გადაადგილდებიან:

- თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ტერიტორიიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან;
- საბაჟო საწყობებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან;

საექსპორტო ნაკადებში აისახება: ეროვნული საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ან გადაადგილებულია თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან; ეროვნული წარმოების საქონელი შიდა გადამუშავების შემდეგ, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, ანუ პროდუქცია მიღებულია დამუშავების, გადამუშავების ან შეკეთების შედეგად; უცხოური წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული.

რადგან საექსპორტო ნაკადების მიმართულებაა – დანარჩენი მსოფლიო, ამიტომ „ზოგადი“ სისტემით ექსპორტში შესაძლებელია გაერთიანდეს ექვსი სხვადასხვა ნაკადი (რომელთაგან ორი წარმოადგენს რეექსპორტს):

1. დანარჩენ მსოფლიოში ეროვნული წარმოების საქონელის ნაკადი, რომელიც გადაადგილდება თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან;
2. უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან ექსპორტირებული ეროვნული წარმოების საქონლის ნაკადი, რომელიც გადაადგილდება თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან;
3. დანარჩენ მსოფლიოში დამუშავების, გადამუშავების ან შეკეთების შედეგად მიღებული ეროვნული საქონლის ექსპორტი;
4. უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან ეროვნული საქონლის ექსპორტი შიდა გადამუშავების შედეგად, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისაგან;
5. უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული;

6. უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული.[50]

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ განსხვავებანი საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად და სპეციალურ სისტემებს შორის. მიზანშეწონილია „საექსპორტო ნაკადებისა „საიმპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში განვიხილოთ ცალკ-ცალკე.

სქემა №1.

საექსპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში(ა)

ექსპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
ეროვნული		*საქონელი*
(გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა შიდა გადამუშავების შემდეგ)		
თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი სამრეწველო ზონიდან		
1. დანარჩენ მსოფლიოში	X	X
2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში წარმოშობილი თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან.		X
3. დანარჩენ მსოფლიოში	X[51]	
ეროვნული		*საქონელი*
(მაკომპენსირებელი პროდუქცია შიდა გადამუშავების შემდეგ)		
შიდა გადამუშავების ადგილიდან		

[50]ძებისაური, ლ. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ, 28-30.

[51] ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი, რომლებიც თავდაპირველად შეიტანება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან და შემდგომ ხდება მათი ექსპორტირება.

4. დანარჩენ მსოფლიოში	X	X
5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში წარმოშობილი შიდა გადამუშავების		X
ადგილას, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
6. დანარჩენ მსოფლიოში	X[52]	
უცხოური წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყვნენ იმპორტირებული		
თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ადგილიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან		
7. დანარჩენ მსოფლიოში	RX	RX
8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან		RX
თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
9. დანარჩენ მსოფლიოში	RX	

(ა) აღნიშვნები: X = ექსპორტი; RX = რეექსპორტი[53]

სქემა №2.

საიმპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში(ა)

Iმპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
უცხოური		*საქონელი*
(გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა გარე გადამუშავების შემდეგ)		

[52] ამ კატეგორიას მიეკუთვნება მაკომპენსირებელი საქონელი, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შიდა გადამუშავების ადგილიდან და შედეგად ხდება მისი ექსპორტირება.

[53] Internationas Merchandnise Trade Stistics . Compilers Manual. New York.2004. p.84

დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან		
1. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	M	M
2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში	M	
საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
3. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		M[54]
უცხოური საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქცია გარე გადამუშავების შემდეგ)		
დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან		
4. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	M	M
5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან	M	
თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
6. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		M[55]

[54] ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქციის გარდა) გარე გადამუშავების შედეგად, რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

[55] ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისაგან გარე გადამუშავების შემდეგ და რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

ეროვნული წარმოების საქონელი
იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყვნენ ექსპორტირებული

საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
7. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	RM	RM
8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში საბაჟო საწყობიდან ან	RM	
თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან		
9. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		RM[56]

(ა) აღნიშვნები: M = იმპორტი; RM = რეიმპორტი[57]

როგორც ვხედავთ ვაჭრობის სპეციალური სისტემა არ გულისხმობს ყველა სახის საქონლის აღრიცხვას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სტატისტიკური მოცვის არეალი მცირეა. შედეგად მიღებული მონაცემების სრულყოფილების ხარისხს კიდევ უფრო აკნინებს ის ფაქტი, რომ სხვადასვა ქვეყნებში მისი გამოყენებისადმი არ არსებოს ერთნაირი მიდგომა. ეს ცხადია ქმნის მონაცემთა შეუსაბამობას, რაც საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ერთ-ერთი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ის ფაქტი, რომ სტატისტიკური აღრიცხვისას ქვეყნების ნაწილი იყენებს ვაჭრობის სპეციალურ სისტემას „ვიწრო“ გაგებით, ხოლო უმრავლესობა იყენებს „ფართო“ გაგების სხვადასხვა ვარიანტებს და სტატისტიკურ აღრიცხვაში შეყავს თავისუფალი საბაჟო ზონების მხოლოდ ნაწილი.

[56] ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო ექსპორტირებული და რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

[57] Internationas Merchandnise Trade Stistics. Compilers Manual. New York.2004, pp.85.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემა, თუმცა აქაც ვხვდებით აღრიცხვის ზემოთხსენებულ სხვადასხვა ვარიანტებს, რაც ართულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მონაცემთა ურთიერთშესადარისობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უთუოდ საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორი შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია სტატისტიკურ ტერიტორიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

არსებობს ქვეყნები, სადაც სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყობებს. ესენია: არგენტინა, არუბა, ავსტრია, ისლანდია, მონღოლეთი, პანამა, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი, ურუგვაი; ზოგიერთ ქვეყნებში, სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს თავისუფალ ზონებს. მაგალითად: კუბაში, ქუვეითში, ყირგიზეთში, მადაგასკარში, ნიდერლანდებში, რუმინეთსა და შვეიცარიაში. შვედეთში სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს საბაჟო საწყობს და სტატისტიკური ტერიტორია ფორმირებულია ძირითადად თავისუფალი მიმოქცევის არეალით ლუქსემბურგში. გაერთიანებულ სამეფოში სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყობებს. უნგრეთში კი ტერიტორია არ მოიცავს კომერციულ თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყობებს, გარდა სამრეწველო საქმიანობისათვის შექმნილი კერძო საბაჟო საწყობებისა.

საქართველოში სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს: თავისუფალი მიმოქცევის ზონას, საბაჟო საწყობს და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს.

დასასრულს დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა სპეციალურთან შედარებით საგარეო სავაჭრო ნაკადებს აღრიცხავს უფრო სრულად.

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა ასევე, უზრუნველყოფს უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან. რომელიც რეკომენდირებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებში (ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (SNA 2008) და საგადასახდელო ბალანსის (BPM6) აგების მეთოდოლოგია).

ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემა. ცნობილია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ვხვდებით აღრიცხვის ზემოთხსენებული სპეციალური სისტემის სხვადასხვა ვარიანტებს, საქმე იმაშია, ამ ქვეყნებში ინფორმაციის ძირითად წყაროს პერმანენტული

კვლევები წარმოადგენს, ხოლო საქართველოში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები. ამიტომ დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ნაკადების საერთაშორისო მოძრაობის რეგისტრაციისას, საქართველოში გამოყენებულ უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა, რაც რეკომენდებულია, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2.3 საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

დღეს, როდესაც საქართველოს საგარეო ინტერესებში მოწინავე ევროპული ფასეულობებისა და გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირში გაერთიანება შედის, განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული სტატისტიკის „მოდერნიზების“ საკითხი, რომლის თანმდევი პროცესია „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმ ძირითადი პარამეტრების იმპლემენტაცია, რომელთაც მიეკუთვნება: ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარება დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით. ეს ობიექტურად გარდაუვალი, შეუქცევადი პროცესია და აქტუალურია განსაკუთრებით დღეს, რადგან დღეს უკვე აუცილებელია ამ მიმართულებით სტატისტიკის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. თუმცა დღეს, საქართველოს ევროპასთან მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე, თვალსაჩინო ხდება სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრობლემები, რომელთა დაძლევა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ არასრულყოფილად ხდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის დაფიქსირება. საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში ძირითადად ფიქსირდება მოვაჭრე ქვეყანა და არა საქონლის წარმოშობის ქვეყანა. მაგ., 2014 წლის ივნისის ბაზაში წარმოშობის ქვეყანა არ წერია დეკლარაციების 64%-ში, როგორც ახალი მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, ისე DCFTA-ის (ევროკავშირთან ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება) ფარგლებშიც აუცილებელია საგარეო ვაჭრობაში წარმოშობის ქვეყნის აღრიცხვა.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ერთ-ერთი პრობლემა სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ შევსებაა. საქმე იმაშია, რომ საქონლით საგარეო ვაჭრობის ახალი რეკომენდაციების თანახმად, აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება. ეს შესაძლებელი იყო 2010 წლამდე, მაგრამ დეკლარაციების შევსებაზე დროითი შეზღუდვის დაწესების შემდეგ, აღნიშნული ველის შევსება ნებაყოფლობითი გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ 2010 წლიდან საგარეო ვაჭრობის მონაცემები ტრანსპორტის ჭრილში (რა სატრანსპორტო საშუალებით განხორციელდა საქონლის იმპორტი ქვეყანაში ან ექსპორტი საზღვარგარეთ) აღარ მუშავდება.

მესამე, შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში ხორციელდება იმპორტირებული ავტომობილების შესახებ ზუსტი და არა მიახლოებითი საბაზრო ღირებულების მიწერა. ეს იწვევს გარკვეული შეუსაბამობის წარმოშობას, რადგან მომსახურების სააგენტოდან ყოველთვიურად მიღებულ მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული, ექსპორტირებული და რეექსპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მითითებულია საქონლის მიახლოებითი საბაზრო ღირებულება. სწორედ ეს არის იმ განსხვავების მიზეზი, რომელიც ფიქსირდება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზებსა და შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებს შორის.

ამ საკითხის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული ავტომობილებისათვის შესაბამისი კოდების სწორად მინიჭების საკითხი. ამ საკითხის დასმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არეულია ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანების კოდები, დეკლარაციების ნაწილში კი საქონლის კოდები საერთოდ არ ფიქსირდება. გარდა ამისა, მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში ექსპორტისა და რეექსპორტის შემთხვევაში ქვეყნის კოდების სრულად მინიჭება არ ხდება (მაგალითად, 2014 წლის ივნისის მონაცემთა ბაზაში დეკლარაციების 8%-ს არ უწერია ქვეყანა.) აღნიშნული ველის შევსება კი აუცილებელია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისთვის ქვეყნების ჭრილში.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში ავტომანქანების პირდაპირ რეექსპორტად გაფორმების შემთხვევაში უცნობი რჩება

ამ ავტომანქანის იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტირების თარიღი და საიმპორტო ღირებულება, რადგან აღნიშნულ საქონელზე საიმპორტო დეკლარაცია არ ფორმდება. საჭირო და აუცილებელია პირდაპირ რეექსპორტის რეჟიმით დეკლარირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის ქვეყნის, თარიღისა და ღირებულების დაფიქსირება სტატისტიკური მიზნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ექსპორტზე გაყვანილია მანქანა, რომელიც ქვეყნის იმპორტში არ არის ასახული. შედეგად ექსპორტირებული მანქანების რაოდენობა აჭარბებს იმპორტის მოცულობას, რაც სტატისტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია და ბალანსის დამყარება შეუძლებელია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის (ფორმა №4) სრულყოფილად შევსება ქვეყნების, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდებისა და ღირებულების მითითებით. ფაქტობრივად, გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია (ფორმა №4) არ ითვალისწინებს საქონლის წარმოშობის ქვეყნის, საქონლის კოდის და საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვას. საქონლის აღწერილობაც არ არის ისეთი დეტალური, რომ შესაძლებელი იყოს მისთვის ზუსტი კოდის მინიჭება სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. ყველა დეკლარაციაში არ ფიქსირდება საქონლის ღირებულება. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების მიზანია საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებისათვის დახარჯული დროის შემცირება. ეს კი პრობლემას ქმნის ექსპორტის სრულყოფილად აღრიცხვის მიმართულებით. ასეთი გზით ძირითადად მეზობელ ქვეყნებში გადის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც ფაქტიურად ექსპორტში არ ჩანს.

დღესდღეობით, ჯერ კიდევ პრობლემატურია საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვის საკითხი, საიდანაც მოხდა შემოტანა (გარდა უკან დაბრუნებისა), აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ასეთი ტვირთების აღრიცხვა უნდა მოხდეს იმ შემთვევაში როდესაც უცხოელ მყიდველს ურჩევნია საქონლის მიღება იმავე ქვეყნიდან, საიდანაც მოხდა დასაწყობება.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის აღრიცხვის სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ოპერაციებისათვის 747400 რეჟიმის მინიჭებას (გარდა მესაკუთრის შეცვლისა); ამის აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც ხდება ერთი ტერმინალიდან მეორეში გადასაწყობება; შესაძლოა აქ მოექცეს ისეთი

დეკლარაციები, რომლებიც დროებითი რეჟიმით იყო შემოტანილი, მაგრამ შემდეგ გადაიტანეს საწყობში.

აღრიცხვის თვალსაზრისით გარკვეულ პრობლემებს ქმნის ის ფაქტიც, რომ თვის ბაზაში ზოგ დეკლარაციაზე არ არის მითითებული გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა (ეს საკითხი ეხება როგორც საწყობს, ისე ჩვეულებრივ რეჟიმებს) და რადგან კანონმდებლობით სავალდებულოა აღნიშნული ველის შევსება, შემოსავლების სამსახურის მხრიდან საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის შემდეგ ავტომატურ რეჟიმში მოწესრიგდება ბაზის სრულყოფის საკითხი.

მოუწესრიგებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეცდანიშნულების ტვირთის დეკლარირების საკითხი (უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტვირთები ბოლო 1 წლის განმავლობაში ფიქსირდება) ეს ძირითადად ეხება იმ ბანკნოტებს, რომელიც აქამდე შესაბამის სეს სნ კოდში ტარდებოდა.

აღრიცხვის მოწესრიგებისა და საგარეო ვაჭრობის საინფორმაციო ბაზის სრულყოფის მიზნით აუცილებელია დადგინდეს ვალუტის სახე: ეს ეროვნული ვალუტაა თუ უცხოური. მხოლოდ ამის მიხედვით განისაზღვრება უნდა აისახოს თუ არა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღნიშნული ტვირთები. საქმე იმაშია, რომ ეროვნული ბანკის მოთხოვნით და მიღწეული შეთანხმებით, ბანკნოტების ექსპორტ-იმპორტის წარმოება "გრიფით საიდუმლო" გახდა, რის გამოც ხდება მისი დეკლარირება "სპეცდანიშნულების ტვირთი"-ს სახელწოდებით.

გარკვეული ხარვეზები არსებობს 99050000000 კოდით დეკლარირებული ტვირთების აღრიცხვის სფეროში (ამ კოდით დეკლარირებული იყო ჰუმანიტარული ტვირთები). ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, 99050000000 კოდით დეკლარირებული ყველა საქონელი დიპლომატიური ტვირთი ან ნებისმიერი არარეზიდენტის მიერ დროებით შემოტანილი საქონელია თუ არა.

როგორც წესი, გადამუშავების შემთხვევაში მზა საქონელი უნდა დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, საიდანაც მოხდა ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის შეტანა/შემოტანა. დეკლარაციებში ხშირად ასე არ ფიქსირდება, შესაძლოა ერთი ქვეყნიდან შემოსული ტვირთი (ნედლეული) გადამუშავების რეჟიმით, გადამუშავების შემდეგ გავიდეს სხვა ქვეყანაში. რეალურად გარიგების პირობის თანახმად, შესაძლებელია გადამუშავების შემდეგ საქონლის მიწოდება მოხდეს მესამე ქვეყანაზე. დღეისათვის საბაჟოს მიერ გადამუშავებისა და რემონტის რეჟიმების გამიჯვნა შეუძლებელია.

ექსპორტსა და იმპორტს შორის გარკვეულ დისბალანსს იწვევს მოცემულ ვადაში ავტომანქანის ექსპორტირების შემთხვევაში პირდაპირი რეექსპორტის დეკლარაციის გაფორმება, რის გამოც აღნიშნული ავტომანქანა არ ფიქსირდება იმპორტში (ფიზიკური პირების მიერ ავტომანქანის შემოყვანისას გათვალისწინებულია საშეღავათო პერიოდი განბაჟებამდე).

ექპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხბისას ერთ-ერთ პრობლემას არასწორად მინიჭებული რეჟიმები წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ როცა იმპორტის რეჟიმში ხვდება საქონელი, ენიჭება ქართული საქონლის სტატუსი, მისი ქვეყნიდან გატანის დროს ფორმდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი და არა რეექსპორტი. მოსაგვარებელია დროებითი რეჟიმების აღნიშვნის პრობლემა, რაც შეძლებისდაგვარად საბაჟოს მხრიდან უნდა მოწესრიგდეს. რადგან ზოგჯერ საქონლის იმპორტს და ექსპორტს აფიქსირებს ერთი და იგივე კომპანია, რეალურად ეს რეექსპორტია, მაგრამ უფიქსირდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი; ზოგჯერ აღინიშნება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონელს აღწერილობაში უწერია „უკან დაბრუნების პირობა“, თუმცა რეჟიმში ეს არ არის ასახული, ანუ მინიჭებული უნდა ჰქონდეს დროებითი რეჟიმი; რაოდენობის ველში ყველა საქონელს არ ეწერება სეს სნ HS2012-ში დაფიქსირებული დამატებითი ზომის ერთეული, მაგ.: სპირტიან სასმელებს - აბსოლუტური ალკოჰოლი, სიგარეტებს - ღერები. დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ კი აქციზის გადასახადის განსაზღვრის მიზნით, საბაჟო სიგარეტებს აღრიცხავს კოლოფებში, ხოლო სასმელებს - ლიტრებში. პროგრამა ავტომატურად ანგარიშობს დასაბეგრ თანხას.

პრობლემებია საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსების აგების საკითხშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჯერ კიდევ 2002 წლის ROSC (Report on Observance of Standards and Codes) მისიის ანგარიშის თანახმად, საქართველოს მიეცა რეკომენდაცია დაეწყო ექსპორტ-იმპორტის ინდექსების წარმოება, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო არ განხორციელდა.

2012 წელს საქართველოში ჩამოსული სსფ-ის მისიამ კვლავ გამოკვეთა საგარეო ვაჭრობის ინდექსების აგების პრობლემა, რადგან საგარეო ვაჭრობის ინდექსებით უნდა განხორციელდეს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული ტენდენციებისა და დინამიკის ზუსტი შეფასება. ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსები გამოიყენება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში და სხვა

მართალია არასაკმარისი ინფორმაციულობის გამო პრობლემებია საგარეო ვაჭრობის ინდექსების აგებისას, მაგრამ დღეს უკვე შესაძლებელია ექსპორტის (იმპორტის) მოცულობის შესწავლა შესადარ ფასებში და შესაბამისად, მისი ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინექსების გაანგარიშება. ეს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური შეფასებისათვის აუცილებელია, რდგან მის დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ფასების ცვლილება. 2015 წლის იანვრიდან დაიწყო სწორედ საექსპორტო პროდუქციის ფასების იდექსების აგება და გაანგარიშება, რაც უდაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია. ექსპორტის ფასი გამოხატავს წარმოებული საქონლის ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით. ეს ინდექსი აიგება და გამოიყენება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში სხვადასხვა კონტრაქტის ინდექსაციისთვის, იგი ასრულებს მნიშვნელოვან როლს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის დეფლირების პროცესში. საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსი არის ანალიტიკური ინსტრუმენტი ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისა და მკვლევარებისთვის.[58]

ექსპორტის ფასების ინდექსი მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის, NACE-ის შესაბამის შემდეგ სექციებს: სამთომოპოვებითი მრეწველობა (C სექცია), დამამუშავებელი მრეწველობა (D სექცია), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (E სექცია). ფასების შეგროვება ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ საწარმოებში გამოშვებულ პროდუქციაზე.

საექსპორტო პროდუქციის ფასი, რომელზეც ხდება დაკვირვება, წარმოადგენს მითითებულ პერიოდში საწარმოს მიერ წარმოებულ სამრეწველო პროდუქტზე დაწესებულ გასაყიდ ფასს. საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსი ასახავს მწარმოებელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულების ცვლილებას. მწარმოებლის ფასი არის წარმოებული პროდუქტის ფასი საწარმოს კართან და არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, აქციზს და ტრანსპორტირების ხარჯებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსში ინდივიდუალური საქონლის წონების განახლება ყოველწლიურად ხდება, რაც ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ წარმოების სტრუქტურას.

---

[58] სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. თბ., 2014, გვ.3.

ეს წონები ფაქტიურად წარმოადგენს წარმოებული საქონლის ღირებულების წილს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული საქონლის მთლიან ღირებულებაში. საანგარიშო t პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება t-2 პერიოდის მონაცემები. წონების ყოველწლიური განახლების დროს შეიძლება შეიცვალოს ინდექსში შემავალი სამრეწველო საქონლის ჩამონათვალიც.

თუ საანგარიშო პერიოდში რომელიმე საწარმოს მიერ არ დიქსირდება კონკრეტული პროდუქტის ფასი, მაშინ ინდექსის გაანგარიშებისას სტატისტიკაში გამოიყენება იმპუტაციის მეთოდი.

თუ რომელიმე თვეში, თუ ერთ-ერთ საექსპორტო პროდუქტზე, ფასი არ არის რეგისტრირებული, მაშინ ამ პროდუქტის იმპუტირებული ინდექსი იქნება იმ ჯგუფის ინდექსი, სადაც შედის ეს პროდუქტი. ჯგუფის ინდექსი გაიანგარიშება მასში შემავალი პროდუქტების რეალური ფასების ინდექსების მიხედვით. ხოლო თუ საანგარიშო თვეში ჯგუფში შემავალ არცერთ საექსპორტო პროდუქტზე ფასი არ დაფიქსირდა, მაშინ მათთვის იმპუტირებული ინდექსები გაიანგარიშება ამ პროდუქტების ზედა დონის ჯგუფის ინდექსის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის (NACE) სტრუქტურის შესაბამისად. შეიძლება დროთა განმავლობაში საწარმომ გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, ამიტომ აღარ მოხდეს იმავე ხარისხის პროდუქციის წარმოება, რომლის ფასებზეც ხორციელდებოდა დაკვირვება. აუცილებელი ხდება ახალ და ძველ პროდუქტებზე დარეგისტრირებული ფასების შესადარისობის უზრუნველყობა. ამისათვის საჭიროა „ხარისხობრივი ცვლილების კორექტირების" მეთოდების გამოყენება. ამ დროს აუცილებელია პირობითი საბაზო ფასის გაანგარიშება. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ცალკეულ შემთხვევებში კორექტირების განსხვავებული მიდგომებით აყალიბებს ფასებს. კერძოდ:

1.თუ საანგარიშო თვეში შემცვლელი პროდუქტი ხარისხობრივად განსხვავდება წინა თვის პროდუქტისგან და თანხობრივად გამოხატული ხარისხობრივი სხვაობა ცნობილია, მაშინ კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაფიქსირებული ხარისხობრივი სხვაობისა და წინა თვის ფასის გამოყენებით გაიანგარიშება შემცვლელი პროდუქტის საბაზო ფასი.

2.თუ საანგარიშო თვეში შესაძლებელია შემცვლელი პროდუქტის წინა თვის ფასის დაფიქსირება, მაშინ ამ ფასისა და წინა თვის ინდექსის გამოყენებით გაიანგარიშება შემცვლელი პროდუქტის საბაზო ფასი.

3.თუ საანგარიშო თვეში რეგისტრატორისთვის ცნობილი ხდება, რომ ერთი ბრენდი საანგარიშო თვიდან გაყიდვაში აღარ იქნება, ხოლო საქონელშემცვლელ მეორე ბრენდზე ხარისხობრივი სხვაობისა და წინა თვის ფასის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია, მაშინ საანგარიშო თვეში პირველი ბრენდის წინა თვის ფასსა და მეორე ბრენდზე მიმდინარე თვეში დაფიქსირებულ ფასს შორის სხვაობა მთლიანად მიეწერება ხარისხობრივ განსხვავებას.[59]

საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსის გაანგარიშებისას უმცირესი დონის ინდექსი ეს არის თითოეული საწარმოს მიერ საექსპორტოდ წარმოებული ინდივიდუალური პროდუქტისთვის გაანგარიშებული ინდექსი, რომელიც აიგება ექსპორტის საანგარიშო (t) და საბაზო პერიოდების ფასების ფარდობით.

$$I_i^{t/0} = \frac{p_i^t}{p_i^0}$$

სადაც: i - საექსპორტო (საწარმოს მიერ წარმოებული) პროდუქტი, რომლისთვისაც დაფიქსირდა შესადარი ფასი; $I_i^{t/0}$ არის i-ური საექსპორტო პროდუქტის უმცირესი დონის ინდექსი საანგარიშო t პერიოდში ინდექსის საბაზო პერიოდთან შედარებით; P_i^t – i-ური საექსპორტო პროდუქტის ფასი t პერიოდში; P_i^0 - i-ური საექსპორტო პროდუქტის ფასი ფასების საბაზო პერიოდში.

ექსპორტის ფასების გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით ლასპეირესის ტიპის შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I^{t/0} = \sum_{i=1}^{n} (I_i^{t/0}) \times s_i^b,$$

სადაც, $I_i^{t/0}$ არის ი-ური საექსპორტო პროდუქტის უმცირესი დონის გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით.

$s_i^b = \frac{p_i^b q_i^b}{\sum p_i^b q_i^b}$ არის *i*-ური საექსპორტო პროდუქტის წონა

[59] სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. თბ., 2014, გვ.7.

წონების საბაზო პერიოდში, რომელიც წარმოადგენს წარმოებული i–ური პროდუქტის წილს წარმოების მთლიან მოცულობაში და $\sum_{i=1}^{n} s_i^b = 1$.

p_i^b - შერჩეული საწარმოს მიერ წარმოებული i -ური პროდუქტის ფასი წონების საბაზო (b) პერიოდში;

q_i^b - წონების საბაზო (b) პერიოდში წარმოებული ი-ური პროდუქტის რაოდენობა.[60]

ამავე ფორმულით ხდება ყველა ზედა დონის ინდექსის გაანგარიშება. მაგალითად, სექციის ინდექსი მიიღება მასში შემავალი პროდუქტების გრძელვადიანი ინდექსების შეწონვით, სადაც სექციაში შემავალი პროდუქტების ინდექსების წონების ჯამი უდრის 100%-ს.

მოკლევადიანი ინდექსი წინა თვესთან შედარებით მიიღება ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გაანგარიშებული საანგარიშო და წინა პერიოდის გრძელვადიანი ინდექსების ფარდობით.

საექსპორტო პროდუქციისა და საწარმოების შერჩევის ან საქონლის სპეციფიკაციების ყოველწლიური განახლების პერიოდში, დეკემბრის თვეში, მიმდინარეობს ფასების შეგროვება როგორც ძველ, ასევე ახალ შერჩევაში მყოფი საქონლისთვის, რაც განსხვავებული შერჩევისთვის გაანგარიშებული ინდექსების ჯაჭვური გადაბმის საშუალებას იძლევა. წონების ცვლილების მიუხედავად, ინდექსების ჯაჭვური გადაბმით შესაძლებელია ინდექსის გაანგარიშება გრძელვადიანი საბაზო პერიოდით.[61]

ექსპორტის ფასების ინდექსის გაანალიზების მნიშვნელოვანი ეტაპია ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში ჯგუფების მიერ შეტანილი წვლილების გამოთვლა.

მთლიანი ინდექსის ცვლილებაში ცალკეული ჯგუფის ფასების ცვლილების წვლილი გამოითვლება იმ პროცენტული სხვაობით, რომელიც მხოლოდ ამ ჯგუფის ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული, სხვა დანარჩენი ჯგუფების ინდექსების უცვლელობის პირობებში. ფორმალიზებულად ეს შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად: i-ური პროდუქტის წვლილი თვის ინდექსში[62]

---

[60] სამრეწველო პროდუქციის მარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. თბ., 2014, გვ. 10.

[61]: www.geostat.ge http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/guides/cpi/index.htm

[62] სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ.10.

$$(\frac{I_t^i}{I_{t-1}^i} - 1) \times 100 \times \frac{I_{t-1}^i}{I_{t-1}^a} \times w_t^i$$

სადაც: I_t^i -*i*-ური პროდუქტის ინდექსი t პერიოდში; I_{t-1}^i - *i*-ური პროდუქტის ინდექსი t -1 პერიოდში; I_{t-1}^a - მთლიანი ექსპორტის ფასების ინდექსი t -1 პერიოდში;

w_t^i - *i*-ური პროდუქტის წონა t პერიოდში.

თვის ინდექსში ჯგუფის წონები წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული პროდუქტების წონების ჯამს.

წონის ცვლილების შემთხვევაში i-ური ჯგუფის წვლილი 12 თვის ინდექსში გამოითვლება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:[63]

i-ური ჯგუფის წვლილი 12 თვის ინდექსში=

$$= \left(\frac{I_L^i - I_{t-12}^i}{I_{t-12}^a} \right) \times w_{t-12}^i \times 100 + \left(\frac{I_t^i - 100}{I_{t-12}^a} \right) \times I_L^a \times w_t^i$$

სადაც: I_L^i - იური ჯგუფის ინდექსი წონების ცვლილების პერიოდში;

I_{t-12}^i - i-ური ჯგუფის ინდექსი t-12 პერიოდში (წინა საბაზო პერიოდი=100);

I_{t-12}^a - საესპორტო პროდუქციის ფასების ინდექსია *t-12* პერიოდში;

w_{t-12}^i - *i*-ური ჯგუფის წონა t-12 პერიოდის წარმოების მოცულობა;

I_t^i - *i* ური ჯგუფის ინდექსი t პერიოდში;

I_L^a - პროდუქციის ფასების ინდექსი მთლიანი ექსპორტისთვის წონების ცვლილების პერიოდში;

w_t^i -*i* ური ჯგუფის წონა t პერიოდის წარმოების მოცულობაში.

ექსპორტის ფასების ინდექსის საცდელი გაანგარიშება საქსტატმა 2013 წელს დაიწყო. ექსპორტის ფასების ინდექსი ასახავს ქვეყენაში წარმოებული და ექსპორტირებული სამრეწველო საქონლის ფასების ცვლილებას. ექსპორტიორი საწარმოების შერჩევა და წონების გაანგარიშება ხდება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით. ინდექსის გაანგარიშება ხდება

[63] სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო გვ.12.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის მსგავსად. 2015 წლის იანვრიდან საქსტატის ვებ გვერდზე ქვეყნდება ექსპორტის ფასების ინდექსი 2 ჭრილში: წინა თვესთან შედარებით და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

იმპორტის ფასების ინდექსის საცდელი გაანგარიშება დაიწყო 2015 წლიდან. იმპორტის ფასების ინდექსი ასახავს იმპორტირებული სამრეწველო პროდუქციის ფასების ცვლილებას. იმპორტიორი კომპანიების შერჩევა და წონების გაანგარიშება, ისევე როგორც ექსპორტის ფასების ინდექსისთვის, იმპორტის შემთხვევაშიც ხდება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ექსპორტ-იმპორტის ფასების ინდექსების აგებისას ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს კლასიფიკატორების შესაბამისი დეტალური კონვერტორის არ არსებობა წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაცია კლასიფიცირდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) მიხედვით, ხოლო ფასების ინდექსების გაანგარიშება ხდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE)შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კლასიფიკატორების შესაბამისი დეტალური კონვერტორის (HS-NACE) არ არსებობა ექვსნიშნა დონეზე პროდუქციის მიხედვით ინდექსების გაანგარიშების საშუალებას არ იძლევა. ამ ეტაპზე ინდექსების გაანგარიშება ხორციელდება მხოლოდ NACE–ის4 ნიშნა ჯგუფების დონეზე. ამიტომ საკითხის მოგვარების ერთ-ერთ გზად ქართულ ენაზე კლასიფიკატორების შემუშავება გვესახება.

ცხადია, ამ ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ შესაძლებელი გახდება ფასების ცვლილების თანაფარდობის ანუ „ვაჭრობის რეალური პირობების“ განსაზღვრა. ვაჭრობის მთლიანი პირობების მაჩვენებელი წარმოადგენს თანაფარდობას ექსპორტის ფიზიკური მოცულობის ინდექსსა და იმპორტის ფიზიკური მოცულობის ინდექსს შორის. მნიშვნელოვანია, რომ ამით შესაძლებელი გახდება ვაჭრობის პირობების ინდექსის აგება, რაც ფორმალიზებულად შემდეგნაირად გამოისახება:

$$I_{\text{ვაჭრ. პირ.}} = \frac{I_{\text{ექსპ. საშ. ფასის}}}{I_{\text{იმპ. საშ. ფასის}}},$$

სადაც $I_{\text{ვაჭრ. პირ.}}$ _ „ვაჭრობის პირობების ინდექსია”;

$I_{\text{ექსპ. საშ. ფასის}}$ – ექსპორტის საშუალო ფასის ინდექსი;

$I_{\text{იმპ. საშ. ფასის}}$ – იმპორტის საშუალო ფასის ინდექსი.

თუ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი ერთის ტოლია, მაშინ „ვაჭრობის პირობები“ საანგარიშო პერიოდში ისეთივე იყო, როგორც საბაზისო პერიოდში; თუ ერთზე ნაკლებია, მაშინ საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით არახელსაყრელი „ვაჭრობის პირობები“ აღინიშნება, ხოლო თუ ინდექსი ერთზე მეტია, მაშინ მოცემულ პერიოდში ხელსაყრელი „ვაჭრობის პირობებია.“ ფასების ცვლილების თანაფარდობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსპორტის ფიქსირებული ფიზიკური მოცულობის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი.

ცხადია, ყველა ზემოთჩამოთვლილი, არასრული ჩამონათვალია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში იმ მოსაგვარებელი პრობლემებისა, რომლის არეალიც გაცილებით ფართოა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობები ამ პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული.

თავი III საქართველოს ევროპის ბაზარზე ინტეგრაციის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება

3.1 ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანარჩენ სამყაროსთან მის კავშირურთიერთობებზე, რადგან ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეები მსოფლიო ბაზრების ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების ფონზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების დონისა და მისი განვითარების ტენდენციების შესწავლა სტატისტიკური მეთოდების საშუალებით. უდავოდ დიდია ამ მეთოდების მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის შეფასებისათვის, მითუმეტეს ინტერგაციული პროცესების გაღრმავების თანამედროვე დონისა და მაშტაბების პირობებში.

დღეისათვის, საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ, ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. საქსტატი ამ ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს: სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს, იმ საქონლის ამოღებას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას. აკონტროლებს ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრულ ფასს და შესაბამისად, ახდენს რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას და ა.შ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008-2014 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 47%-ით გაიზარდა, აქედან ექსპორტი გაიზარდა 91,4%-ით, ხოლო იმპორტი 36,0%-ით. ამის მიუხედავად დღეს საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რჩება.[64] საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის სალდო 2014 წლის მონაცემებით -

[64] გაანგარიშებანი წარმოებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

5735 მლნ აშშ დოლარია, რაც 2008 წელთან შედარებით 19,3 %-ითაა გაზრდილი. ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, ამავე პერიოდში ექსპორტისა და იმპორტის საშუალოწლიური ზრდის ტემპებმა შესაბამისად 111,3% და 105,2% შეადგინა.

1995-2014 წლების ექსპორტისა და იმპორტის დინამიკიდან ვლინდება იმპორტის ზრდის ტემპების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის ადგილს უცხოური იაფფასიანი, ხშირ შემთხვევაში, უხარისხო პროდუქცია იკავებს. შედეგად, ვღებულობთ იმას, რომ საქართველოში სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის ზრდის პარალელურად შეინიშნება ექსპორტის ზრდის ტენდენცია, ჯერ კიდევ დაბალია ექსპორტის ზრდის ტემპები. ბოლო მონაცემებით იმპორტი ექსპორტს აღემატება 3-ჯერ.[65]

2008-2014 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ 6,7%-ით გაიზარდა, მაგრამ ასევე გაიზარდა სავაჭრო დეფიციტიც. 2014 წელს 2008 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო 19,3%-ით, ხოლო საშუალო წლიურად 2,9%-ით გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ გაფართოვდა ვაჭრობის გეოგრაფია და გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, რომელმაც ბოლო მონაცემებით 145 ქვეყანა შეადგინა, მაინც არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. 2013-2014 წლებში იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 40-დან 43-მდე გაიზარდა, მაგრამ 94-დან 102-მდე გაიზარდა ასევე იმ ქვეყნების რიცხვიც ვისთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ამავე პერიოდში ძირითადში არ შეცვლილა საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაც.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 5735 მლნ. აშშ დოლარია (რაც წინა წელთან შედარებით 12%-ითაა გაზრდილი) და საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის, მაინც მაღალია როგორც ექსპორტისა და იმპორტის წლიური მაჩვენებელი, ასევე მთლიანად სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი, რომელმაც 11457 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა ექსპორტის წილი, რომელმაც 2014 წელს

[65] Abesadze O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena 2015,pp.13.

25,0% შეადგინა (წინა წელთან შედარებით ის 1,6%-ითაა შემცირებული) და მისი (წილის) საშუალო წლიური მატების ტემპი 2008-2014 წლებში 0,6%-ს გაუტოლდა, (მთლიანად ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპია 111,3%) ხოლო იმპორტის მაჩვენებელი იმავე პერიოდში (2014 წელს 2013 წელთან შედარებით) 2%-ით გაიზარდა და მთლიანი ბრუნვის 75,0% შეადგინა.[66], რომლის (წილის) საშუალო წლიური კლების ტემპმა 2008-2014 წლებში 1% შეადგინა. (მთლიანად იმპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი ამავე პერიოდში 105,2 %–ია).

2014 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით მატების ტემპებია დაფიქსირებული (იხ.ცხრილი1), მაგრამ თუ დინამიკაში გავაანალიზებთ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებს, გამოვლინდება მატების ტემპების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, 2012 წელს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მატების ტემპი 12,7%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 20,3%-ით ნაკლებია, 2011 წელს 33% იყო, 2013 წელს 4,9%, ხოლო 2014 წელს - 4,8% მატების ტემპი დაფიქსირდა. ქვეყანაში იმპორტის მიმართულებითაც შენარჩუნებულია ზრდის ტენდენცია. 2014 წელს იმპორტის მატების ტემპმა წინა წელთან შედარებით 7,1%, ხოლო 2012 წელთან შედარებით 6,8 % შეადგინა. თუმცა 2013 წელს, 2009 წლის შემდეგ, ისევ დაფიქსირდა 0,3%-იანი კლების ტემპი. ექსპორტის მიხედვით კი 2008-2013 წლებში გამოვლენილი მზარდი ტენდენცია 2014 წელს 1.7%-იანი კლებით შეიცვალა. ამან კი საბოლოოდ სალდოს მაჩვენებელი - 12%-მდე დაიყვანა.

ცხრილი №1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ცვლილება (%)
(ცვლილება გაანგარიშებულია წინა წელთან შედარებით)[67]

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტი	33,8	8,2	31,6	21.4	-24.2	48.0	30.5	8.5	22,4	-1,6
იმპორტი	34,9	47,7	41,8	20.9	-28.6	16.8	34.3	13.9	-0,3	7,1
ბრუნვა	34,6	37,5	39,8	21.0	-27.7	23.1	33.3	12,7	4,9	4,8

[66] www.geostat.ge

[67] Abesadze Nino- "The Main Trends of Integration of Georgia into the World Economic System." *Procedia-Social and Behavioral Sciences* 156 ,2014.pp. 166-169.

სალდო	**35,4**	**68,8**	**45,4**	20.8	-30.0	6.3	36.0	12.2	-10	12

თუ გავაანალიზებთ რეექსპორტ-რეიმპორტის მონაცემებს დინამიკაში, შევამჩნევთ, რომ ქვეყანაში ძირითადად რეექსპორტი ფიქსირდება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ რეექსპორტი ქვეყანაში 428-ჯერ აღემატება რეიმპორტს. ამასთან მისი ზრდის ტემპი 2013 წლამდე უსწრებდა არა მხოლოდ ექსპორტის ზრდას, არამედ, 2008 წლიდან აღემატებოდა საგარეო ვაჭრობის დანარჩენი ყველა ზოგადი მაჩვენებლის ზრდის ტემპს. რეექსპორტის სისტემატური ზრდა 2013 წლამდე ძირითადად საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ხარჯზე მოდიოდა, რაც განსაკუთრებით მაღალი იყო ბოლო წლების განმავლობაში. ამის მიზეზია საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და შედარებით ლიბერალური საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკა. ბევრი ქვეყნისათვის ხელსაყრელი იყო საქართველოდან ავტომობილების გაყვანა. 2014 წლიდან რეექსპორტის მაჩვენებელმა დაიწყო შემცირება, რაც ავტომანქანების რეექსპორტის შემცირებას უკავშირდება. ეს აზერბაიჯანის მხრიდან დაწესებული ევრო 5–ის ტიპის სტანდარტის მანაქანების შეყვანამ და ყაზახეთსა და სომხეთში ევრაზიული კავშირის საბაჟო სისტემის მოთხოვნებმა განაპირობა. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ქვემოთ მოცემული დიაგრამა.(იხ.დიაგრამა №1)

დიაგრამა №1

რეექსპორტ-რეიმპორტის დინამიკა



რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებთან რეექსპორტის დინამიკას, აქ ზრდის ტენდენცია შეინიშნება. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ბულგარეთი, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები და გერმანია, საიდანაც რეექსპორტის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს: სპილენძის მადნები და კონცენტრატები, მსუბუქი ავტომობილები, დასაკიდი და ჩასადგმელი საკეტები არაძვირფასი ლითონებისაგან, კაკალი ახალი ან გამხმარი, რეზინის ფეხსაცმელი, ტყავის ძირითა და საფეიქრო მასალის ზედაპირით, რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟისა და კანის მოვლის საშუალებები, ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტიანი სასმელები და ა.შ (იხ. დანართი №1)

დიაგრამა №2

რეექსპორტის დინამიკა ევროკავშირის ქვეყნებთან



რაც შეეხება რეიმპორტს, აქ განსხვავებული სიტუაციაა. რეიმპორტის შედარებით მაღალი მაჩვენებლები მხოლოდ გერმანიასთან ფიქსირდება, ხოლო სხვა ქვეყნებთან იმდენად უმნიშვნელოა, რომ გრაფიკულ გამოსახულებაზე მისი სვეტი არ დაიტანება. 2014 წლიდან შეიცვალა სიტუაცია და გამოიკვეთა რეიმპორტის მიხედვით ძირითადი 5 ქვეყანა, რომელთანაც საქართველომ გააქტიურა თავისი ურთიერთობა (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3

რეიმპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან



რეიმპორტის პროდუქციას მიეკუთვნება: კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი, წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისაგან, ნაღების კარაქი და რძის სხვა ცხიმები, რძის პასტები, რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრის დამატებით ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, ტრაქტორების, მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების ნაწილები და მოწყობილობები, მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ხელსაწყოები და მოწყობილობები და სხვა.

საგარეო სავაჭრო ნაკადების ზრდის ტემპების ცვლილების გამო, ზოგჯერ ძნელდება დინამიკური სურათისა და შესაბამისად ტენდენციების გამოვლენა. ამიტომ სტატისტიკაში გაიანგარიშება საშუალოწლიური ზრდისა და მატების ტემპები. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლების საშუალო წლიური ზრდის ტემპები განსხვავებულია და 2008-2014 წლებში ექსპორტისა და იმპორტისათვის როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაბამისად 111,3% და 105,2%-ს შეადგენს. რაც შეეხება რეექსპორტ-რეიმპორტს, ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპი რეექსპორტისათვის 2008-2014 წლებში დაფიქსირდა და მან 134 პროცენტი შეადგინა. რეიმპორტისათვის კი 137,3%.

კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უფრო დეტალურად განვიხილოთ და გავაანალიზოთ საგარეო ვაჭრობის მონაცემები ევროკავშირის ქვეყნებთან. საქართველოს მთავარ პრობლემად, როგორც საერთოდ საგარეო

ვაჭრობისას, ისე, ევროკავშირთან ურთიერთობისას, უარყოფითი სავაჭრო ბალანსია.

ცხრილი №2

ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები
(ათასი აშშ დოლარი)

წლები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	შალდო
2005	165 160. 2	744 571. 9	909732,1	-579411,7
2006	157 901.9	1 118 926.4	1276828,3	-961024,5
2007	268 530.3	1 546 297.7	1814828	-1277767,4
2008	335 153.8	1 764 268.9	2099422,7	-1429115.1
2009	237 546.8	1 340 887.8	1578434,6	-1103341,0
2010	309 513.4	1 470 643.3	1780156,7	-1439692,0
2011	424 300.2	2 057 198.9	2481499,1	-1632898,7
2012	353 006.5	2 431 111.4	2784117,9	-2078104,9
2013	607 891.3	2 270 720.9	2878612,2	-1662829,6
2014	620 804.6	2 369 355.0	2990159,6	-1748550,4

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან სისტემატურად იზრდება ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის მაჩვენებლები, იმპორტის განსაკუთრებულად მაღალი ზრდის ტემპების გამო კვლავ მაღალია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს მაჩვენებელი. მართალია 2014 წელს მან 1748550,4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და 2012 წელთან შედარებით 16%-ით შემცირდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით 5,2%-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 1 პროცენტითაა გაზრდილი.

ეს ტენდენცია კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც გვიჩვენებს 2005-2014 წლების ექსპორტ-იმპორტის ცვლილებას (პროცენტულად) წინა წელთან შედარებით.

ცხრილი №3

ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ჯაჭვური ზრდის ტემპების დინამიკა (%)

წლები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
2005	0,94	1.20	1,19	1,49
2006	0.95	1.50	1,40	1.65
2007	1.70	1.38	1.42	1,33
2008	1.25	1.14	1.15	1,35
2009	0.71	0.76	0.75	0.77
2010	1.30	1.10	1,13	1.09
2011	1.37	1.40	1.39	1,13
2012	0.83	1.18	1.12	1,27
2013	1.72	0.93	1.10	0.80
2014	1.02	1.04	1.04	1.05

ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების შესაბამისად ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის პერიოდები, საქართველოს საგარეო აქტიურობის მიხედვით პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ. I ეტაპი, 2000-2003 წლებში ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო პროცესების შედარებით სტაბილურ განვითარებას უკავშირდება. ამ პერიოდში საგარეო სავაჭრო ოპერაციების მასშტაბებიც მცირე და შესაბამისად მათი ზრდის ტემპებიც თანაბარზომიერი იყო. (იხ. დიაგრამა №4, 5).

დიაგრამა №4

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის I ეტაპი



დიაგრამა №5

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის I ეტაპი



მეორე ეტაპი მოიცავს 2004-2007 წლებს, როდესაც ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის სწრაფი ზრდის ტენდენციები გამოვლინდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ევროკავშირის ქვეყნებთან იმპორტის ზრდის სწრაფი ტემპები ექსპორტთან შედარებით. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოს საშუალო წლიური ზრდის ტემპის 150 პროცენტამდე გაზრდა.

დიაგრამა №6

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის II ეტაპი



დიაგრამა №7

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის II ეტაპი



საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ზოგადად ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეულია ბოლო, მესამე ეტაპი, რადგან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და ამის საფუძველზე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ეტაპობრივი რეალიზაციის შედეგად ევროკავშირთან გააქტიურდა როგორ საექსპორტო, ისე საიმპორტო ურთიერთობები. რა თქმა უნდა, ამ პერიოდის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე გავლენა იქონია რუსეთ-საქართველოს საომარმა მოქმედებებმა, რის გამოც 2009 წლისათვის ყველა სფეროში ჩავარდნილი დონეები დაფიქსირდა, მაგრამ 2009 წლიდან იწყება სისტემატური ზრდის ტენდენციები, რაც შესაბამისად მზარდი ზრდისა და მატების ტემპებში გამოისახა.

დიაგრამა №8

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის III ეტაპი



დიაგრამა №9

ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის III ეტაპი



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2008 წლის შემდეგ ექსპორტი ევროკავშირთან შემცირდა, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული საომარი მოქმედებების შედეგია. მაგრამ 2012 წლიდან საქართველოში ევროკავშირთან ექსპორტი უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე იმპორტი. განსაკუთრებით გაძლიერდა საექსპორტო ურთიერთობები 2013-წელს. თუმცა, როგორც ვხედავთ, 2014 წელს ოდნავ შემცირებულია საერთოდ ექსპორტის ზრდის ტემპი. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ამავე პერიოდში უარყოფითი სავაჭრო სალდოს საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 102,9% პროცენტი შეადგინა.

სავაჭრო ურთიერთობების შესასწავლად სტატისტიკაში გაიანგარიშება ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, როგორც ექსპორტის თანაფარდობა იმპორტთან, გამოსახული პროცენტებში. ამ მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ დონეს, 45.7%-ს, 2000 წელს მიაღწია. შემდეგ ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტის დინამიკა ცვალებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, 2007-2010 წლებში ის 23,6%-დან 31,9 %-მდე გაიზარდა, 2010-2011 წლებში 31,9%-დან 31%-მდე, ხოლო 2012 წელს 29,5%-მდე შემცირდა. შემდეგ 2013 წელს საკვლევ პერიოდში თავის მაქსიმუმს, 36,2%-ს მიაღწია და ბოლო მონაცემებით 33,3% შეადგინა, რაც 2008 წელთან შედარებით (ამ წელს მისი სიდიდე 23,7% იყო) 9,6 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტის დინამიკას, აქაც საგარეო ვაჭრობაში არსებული სურათის ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა. თუ ის 2007 წელს 17,3% იყო, 2008 წელს მიაღწია 19%-ს, ხოლო 2010წელს 21%-მდე გაიზარდა. 2012 წელს საერთოდ ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტის შემცირების

პარალელურად ის საგრძნობლად შემცირდა ევროკავშირის მიმართ და 14,5% შეადგინა, რაც ევროკავშირთან შემცირებული ექსპორტით აიხსნება. შემდეგ წლებში ის გაიზარდა და 2014 წლის მონაცემებით 26,2%-ს გაუტოლდა.

ცნობილია, რომ ეკონომიკური გახსნილობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილი მშპ-ში ანუ ექსპორტისა და იმპორტის კვოტები. ფორმალიზებულად თანაფარდობანი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$\text{ექსპორტის}_{\text{კვოტა}} = \frac{\text{ექსპორტის მოცულობა}}{\text{მშპ}} \times 100\%;$$

$$\text{იმპორტის}_{\text{კვოტა}} = \frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{მშპ}} \times 100\%,$$

ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ჩაითვალოს მისაღებად, თუ ექსპორტის კვოტა აღემატება 10%-ს. თუმცა როგორც ეკონომიკურ ლიტარატურაშია მითითებული მოცემული მაჩვენებელი ზოგიერთ ქვეყნებში შეიძლება მერყეობდეს 125-180%-მდე.[68]

საგარეო ვაჭრობის კვოტა გამოითვლება საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შეფარდებით მშპ-თან და 100-ზე გამრავლებით. საგარეო ვაჭრობის სალდოს კვოტა გამოითვლება ექსპორტისა და იმპორტის სხვაობის შეფარდებით ექსპორტისა და იმპორტის ჯამთან. სალდოს მაჩვენებელი თეორიულად მერყეობს -100 დან +100-მდე.[69] თუ მისი მნიშვნელობა უტოლდება -100-ს, ეს ნიშნავს, რომ ექსპორტს ადგილი არა აქვს და ქვეყანა მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე. იმ შემთხვევაში თუ მაჩვენებელი მიაღწევს +100-ს, მაშინ ქვეყანა ეწევა მხოლოდ ექსპორტს.

საქსტატის მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ იმპორტის, ექსპორტის, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის სალდოს კვოტის მაჩვენებლები დინამიკაში და შედეგები წარმოვადგინეთ შემდეგი ცხრილების სახით:

ცხრილი №4

კვოტების დინამიკა

კვოტა	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტის	11.7	10,5	14.4	15,2	15.0	18,0	17,3

[68] Экономическая статистика, под.ред. Ю.Н. Иванова. М. 2006,стр.542.

[69] მ. ხმალაძე-სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი II. თბ., 2015, გვ.393

იმპორტის	49,2	41,8	45.2	48,8	50.8	49,7	52.0
საგარეო ვაჭრობის	60,9	52,3	59.6	64	65,8	67,7	69,3
საგარეო ვაჭრობის სალდოს	-61,6	-58,7	-51,6	-52,7	-54,4	-46,8	-50

ევროკავშირის ქვეყნებისათვის დათვლილი მაჩვენებლები კი შემდეგია:

ცხრილი №5

კვოტა	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტის	2,1	1,5	2,7	2.9	2,2	3,7	3,8
იმპორტის	10,8	8,5	12,7	14,.3	15,3	14,1	14,3
საგარეო ვაჭრობის	12,8	10.0	12,4	17,2	17,5	17,8	18,1
საგარეო ვაჭრობის სალდოს	-68	-70	-80,6	-66,2	-74,8	-58,4	-58,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2008-2014 წლების დინამიკაში ექსპორტის კვოტის სიდიდე მისაღებ მინიმალურ დონეს აჭარბებს, ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ბოლო მონაცემებით 17,3-ს შეადგენს. საკვლევ პერიოდში ყველაზე მაღალ ნიშნულს მან 2013 წელს მიაღწია, რომელიც 0,7 პროცენტული პუნქტით შემცირდა მომდევნო წლისათვის. თუმცა საერთოდ ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც საგარეო ბაზარზე ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობის მზარდ დონეზე მიუთითებს. რაც შეეხება იმპორტის კვოტას, აქაც ბოლო წლების მიხედვით იზრდება მისი მაჩვენებელი, რაც შიდა ბაზრის ჯერ კიდევ იმპორტირებული საქონლით გაჯერებას ნიშნავს. ამაზე ნათლად მეტყველებს საგარეო ვაჭრობის სალდოს კვოტის მაჩვენებელიც, (ის ყველა წლის მიხედვით უარყოფითია), რომელმაც როგორც საერთოდ, ისე ევროკავშირთან მიმართებით აჩვენა, რომ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების დიდი ნაწილი იმპორტთანაა დაკავშირებული.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური შესწავლისას აუცილებელია საგარეო ვაჭრობის დონის დახასიათება. ამისათვის სტატისტიკაში ანგარიშობენ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობას საშუალოდ ერთ მოსახლეზე. ამ მაჩვენებლის მისაღებად ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა იყოფა მოსახლეობის საშუალო რიცხვზე, მიღებულ კოეფიციენტებს შორის სხვაობით მიიღება სალდოს კოეფიციენტი. სალდოს კოეფიციენტი პირდაპირ შეიძლება მივიღოთ საგარეო

ვაჭრობის სალდოს შეფარდებითაც მოსახლეობის საშუალო რიცხვთან. საგარეო ვაჭრობის დონე შეიძლება დახასიათებულ იქნას იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობითა და საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლებითაც. იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი გამოითვლება იმპორტის გაყოფით ექსპორტზე, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება იმპორტის მოცულობა ექსპორტს. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებელი კი მიიღება სალდოს შეფარდებით საგარეო ვაჭრობის ბრუნვასთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს სალდოს რამდენი პროცენტი მოდის ექსპორტ-იმპორტის ბრუნვაზე.[70]

ჩვენს მიერ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი გაანგარიშებულ იქნა 2014 წლისა და 2008 წლის მონაცემების მიხედვით როგორც მთლიანად საგარეო ვაჭრობის მიხედვით, ისე ევროკავშირის ქვეყნებთან ბრუნვის მიხედვით. შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით: (დეტალური გაანგარიშება იხილეთ დანართში №2)

ცხრილი №6

	2008 წელი	2014 წელი	2014 წელი კორექტირებული მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით
ექსპორტის დონე	0,34	0.64	0.77
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	0,076	0.138	0,17
იმპორტის დონე	1.44	1,91	2,30
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	0.40	0.52	0.63
სალდოს დონე	1.10	1.27	1,54
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	0.39	0.389	0,47
ბრუნვის დონე	1.78	2.55	3,07
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	0.48	0.67	0,80
იმპორტის-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი	4.21	3.00	3.00
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	5.3	3,82	3.82

[70] მ. ხმალაძე - სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი მეორე თბ.,2015, გვ.420-422.

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლები[71]	61.6%	50%	50%
მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან	82.4%	58.5%	58.5%

მიღებული მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ საგარეო ვაჭრობის ზრდა იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპითაა განპირობებული. თუ 2014 წლისათვის საერთოდ იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს, (ეს 71 %-ით ნაკლებია 2008 წლის მაჩვენებელზე, რაც ექსპორტის ზრდის ხარჯზე შეინიშნება და თავისთავად დადებითი ფაქტია), ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო მეტად, თითქმის 4-ჯერ მეტი მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა 2008 წელთან შედარებით 2014 წელს ევროკავშირთან გააქტიურებულმა საექსპორტო ურთიერთობებმა მისი სიდიდე 39%-ით შეამცირა. 2014 წელს 2008 წელთან შედარებით 11,6%-ითაა შემცირებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ხვედრითი წილიც ბრუნვაში, რომელიც 50%-ს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან 58,5%-ს გაუტოლდა. (რაც 23,9 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული). ექსპორტის ზრდის გამო 43 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა ექსპორტის დონის მაჩვენებელი, რომელიც იმავე პერიოდში 0,34 -დან 0,77-დე, მ.შ. ევროკავშირთან 0.076 -დან 0,17-გაიზარდა. იმპორტის დონე კი 1,44-დან 2,30-მდე და ევროკავშირთან 0,40-დან 0,63 -მდე გაიზარდა.

დეტალურად გავაანალიზოთ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსში ჩამოყალიბებული ტენდენციები. მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველო, სულ უფრო აქტიურად ერთვება ინეგრაციულ პროცესებში, უფრო მეტად მიმზიდველი ხდება მსოფლიოს სავაჭრო პარტიორებისთვის. ასევე, იზრდება უცხოურ ბაზრებზე ქართული პროდუქციის შეღწევის მაჩვენებლები.

2014 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა მსოფლიოს 145 ქვეყანასთან, რომელთაგან 43-თან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო სალდო, 102 ქვეყანასთან –უარყოფოთი. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ისტორიაში როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო ნაკადების მხრივ დაფიქსირდა 2012 წელს. (იხ.დანართი 3) 2014 წელს საექსპორტო

[71] საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლების გამოთვლისათვის მნიშვნელობა არ აქვს სალდო დადებითია თუ უარყოფითი. ამ შემთხვევაში სალდო უარყოფითია, ამიტომ უარყოფით მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ოპერაციები განხორციელდა 122 ქვეყანასთან, რაც 3 ერთეულით ჩამორჩება 2012 წლის და 15 ერთეულით მეტია 2008 წლის მაჩვენებელზე.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2990 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტმა 621 მლნ. აშშ დოლარი (2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა 2369 მლნ. აშშ დოლარი (4 პროცენტით მეტი) შეადგინა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილი 26 პროცენტია, მათ შორის ექსპორტში 22 პროცენტი და იმპორტში 28 პროცენტი (2013 წელს შესაბამისად 26, 21 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 30 პროცენტი (2013 წელს 32 პროცენტი). ქვემოთ მოცემულია დიაგრამებები, რომელიც გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.[72]

დიაგრამა № 10

ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტში



დიაგრამა №11

ქვეყნების ჯგუფების წილი იმპორტში



2014 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა ევროკავშირის 28 ქვეყანასთან, საექსპორტო ურთიერთობები 27 (გამონაკლისია ლუქსემბურგი), ხოლო საიმპორტო ოპერაციები ევროკავშირის ყველა ქვეყანასთან აღინიშნებოდა, რომელთანაც საანგარიშო წელს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 1 748 550,3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 6 ქვეყანასთან: გერმანია, -396 711,7 ათასი აშშ დოლარი, რუმინეთი,

[72] გაანგარიშებანი წარმოებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

307 106,7 ათასი, იტალია -135 425,9 ათასი, ნიდერლანდები-117 311, ათასი, საბერძნეთი - 103 778,5 ათასი, საფრანგეთი.-103615,0 ათასი აშშ დოლარი.

იმპორტის ზრდის მაღალი ტემპების პარალელურად ევროკავშირის ქვეყნებთან შეინიშნება ექსპორტის ზრდაც. ბრუნვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ბულგარეთი (26,4% წილით), რომლის მოცულობა 164 090,2, ათასი აშშ დოლარია, იტალია (13,9%) 86 193,1 ათასი აშშ დოლარი, ესპანეთი (11,3%) 70314,1 ათასი აშშ დოლარი, გერმანია (11,1%) 69141,6 ათასი აშშ დოლარი, ლიტვა (5,1%), 31 764,0 ათასი აშშ დოლარი. რაც შეეხება იმპორტს, აქ უპირობო ლიდერია გერმანია (19,7%),465 853,3, ათასი აშშ დოლარით, შემდეგ მოდის რუმინეთი (13,1%) 311 400,5 ათასი დილარი, იტალია (9,4%) 221 619,0 ათასი დოლარი, ბულგარეთი (8,9%) 209 773,6 ათასი აშშ დოლარი, ნიდერლანდები (6,3%) 148 480,6 ათასი დოლარი და ა. შ.

2000 წლიდან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ევროკავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობასთან და ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურ უმრავლესობასთან ჰქონდა. დღეისათვის საქართველოს ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნიდან საექსპორტო ურთიერთობები არ გააჩნდა მალტასთან, (2000, 2003, 2004,2005, 2008, 2011, 2012 წლებში) ხორვატისთან, (2000, 2002.2003, 2004 წლებში), სლოვაკეთთან (2002 წელს) ფინეთთან (2002, 2004,2005 წლებში) ლუქსემბურგთან (2000, 2002, 2003, 2007 წლეშბი) და სლოვენიასთან (2002 წელს).

საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის ანალიზმა გამოავლინა ზრდის მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 1995-2010 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ გაიზარდა 14,8%-ით. ამასთან, იმპორტი – 14,6%-ით, ხოლო ექსპორტი – 15,5%-ით. 1995-2002 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საშუალოდ 14,8%-ით გაიზარდა, იმპორტის საშუალო წლიური მატების ტემპმი - 8.9% იყო, ხოლო ევროკავშირ-საქართველოს ექსპორტის კი – 15,9%. 2003-2008 წლებში შესაბამისმა მაჩვენებლებმა 28,1%, 34,4% და 34,8% შეადგინა. მაშინ როდესაც აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ექსპორტი წლიურად საშუალოდ 27,1%-ით, ხოლო იმპორტი 40,5%-ით იზარდებოდა. მარტო 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის ექსპორტი - 335,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო იმპორტი - 1756 მლნ აშშ დოლარს ანუ იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას 5-ჯერ აღემატებოდა. ევროკავშირის ქვეყნების წილად სავაჭრო ბრუნვის 26,5% მოდიოდა, მათ შორის ექსპორტის - 22,4% და იმპორტის - 27,5%. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2008-2014 წლებში 43%-ით გაიზარდა,

2990159,6 ათასი აშშ დოლარს მიაღწია და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 22% შეადგინა. ამასთან, ექსპორტი გაიზარდა 85,3%-ით, 620 804,6 ათასი აშშ დოლარს მიაღწია და დაიკავა მთლიანი ექსპორტის 22,0%, ხოლო იმპორტი გაიზარდა 35,2%-ით, 2 369 355,0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და დაიკავა მთლიანი იმპორტის 28%.

ევროკავშირის ძირითადი საექსპორტო ქვეყნების ტოპათეულის წილი მთელ ექსპორტში 19,6%-ს, ევროკავშირთან ექსპორტში 90%-ს და ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის 18,7%-ს შეადგენს. (რაც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 4,9%-ია) (იხ,დანართი 4)

დიაგრამა№12

ევროკავშირის ტოპათეული საექსპორტო ქვეყანა
(2014 წლის მიხედვით)



ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 177 149,7 ათასი აშშ დოლარი, კაკალი ახალი ან გამხმარი, 153 816,6 ათასი აშშ დოლარი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 153 539,7 ათასი აშშ დოლარი, მინერალური და მტკნარი წყლები 115 254,9 ათასი აშშ დოლარი, ფეროშენადნობები 81 365,2 ათასი აშშ დოლარი და ა. შ. (იხ. დიაგრამა №13)

დიაგრამა №13

ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ათეული



2014 წელს საიმპორტო პროდუქციაში სჭარბობდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 572 137,9 ათასი აშშ დოლარი, სამკურნალო საშუალებები- 219 662,0 ათასი აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები- 158 051,3 ათასი აშშ დილარი, ხორბალი და მესლინი - 135 108,3 ათასი აშშ დოლარი, სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან - 109 743,7 აშშ დოლარი და სხვ. (იხ. დიაგრამა №14)

დიაგრამა №14

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ათეული



ძირითადი საიმპორტო ქვეყნების ათეულს ევროკავშირის ქვეყნებიდან ლიდერობს გერმანია, რომლის წილი ევროკავშირთან მთელი იმპორტის 19,7%-ს შეადგენს, შემდეგ მოდიან რუმინეთი და იტალია, შესაბამისად 13,1% და 9,4%-იანი წილით. საერთოდ ამ ტოპათეული ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 20,4%-ია, მათი წილი ევროკავშირთან იმპორტში 74%-ს შეადგენს, რაც მთლიანი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 15,3%-ს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 58,7%-ს შეადგენს. (იხ. დანართი №5)

დიაგრამა№15

საიმპორტო ქვეყნების ათეული



ამრიგად, ევროკავშირი საქართველის ერთ-ერთ საიმედო პარტნიორად გვევლინება, რომელთანაც ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიურად ვითარდება და კიდევ უფრო გაძლიერდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირების შედეგად. მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას, ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, რასაც თავისთავად მოყვება საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდა. ეს კი პირდაპირ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შეუწყობს ხელს, რომლის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ყოველივე ზემოთაღნიშნული საქართველოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული ეკონომიკების განვითარების წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნების მონაწილეობის ხარისხზე.[73]

პროფესორი მერაბ ხმალაძე გვთავაზობს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხის გაზომვის მეთოდიკას და აყალიბებს მისეულ ხედვას. კერძოდ, ავლენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მისი აზრით გავლენას ახდენენ ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციულ პროცესზე. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება: ურთიერთობები დანარჩენ მსოფლიოსთან პირველადი შემოსავლების, მიმდინარე ტრანსფერების, საგარეო ვაჭრობის, ინვესტიციების, საგარეო ვალის მიხედვით. პროფ. მ. ხმალაძე თითოეული ფაქტორისათვის დინამიკაში ანგარიშობს მისი წილს მთლიან შიდა პროდუქტში. ბოლო სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაზე მიღებულ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აგრეგირებულ ჯამურ მაჩვენებელს ის უწოდებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების კოეფიციენტს, რომელიც ახასიათებს საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების დონეს.[74] მის მისაღებად საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს საშუალო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მაჩვენებლების ჯამიდან. გარდა ამისა პროფ. მ.ხმალაძე ანგარიშობს ცალკეული სტრიქონის მიხედვით მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულს და შემდეგ კი მიღებული სვეტებიდან ითვლის კოეფიციენტების საშუალოს.

ცხადია, ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა პროცენტებში შეიძლება მერყეობდეს 0 –სა და 100-ს შორის. კოეფიციენტის 0-თან მიახლოებისას ქვეყანას არანაირი საგარეო ურთიერთობები არ აქვს, ხოლო 100-თან მიახლოებისას ქვეყანა მხოლოდ საგარეო ურთიერთობების ხარჯზე ვითარდება. რადგან 2003-2008წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს ინტეგრირების კოეფიციენტი 21,1%-ია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველომ მოახდინა თავისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოტენციალის მხოლოდ 21,3 %-ის რეალიზაცია. პროფ. მ. ხმალაძე იძლევა ქვეყნების ინტეგრირების დონის შეფასებას სამსაფეხურიანი შკალის მიხედვით თანაბარინტერვალიანი დაჯგუფების საფუძველზე: I. 0-33%-დაბალი; II. 33,3-66,6%-საშუალო; III. 66,6%-100% -მაღალი. ასეთი კლასიფიკაციის შემთხვევაში 2003-2008 წლებში საქართველო ინტეგრირების დაბალი დონის კატეგორიის ქვეყნებში ხვდება.

---

[73] ც. ძოწენიძე საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პრობლემები და პერსპექტივები. ქუთაისი 2014, გვ.35.

[74] მ. ხმალაძე სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., 2011, გვ. 480-481.

ვნახოთ როგორ სიტუაციაა დღეს საქართველოში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით განვსაზღვრეთ კოეფიციენტები, ამასთან, ჩვენს მიერ მოდიფიცირებულ იქნა პროფ. მერაბ ხმალაძის მიერ შემოთავაზებული ქვეყნის ინტეგრაციის ხარისხის გაზომვის ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებელთა სისტემა მშპ-ში საერთაშორისო ტურიზმის წილის მაჩვენებლის დამატებით.

ზემოთ განხილული მეთოდიკის მიხედვით გავიანგარიშეთ ცალკეული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული და შემდეგ მიღებული მნიშვნელობებიდან განვსაზღვრეთ საშუალოები. შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №7

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2008-2014
ურთიერთობები დანარჩენ მსოფლიოსთან:								
პირველადი შემოსავლების მიხედვით	9,3	8,9	10,3	13,4	14,5	13,3	12,5	11,7
მიმდინარე ტრანსფერების მიხედვით	9,6	10,3	10,9	10,9	10,5	10,5	10,8	10,5
საგარეო ვაჭრობის მიხედვით	60,9	52,3	59,6	64,1	65,8	67,7	69,3	62,9
ინვესტიციების მიხედვით	12,2	6,1	7,0	7,7	5,8	5,8	7,7	7,5
საგარეო ვალის მიხედვით	19,4	25,2	28,0	24,7	25,3	26,4	26,5	25,1
საერთაშორისო ტური-ზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით	0.6	0,9	3,2	3,9	5,3	6,4	6.0	3,8
საშუალოდ საგარეო ეკო-ნომიკური ურთიერთობების მაჩვენებლების ჯამის საშუალო (პროცენტებში)	18,7	17,3	19,8	20,8	21,2	21,7	22,1	20,2/20,2

მივიღეთ, რომ განხილულ პერიოდში საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების კოეფიციენტმა 20,2% შეადგინა.

ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთიდან მიღებული და ხშირ შემთხვევაში დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმოგზავნილი ფულადი გზავნილების ხარჯზე ცხოვრობს. ცხადია, მისი სიდიდე საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხზე მოახდენს გარკვეულ გავლენას. შინამეურნეობათა დეკლარირებული მონაცემების მიხედვით ერთ შინამეურნეობაზე უცხოეთიდან მიღებული გზავნილების საშუალო სიდიდემ 36 ლარი შეადგინა, (ერთ სულზე მისი სიდიდე 10 ლარია), რომელიც 2010 წლის მაჩვენებელს 42,9%-ით, ხოლო 2008 ლის დონეს 80%-ით აღემატება. მარტო 2014 წელს ფულადი გზავნილების მოცულობამ 1 440 754, 3 ათასი აშშ დილარი, მათ შორის ევროკავშირიდან 436 062,7 ათასი ანუ მისი 30,3%, ხოლო დსთ-დან 770 781.8 თასი აშშ დილარი და მთელი გზავნილების 53,5% შეადგინა. მართალია გზავნილების სიდიდე წინა წელთან შედარებით 2,5%-ით შემცირებულია, მაგრამ საერთოდ მას უკანასკნელ პერიოდში ზრდის აბსოლუტური ტენდენცია ახასიათებს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი, როგორც მოსალოდნელი იყო შემოვიდა საბერძნეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, გერმანიდან და გაერთიანებული სამეფოდან, ხოლო დსთ-ს სიას სათავეში უდგას რუსეთი, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხი საკმაოდ დაბალია და ის 2003-2008 წელთან შედარებით გაუარესებულია. კერძოდ, ჩვენი გაანგარიშებით 1,1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. როგორც ირკვევა, ინტეგრაციის მაჩვენებლის შემცირება ძირითადად მშპ-ში ინვესტიციების მიხედვით გამოთვლილი წილის მაჩვენებლის შემცირების ხარჯზე მოხდა. საქართველოში შექმნილი ეკონომიკური სურათის ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კოეფიციენტი რეალურად ასახავს საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხს.

სტატისტიკის თეორიაში ანგარიშობენ ცნობილ გასწრების კოეფიციენტს, რომელიც მიიღება ორი მოვლენის ზრდის ტემპების შეფარდებით. გასწრების კოეფიციენტი ახასიათებს, თუ რამდენად იზრდება ერთი მოვლენა მეორესთან შედარებით. ამიტომ თუ ერთმანეთს შევუფარდებთ ექსპორტის ზრდისა და მშპ-ს რეალური ზრდის ტემპებს, მივიღებთ ექსპორტის გასწრების კოეფიციენტს.[75]

[75] Мишел Пебро Международные экономические, валютные и финансовые отношения, пер. С французского. М.,1994, стр.34.

$$\overline{k} = \frac{K_{exp}}{K_{GDP}}$$

ექსპორტისა და მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლების საფუძველზე გავიანგარიშეთ გასწრების კოეფიციენტი, როგორც მთლიანად ექსპორტის, ისე ევროკავშირთან ექსპორტის მიხედვით.

ექსპორტის, მშპ-ს რელური ზრდის მაჩვენებლები და გასწრების კოეფიციენტის მნიშვნელობები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №8

	ექსპორტი ევროკავშირთან	ექსპორტი	მშპ-ს რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	Kგასწრების კოეფიციენტი	Kევროკავშირის ქვეყნებისათვის
2005	0,94	1,34	1.09	1,22	0,86
2006	0.95	1.08	1,09	0,99	0,87
2007	1.70	1,3	1,13	1.50	1,50
2008	1,25	1,2	1, 03	1,17	1,22
2009	0,71	0,76	0,96	0,79	0,74
2010	1.30	1.5	1.06	1,4	1,22
2011	1,37	1.3	1,07	1.2	1.27
2012	0.83	1,08	1,06	1.02	0.78
2013	1.72	1.2	1,03	1.16	1.67
2014	1,02	0,98	1,05	0,94	0,97

ამრიგად, როგორც მონაცემებიდან ჩანს მართალია იზრდება ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის მაჩვენებლები, მაგრამ მშპ-თან წინსწრების მიმართებით არაერთგვაროვანი სურათი ჩამოყალიბდა. თუ 2013 წელს მთლიანი ექსპორტის ზრდის ტემპი 1,67 ჯერ აჭარბებდა მშპ-ის ზრდის ტემპს, 2014 წელს მისი სიდიდე შემცირდა და კოეფიციენტი 0,94-ს გაუტოლდა, (ევროკავშირის ქვეყნებთან 0,97 დაფიქსირდა). არასტაბილური მაჩვენებლები შეინიშნებოდა 2008-2012 წლებშიც. ეს კი ნიშნავს ინტეგრაციის არამდგრადი ზრდის ტენდენციის გამოვლინებას.

3.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები

შესაბამისი ინფორმაციული ბაზის საფუძველზე საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის შესწავლამ შემდეგი სურათი გამოავლინა:

ექსპორტის მიმართულებით საქართველოს ტვირთების საბოლოო დანიშნულების ობიექტი პირველ რიგში არის აზია, რომლის მიმართულებითაც ექსპორტის მოცულობამ 2014 წელს 1 455,577,7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიან ექსპორტის 50,9 %-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 9 %-ით აღემატება 2012 წლის და 112%-ით 2008 წლის დონეს. შემდგომ მოდის ევროპა 2014 წელს 1 455 577,7 ათასი აშშ დოლარით, მთლიან ექსპორტში 38,2 პროცენტიანი წილით, რაც 2012 წელთან შედარებით 75 %-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 114%-ითაა გაზრდილი. მესამე ადგილს იკავებს ამერიკა 285 974,2 ათასი აშშ დოლარით და მთლიან ექსპორტში 10 პროცენტიანი წილით. ეს მაჩვენებელი ამერიკასთან 2012 წლის დონესთან 25%-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 4%-ითაა შემცირებული, რაც ევროპასთან გააქტიურებული სავაჭრო ურთიერთობებით აიხსნება. აღნიშნული ტენდენცია თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა №16

ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულებები



რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, 2008-2014 წლებში, იმპორტი ძირითადად აზიიდან ხორციელდებოდა და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 47.1 პროცენტს შეადგენდა, 4,480,291.8 ათასი აშშ დოლარით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2008 წლებში აზიიდან იმპორტი ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით

გამოირჩეოდა დანარჩენ კონტინენტებს შორის და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 52.1 პროცენტს შეადგენდა. 2008-2014 წლებში კი ევროპიდან იმპორტის წილმა საშუალოდ მთლიანი იმპორტის 41,9 პროცენტი შეადგინა. აზიიდან იმპორტი 2012 წელთან შედარებით 14%-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 61%-ით გაიზარდა. ევროპიდან ექსპორტის ზრდის ტემპები დროში უფრო ცვალებადი აღმოჩნდა, რადგანაც 2014 წელს 2012 წელთან შედარებით 1%-იანი კლების ტემპი, ხოლო 2008 წელთან შედარებით, 22%-იანი მატება დაფიქსირდა. შედარებით სტაბილური ტენდენციით ხასიათდება ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის მოცულობა. 2014 წელს წინა წელთან შედარებით საიმპორტო ნაკადები ამ მიმართულებით 8,6 პროცენტით გაიზარდა, მიაღწია 450 486,9 ათას აშშ დოლარს და მთლიანი იმპორტის 5.2 პროცენტი შეადგინა. (იხ. დიაგრამა №17)

დიაგრამა №17

იმპორტის გეოგრაფიული მიმართულებები



მაშასადამე, 2014 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ძირითადად აზიაა წარმოდგენილი 5935869,5ათასი აშშ დოლარით, 51,8 პროცენტით, შემდეგ მოდის ევროპა 41 პროცენტით და დანარჩენი კონტინენტები ჯამში იკავებენ მხოლოდ 7,2 პროცენტს.

რადგან სადისერტაციო ნაშრომის ობიექტს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები წარმოადგენს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის განხილვის დროს შედარებისათვის ავიღეთ ევროკავშირის ქვეყნები და დსთ-ის წევრი ქვეყნები.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ჯერ კიდევ დსთ-ს წევრი ქვეყნები ასრულებენ. განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საექსპორტო ნაკადებში, რომელიც 2008-2014 წლებში 36,2–51,2 პროცენტის დიაპაზონში მერყეობს, (2003 წელს ეს მაჩვენებელი 48,7% იყო) მაშინ, როდესაც, ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილს 25.0 პროცენტისათვის არ გადაუჭარბებია.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2014 წელს 3593 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2013 წელთან შედარებით 5 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 1465 მლნ. აშშ დოლარი (10 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2127 მლნ. აშშ დოლარი (2 პროცენტით ნაკლები) დაფიქსირდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 31 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 51 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი (2013 წელს შესაბამისად 35, 56 და 27 პროცენტი). 2014 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 12 პროცენტი (2013 წელს ასევე 11 პროცენტი).

დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის მაღალი მაჩვენებლის პარალელურად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში მისი სიდიდეც. 2014 წელს ექსპორტმა 620 804,6ათასი დოლარი შეადგინა. მართალია ეს დსთ-ს მაჩვენებელზე თითქმის 136%-ით დაბალია, მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 12 წლიანი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს ქვეყნების ჯგუფების ჭრილში, ექსპორტისგან განსხვავებული მდგომარეობაა. მხოლოდ 2014 წელს ევროკავშირთან მთლიანმა იმპორტმა 2,369 355,0 ათასი აშშ დოლარი შადგინა, ეს მთლიანი იმპორის 28 პროცენტია და 11%-ით პროცენტით მეტია დსთ-ს მაჩვენებელზე (2014 წელს დსთ-ს იმპირტი 2 127 325,8 ათასი აშშ დოლარია), რომლის წილი მთლიან იმპორტში 25%-ია.

მნიშვნელოვანია ისეთი ჯგუფის განხილვა. როგორიც არის სუამის ქვეყნები, რომელშიც შედიან: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოდან ექსპორტის საკმაოდ მაღალი წილი ფიქსირდება, კერძოდ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 24,1 პროცენტს შეადგენს. როგორც ჩანს, 3 ქვეყანაში კონცერტრირებულია საქართველოს ექსპორტის თითქმის მეოთხედი ნაწილი და სამივე მათგანი ყოფილი კავშირის წევრი ქვეყანაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ექსპორტი ჯერ კიდევ ორიენტირებულია დსთ-ს ქვეყნებზე, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, ღრმა და

ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ფორმირების ფონზე ევროპის შიდა ბაზარზე შეღწევა უკვე ახლო მომავლის პერსპექტივაა. რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, მისი წილი სუამის ქვეყნებიდან ჯამში 20 პროცენტამდე აღწევს.

როგორც კონტინენტების და ქვეყანათა ჯგუფების ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად ობიექტს ტერიტორიულად მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ. მისი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები 2008 წლიდან დღემდე არიან თურქეთი, (1966 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1182 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (853 მლნ. აშშ დოლარი), რომელმაც 2014 წელს ჩაანაცვლა უკრაინა. აღსანიშნავია, რომ 2000-2001 წლებში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეული, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, თურქეთით იწყებოდა, 2002-2005 კი წლებში -. რუსეთით. 2014 წელს მაღალი მაჩვენებლი აქვს ჩინეთსაც. 2014 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა.

ცალ-ცალკე განვიხილოთ უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ათეულები ქვეყნების ჭრილში. 2014 წელს საქართველოს უმსხვილესი საექპორტო ათეულის წილი მთლიან ექსპორტში 75,4 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური მაჩვენებელი 2010 წელს 74,1 პროცენტი იყო. ათეულში გვხვდება დსთ-ის 5 ქვეყანა რომელთა წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 46,7 პროცენტს და ევროკავშირის სამი ქვეყანა - შესაბამისად 11,2 პროცენტული წილით. (იხ. დიაგრამა №18)

დიაგრამა №18



2014 წელს 2013 წელთან შედარებით საექსპორტო ათეულის პირველულ ორ ქვეყანასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ექსპორტის მოცულობა შედარებით შემცირდა, სამაგიეროდ ამ მაჩვენებლის დონე გაიზარდა რუსეთთან. ზრდა

დაფიქსირდა აშშ-ის, ბულგარეთის. ჩინეთის მიმართულებით საექსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდაშიც. ეს ტენდენცია კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე №19

დიაგრამა №19

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეული



საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს: მსუბუქი ავტომობილები (518 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 18 პროცენტი). ფეროშენადნობები - 286 მლნ. აშშ (ექსპორტის 10 პროცენტი), მესამე ადგილზე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფია, რომლის ექსპორტმა 248 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 10 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა №20



უკანასკნელი ორი წლის მიხედვით ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის მონაცემებიდან ჩანს, რომ გაზრდილია თითქმის ყველა სახის საექსპორტო

პროდუქციის მოცულობა მსუბუქი ავტომობილების გარდა. (მისი მოცულობა შემცირდა 27%-ით)

თუ გადავხედავთ ექსპორტის გეოგრაფიულ სტრუქტურას ბოლო წლებში, ექსპორტის საერთო მოცულობის ზრდის ფონზე შემცირებულია გერმანიასა და კანადაში საქართველოს ექსპორტის მოცულობა, თუმცა, ისინი ათეულში ადგილს კვლავ ინარჩუნებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამივე უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას და მათი წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 38,7 პროცენტს, რაც მეტყველებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის მიმზიდველობის დაბალ დონეზე, აქედან გამომდინარე ნაკლებ პოპულარობაზეც.

2014 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო ათეულს სათავეში უდგას აზერბაიჯანი, 5444 მლნ. აშშ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირებულია 23,7 პროცენტით და მისი წილი მთლიან ექსპორტში 19 პროცენტს შეადგენს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანის წილი საქართველოს ექსპორტში წლების განმავლობაში დინამიკაში მაინც იზრდებოდა. 2014 წელს (ფაქტიურად ისევე, როგორც წინა წელს, გამონაკლისია ავტომობილები) ძირითად საექსპორტო პროდუქციას აზერბაიჯანში წარმოადგენდა: მსუბუქი ავტომობილები, საფრენი აპარატის ნაწილები, წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, სამკურნალო საშუალებები, ცემენტი და სხვ.

საექსპორტო ქვეყნების ათეულის მეორე ადგილს იკავებს საქართველოს მეორე მოსაზღვრე ქვეყანა სომხეთი. 2013 წელს სომხეთში ექსპორტმა 2000 წლიდან ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 315,4 მლნ.ლარი შეადგინა, ხოლო 2014 წელს მიღწეული დონე 8,7%-ით შემცირდა 288,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 10.0 პროცენტს შეადგენს. ძირითად საექსპორტო საქონელს 2014 წელს წარმოადგენდა: მსუბუქი ავტომობილები, სატვირთო ავტომობილები, ნახშირბადიანი ფოლადის წნელების სასაქონლო ჯგუფი და სხვა.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით ქვეყნების რეიტინგის სამეულში შედის რუსეთი, (ისევე როგორც მსხვილ საექსპორტო ქვეყნების სამეულშიც.) 2014 წელს მისი წილი მთლიან ექსპორტში 9,6 პროცენტს შეადგენდა და მისი მოცულობა 274,9 მლნ.აშშ.დოლარს. თუ გადავხედავთ მონაცემებს დინამიკაში, მისი წილი ექსპორტში საკმაოდ მაღალი იყო 2000 წელს, როდესაც მაჩვენებელი 20,7 პროცენტს გაუტოლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს

საექსპორტო პროდუქციის მეხუთედი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. 2001-2005 წლებში, რუსეთი ათეულის ლიდერი იყო და ამ პერიოდში საქართველოს მთლიან ექსპორტში მისი წილი საშუალოდ 18.6 პროცენტს შეადგენდა. ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა: ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები, თხილი, შაქარი, მანგანუმის მადნები, საფრენი აპარატები, ჩაი და რკინიგზის ლოკომოტივები. 2010-2011 წლებში რუსეთში გადიოდა: ელექტროენერგია, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მანგანუმის მადნები და ოქსიდები.

2014 წელს საქართველოდან რუსეთში განხორციელებული საექსპორტო ნაკადების დინამიკა შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი დიაგრამის სახით: (დიაგრამა №20).

დიაგრამა №20

ექსპორტის დინამიკა საქართველოდან რუსეთში(2001-2014)



როგორც ჩანს, 2002 წლიდან შეინიშნებოდა ექსპორტის მზარდი ტენდენცია რუსეთში, რომელიც შეიცვალა 2006 წლიდან. ამ დროს მისი მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით 51.0 პროცენტით შემცირდა და 2010 წლამდე სიტემატური შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მისი მიზეზი იყო ემბარგო, რომელიც რუსეთმა, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების გამო, ქართული წარმოების პროდუქციაზე დააწესა. ამის გამო რუსეთში ექსპორტის წილმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 8.1 პროცენტი შეადგინა, მაჩვენებელი

შემდგომ წლებში კიდევ შემცირდა და 2011 წელს რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში 4.7%-ს გაუტოლდა და ის პოზიციურად მე-12 ადგილზე აღმოჩნდა. რადიკალურად იცვლება სიტუაცია 2012 წლის შემდეგ. მარტო 2013 წელს რუსეთთან ექსპორტში 307,4% მატება დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 44,1%-იანი მატებაა და რუსეთის წილმა საქართველოს ექსპორტში 9,6%-ს მიაღწია.

2014 წელს რუსეთში ძირითად საექსპორტო პროდუციას წარმოადგენდა: ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლის მოცულობა მარტო წინა წელთან შედარებით 82%-ით გაიზარდა, მინერალური და მტკნარი წყლები, აქაც მატების მაღალი ტემპი-107% დაფიქსირდა, 4,3 ჯერ გაიზარდა არადენატურირებული 80 % -ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით ეთილის სპირტისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი, 30%-ით გაიზარდა ფეროშენადნობების ექსპორტი.

რაც შეეხება იმპორტს, რუსეთიდან საქართველოში შემოდის ხორბალი, მისი მოცულობა 2013 წელთან შედარებით მართალია მცირედ (1%-ით), მაგრამ მაინც გაიზარდა. გაიზარდა აგრეთვე, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტი 32%-ით, 46%-ით შემცირდა ნავთობი და ნავთობპროდუქტების იმპორტი რუსეთიდან, 2013 წელთან შედარებით 39%-ით გაიზარდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი, შოკოლადისა და კაკაოს შემცველი დანარჩენი მზა კვების პროდუქტების შემოტანა ქვეყანაში გაიზარდა 3%-ით.

საქართველოს უმსხვილესმა საიმპორტო ათეულმა 2014 წელს მთლიანი იმპორტის 68.3 პროცენტი შეადგინა და სხვა ქვეყნებთან ერთად მოიცავდა დსთ-ის და ევროკავშირის 3-3 წევრ ქვეყანას (დიაგრამა №). ანალოგიური მაჩვენებელი წინა წელს 67.4 პროცენტს შეადგენდა ე.ი. ქვეყნის საიმპორტო მოთხოვნის თითქმის 2/3 ათი ქვეყნის პროდუქციით კმაყოფილდება.

დიაგრამა №21

უმსხვილესი საიმპორტო ათეული



საიმპორტო პროდუქციაში სჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომლის იმპორტმა 918 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 10,7 პროცენტი შეადგინა, მსუბუქი ავტომობილები, რომლის იმპორტი 715 მლნ. აშშ დოლლარი იყო და მთელი იმპორტის 8,3 პროცენტია ეკავა, ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი - 369 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4,3 პროცენტი) და სხვა. (იხ. დიაგრამა №22)

დიაგრამა №22



დეტალურად 2014 წლის იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა ძირითადი პროდუქციის მიხედვით ქვემოთაა განხილული.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით იმპორტი თურქეთიდან გაიზარდა 23%-ით, ჩინეთიდან 20%-ით, გერმანიიდან 4%-ით,

იაპონიიდან 15%-ით, აზერბაიჯანიდან 2,4%-ით, რუსეთიდან 1,8%-ით, ხოლო უკრაინიდან- 9%-ით შემცირდა. ყოველივე ამის შედეგად ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა №23



იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში უმსხვილეს ათეულს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 40 პროცენტი უჭირავს ეს მოწმობს იმპორტის ასორტიმენტის მრავალფეროვნებას და ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულების მაღალ ხარისხს შემოტანილ პროდუქციაზე.

როგორც ვხედავთ, უმსხვილეს საიმპორტო ათეულს, 2007 წლიდან დღემდე, სათავეში უდგას თურქეთი. 2014 წელს თურქეთიდან იმპორტმა 1 727 420,4 ათასი აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 20 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 23 პროცენტითაა გაზრდილი. ძირითად საიმპორტო საქონელს სამშენებლო მასალები და სამკურნალო საშუალებები, აირის ტურბინები, შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები, შავი ლითონების მილები და მილაკები, იზოლირებული მავთულები და კაბელები წარმოადგენს. ზოგადად, თურქეთიდან იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია და 1000-მდე დასახელების სასაქონლო ჯგუფს მოიცავს. რაც შეეხება საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებს, აქ გამოიყოფა აზოტოვანი სასუქები (წინა წელთან შედარებით 64%-ითაა გაზრდილი), ტრიკოტაჟის ნაწარმი (გაიზარდა 21%-ით), ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან (გაიზარდა 1,3%-ით), ხორცისა და თევზის ფქვილი გაიზარდა (45%-ით).

იმპორტის მიხედვით მეორე ადგილზე იმყოფება ჩინეთი, 732 958,9 ათასი აშშ დოლარით, რაც მთლიან იმპორტში 9%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით, ამ ქვეყნიდან იმპორტი 19,8 პროცენტით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 19,9%-ით არის გაზრდილი. ჩინეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2006 წლიდან. ამ დროს იმპორტმა 103,331.8 ათასი. აშშ დოლარს გადააჭარბა და 2010 წელს 335 206,5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი 732 958,9ათას აშშ დოლარს მიუახლოვდა.

მესამე ადგილს, სამეულის უცვლელი წევრი, აზერბაიჯანი იკავებს 637 592,2 ათასი აშშ დოლარით. წინა წელთან შედარებით, ამ ქვეყნიდან იმპორტი 2,4 პროცენტით შემცირდა და მთლიანი იმპორტის 7,4 პროცენტი შეადგინა. აზერბაიჯანიდან იმპორტის 82 პროცენტს ნავთობი და ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი შეადგენს. გარდა ამისა, აზერბაიჯანიდან შემოდის თაბაშირი, ანჰიდრიტი, ბათქაში ელექტროენერგია (1000 კვტ. სთ.) ელექტრული აპარატურის საყრდენები და სხვა.

რაც შეეხება რუსეთს, უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების ათეულში, ამჟამად იმყოფება მეოთხე ადგილზე. რუსეთიდან იმპორტი 2014 წელს 2013-წელთან შედარებით 1.8%-ითაა შემცირებული და 577 713,4 ათასი აშშ დოლარია, ხოლო მისი წილი 2014 წელს მთლიან იმპორტში 6 პროცენტს შეადგენს. თუ თვალს გადავავლებთ წარსულის სტატისტიკას, 2000-2007 წლებში რუსეთიდან იმპორტის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 13.7 პროცენტს აღწევდა. განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა ამ მხრივ პოლიტიკურმა ვითარებამ მოახდინა და 2008 წლიდან იმპორტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, საქართველოს მთლიან იმპორტში რუსეთის წილი 2013 წლამდე განუხრელად მცირდებოდა.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები მისი უახლოესი მეზობელი ქვეყნებია, რაც უფრო მეტად მისაღებია ჩვენს ქვეყანაში არსებული დაბალი შემოსავლების პირობებში. ტერიტორიული სიახლოვის გამო ტრანსპორტირებისა და შესაბამისად დაზღვევის დაბალი დანახარჯები უზრუნველყოფს პროდუქციის ნაკლები ფასნამატით მოძრაობას პარტნიორ ქვეყნებს შორის და რეალიზაციის პროცესის უფრო მეტად სტიმულირებას.

3.3 საქართველოს საგარეო ვალის სტატისტიკური ანალიზი

მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ერთ-ერთ მაჩვენებელია სხვადასხვა ქვეყნებთან საგარეო ვალი წარმოსობა. საქართველომ თავისი საგარეო ვალების აღრიცხვიანობის მოწესრიგება 1996-1998 წლებში დაიწყო, რამაც შესაძლებელი გახადა საგარეო ვალის რესტრუქტურიზების შესახებ შეთანხმების გაფორმება ევროგაერთიანებასთან. ორმხრივი შეთანხმებები დაიდო 11 ქვეყანასთან. 2001 და 2004 წლებში საქართველომ მრავალმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე მიაღწია შეთანხმებას კრედიტორ ქვეყნებთან საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით პარიზის კლუბის ეგიდით, რის შედეგადაც ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა საგარეო ვალების მომსახურების სიმძიმე. ზემოაღნიშნული რესტრუქტურიზაციის შედეგად უზრუნველყოფილია საგარეო ვალის მდგრადობა, აღნიშნული ტენდენცია დღემდე გრძელდება. ამჟამად, მიღწეულია ის, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია.

ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელ თანხას, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში. საგარეო ვალის ეს განმარტება საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, ჩართული უნდა იყოს ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში. ანგარიშსწორების დროს საანგარიშო ერთეულად, გამოყენებულია აშშ დოლარი.

სახელმწიფო ვალი საგარეო და საშინაო ვალისგან შედგება. სახელმწიფოს საგარეო ვალი მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალს მოიცავს, ხოლო საშინაო კი სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. საგარეო ვალის წარმოქმნის წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულება (მაგალითად, სომხეთი), საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება, ე.წ. "სასაქონლო კრედიტი" (ჩინეთი, თურქეთი, იაპონია), სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხები.

როგორც 2.1 პარაგრაფში აღვნიშნეთ, საგარეო ვალის სტატისტიკის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

ვალის მნიშვნელოვანი ინდიკატორია მთლიანად სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალები. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე, რაც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალი ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთს (სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად რესურსებზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით). თუ ქვეყნის კერძო სექტორს გაუჩნდება პრობლემები მისი უცხოური ვალდებულებების მომსახურების თვალსაზრისით, მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები ქვეყნის კრედიტუნარიანობის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

2014 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მაჩვენებელმა 13,1 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 150 მილიონი დოლარით ნაკლებია. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს საქართველოს სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალს, კერძო სექტორის საგარეო ვალს და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს. ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალი 5.9 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 35.8%-ია. 2014 წლის ბოლოს საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 1 სექტემბრის მონაცემებს 3.8%-ით აღემატება. სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების მთლიანი ვალი 829 მილიონი დოლარია, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები კი 251 მილიონ დოლარს შეადგენს.[76]

[76] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

დიაგრამა№24



საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 2013 წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და მისმა მოცულობამ 2013 წლის ბოლოს ისტორიულ მაქსიმუმს- 13,6 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 88,3%-ს) მიაღწია. 2014 წელს მისი მოცულობა შემცირებულია, მაგრამ სავალუტო კურსის ცვლილების გამო, ლარში სახელმწოფო ვალის მოცულობა 2014 წელს გაზრდლია. ამავე პერიოდში სამთავრობო სექტორის საგარეო ვალმა 4250 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 4 მლნ დოლარით აღემატება. ეროვნული ბანკის მაჩვენებელი ამ პერიოდში 252 მილიონ დოლარამდე (230 მლნ ლარით) შემცირდა. მთლიანად, სახელმწიფო სექტორის ვალი მშპ-ს 40%-ზე ნაკლები რჩება. კომერციული ბანკების ვალები 200 მლნ დოლარით, სხვა სექტორების ვალები- დაახლოებით 100 მლნ დოლარით გაიზარდა. პირდაპირი ინვესტიციები (კონპანიათაშორისი ვალები) შემცირდა 210 მლნ დოლარით; მთლიანი საგარეო ვალის მოცულობამ 13,5 მლრდ დოლარი, მშპ-ს 83% შეადგინა (გაცვლითი კურსი=1.8). ახალი გაცვლითი კურსის პირობებში ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა აღემატება მშპ-ს მოცულობას (დაახლოებით 110%-ს შეადგენს). სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი. 2015-ის 30 აპრილის მდგომარეობით 4,04 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მთავრობის საგარეო ვალი 4,01 მლრდ აშშ დოლარია.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალი 8.5 მილიარდი დოლარი, 15.9 მილიარდი ლარია (მშპ-ს 52%), სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3,2 მილარდ დოლარს, 5,9 მილიარდ ლარს შეადგენს.

2012-2014 წწ-ში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა კერძო სექტორის საგარეო ვალში. უნდა შევნიშნოთ, რომ კერძო სექტორის დაფინანსება ხელს უწყობს

მომავალ ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ მთვარობის ვალის წილის შემცირება მთლიან საგარეო ვალში პოზიტიურ ცვლილებად ფასდება (ზრდა-პირიქით). საქართველოს მთლიან საგარეო ვალში მთავრობისა და ეროვნული ბანკის წილი 2014 წლის ბოლოს 33,1%-ს შეადგენდა, 2004 წლის 63%-ის ნაცვლად. ამ ტენდენციის გამო გაიზარდა სახელმწიფოს პირობითი ვალდებულებები და ვალის მართვის სტრატეგიაში მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ცვლილებები.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაწილში ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა ვადიანი სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებების დაფინანსების და საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას განთავსებული აქვს ევროობლიგაციები საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე. სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრისთვის მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემები არაფერს გვეუბნება. მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების განსაზღვრა, როგორიცაა ვალის პროცენტული თანაფარდობა საბიუჯეტო შემოსავლებთან, ექსპორტთან და მშპ-სთან. ყველა ამ კრიტერიუმს თავისი ზღვარი აქვს და საბოლოოდ სამივე ერთად აფასებს ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობას. სახელმწიფო ვალის მდგრადობის ყველაზე კარგი განმსაზღვრელი ინდიკატორი მისი ნომინალურ მშპ-თან პროცენტული თანაფარდობაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-ს 60%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის კი ეს მაჩვენებელი 50%-40%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ვინაიდან საქართველო განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება (დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს, სადაც მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე 1,036-4,085 დოლარის ფარგლებშია), ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ- თან მიმართებაში 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

დიაგრამა №25

სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-თან



.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რომ 2003-2007 პერიოდში მთლიანი სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში კლების ტენდენციით ხასიათდება, ამიტომ სახეზე იყო ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი. 2007-2010 წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენცია - საქართველო-რუსეთს შორის საომარი მოქმედებების შემდგომი წლები, ხოლო 2010 წლიდან კი დაიწყო კლება 2013 წლის ჩათვლით. რაც შეეხება 2014 წელს, სახელმწიფო ვალი ნომინალურ მშპ- თან მიმართებაში 35.5% -ია, ხოლო საგარეო ვალის წილი მშპ-სთან კი-26.8%. 2014 წელს შეინიშნება მაჩვენებლის წინა წელთან შედარებით მცირედით გაზრდა. რაც შეეხება ვალის გადახდისუნარიანობას, 2008 წლიდან მოყოლებული ქვეყანა ვალებს ძირითადად დროულად იხდიდა. მაგალითად, 2008 წელს სახელმწიფოს მიერ გადახდილმა ვალმა ამავე წლისთვის გეგმით გადასახდელი ოდენობის 99,2% შეადგინა. 2009 წელს გეგმა 98,6%-ით შესრულდა, 2010 წელს-97,9%-ით, 2011 წელს-99,9%-ით, 2012 წელს-96,7%-ით, ხოლო 2013 წელს კი-96%-ით. რაც შეეხება 2014 და მომდევნო წლებს, ქვეყნის გადახდისუნარიანობა აღებული თანხების რაციონალურ ხარჯვაზე იქნება დამოკიდებული. თუ ვალები ისე იქნება გამოყენებული, რომ შემდეგ ის ქვეყანას დიდ უკუგებას მოუტანს, მაშინ ეს როგორც ქვეყნის გადახდისუნარიანობის, ასევე განვითარების მაღალ ტემპზე გადასვლასაც შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდას, 2008 წლიდან 2011

წლამდე მუდმივი ვარიაციებით ხასიათდებოდა. 2011 წელს აღებული ვალის ოდენობა 2010 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა, ის 712 მლნ. ლარით შემცირდა. ამის მიზეზი მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპი და ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. მშპ-ს ზრდამ მის მაქსიმუმს 2011 წელს მიაღწია, როდესაც 7.2% მატების ტემპი დაფიქსირდა, თუმცა, შემდეგ დაიწყო კლება. 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ვალდებულებები გაიზარდა, 2013 წელს მცირედით ისევ დაიკლო, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ოდენობა 2,2-ჯერ გაიზარდა და 1,636 მლნ ლარი შეადგინა.

ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვალდებულებები ერთი წლის განმავლობაში კი 90 მლნ დოლარით შემცირდა.[77]

სახელმწიფო საგარეო ვალი საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური ვალუტის მოზიდვის ერთ-ერთი მიმზიდველი საშუალებაა. მეტიც, სახელმწიფო საგარეო ვალი საშინაო ვალზე უფრო ხელმწისაწვდომია, რადგანაც ერთწლიანი საშინაო ვალის საპროცენტო განაკვეთი 6,5%-დან იწყება, ხოლო ათწლიანი ვალის საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს. გრძელვადიანი საგარეო ვალის საპროცენტო განაკვეთი კი 1-2%-ის ფარგლებში მერყეობს. საგარეო ვალის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ საგარეო ვალი უცხოურ ვალუტაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემოდინება ლარის გამყარებაზე დადებით გავლენას ახდენს.

2014 წლისათვის მთლიან საგარეო ვალში პირველ ადგილზე კერძო სექტორის ვალია, საბანკო სექტორის საგარეო ვალი 2.7 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო სხვა კერძო სექტორების ვალი 3.5 მილიარდი. სახელმწიფო ვალის მთლიან მოცულობაში საგარეო ვალს 75,4%-, ხოლო შიდა ვალს 24,6 % უკავია. საგარეო ვალში 69% მრავალმხრივი კრედიტორებისა და 19% ორმხრივი კრედიტორების ვალებს უკავია, 12% კი-ევროობლიგაციებს. იხ. დიაგრამა №26 და №27

[77] http://www.mof.ge/4410

დიაგრამა№26[78]



დიაგრამა №27

ნაშთის დინამიკა კრედიტორების მიხედვით[79]



საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალზე წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 2%-ს შეადგენს, მაქსიმალური საკონტრაქტო ვადა 24 წელია. შიდა ვალის მაქსიმალური ვადა არის 10 წელი და საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად მაღალია.

[78] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი.№3, 2014.

[79]იქვე

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ქვეყანას 2,8 მლრდ დოლარი მართებს. კრედიტორ საფინანსო ინსტიტუტებს შორისაა მსოფლიო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი. მათგან ყველაზე მსხვილი კრედიტორი საფინანსო ინსტიტუტი მსოფლიო ბანკია.

საქართველოს 17 ორმხრივი კრედიტორი სახელმწიფო ჰყავს და მათ წინაშე არსებული დავალიანება 709,2 მლნ დოლარამდეა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საგარეო ვალის მოცულობა 500 მლნ დოლარია. ორმხრივი კრედიტორებიდან აღსანიშნავია ავსტრია, გერმანია, საგრანგეთი, იაპონია.

დიაგრამა №28

ნაშთი კრედიტორების მიხედვით[80]



შიდა სავალო ინსტრუმენტებია სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო ობლიგაციები და მათი საპროცენტო განაკვეთები ვადიანობის მიხდვით განსხვავებულია.

ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები 2010 წლიდან 2013 წლის დეკემბრამდე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამის შემდეგ ეს განაკვეთები გაიზარდა 2-3 პროცენტული პუნქტით ინფლაციის განაკვეთის ზრდის

[80] დიაგრამა აგებულია ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

გამო (რეალური საპროცენტო განაკვეთი შემცირდა). ვალის ტვირთის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მთლიანად სახელმწიფო სექტორის ვალის მასშტაბების განსაზღვრა.

სახელმწიფო სექტორი შედგება ყველა იმ ინსტიტუციური ერთეულებისაგან, რომლებიც კონტროლდება პირდაპირი ან ირიბი გზით რეზიდენტი სახელმწიფო ერთეულებისაგან. სახელმწიფო სექტორი მოიცავს: მთლიანად მთავრობასა და სახელმწიფო კორპორაციებს.

სახელმწიფო ვალის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა გვაწვდის ინფორმაციას მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის შესახებ. ის არ მოიცავს სახელმწიფო კორპორციებისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ). სსიპ არიან კვაზი-სახელმწიფო კორპორაციები, ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა, მათ მიერ აღებული ვალები არ არის კონსოლიდირებული ოფიციალურ სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში.

მთლიანი საგარეო ვალის 93.6% დენომინირებულია უცხოური ვალუტით, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალის 47,3% აღებულია სპეციალური ნასესხობის უფლებით, (SDR), 31,9% აშშ დოლარში, ხოლო 17% ევროშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ლარში საგარეო ვალის მოცულობას ზრდის.

დიაგრამა №29



სახელმწიფო ვალის 73,1% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთითაა და 26,9% კი ცვლადი. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.5 მლრდ აშშ დოლარი (15.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2014

წლის მშპ-ს 51.7 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.2 მლრდ აშშ დოლარია (5.9 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 19.2 პროცენტია.

დანიშნულების მიხედვით საგარეო ვალი გამოიყენება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხებისა და რესტრუქტურირებული კრედიტებისათვის, სავალუტო ფონდიდან ეროვნული ბანკის მიერ აღებული სესხებისათვის და ფასიანი ქაღალდებისათვის.

სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი ბიუჯეტის მხარდაჭერასა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდა. (მაგ. მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი-65 მლნ ლარი;) აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო-89 მლნ ლარი და ა.შ.) თუ 2013 წელს ბიუჯეტის მხარდაჭერაზე მოდიოდა ათვისებული თანხის 18,2%, 2014 წელს მისი სიდიდე 31,5%-ით გაიზარდა და 49,7% შეადგინა. მაშინ, როდესაც საგზაო ინფრასტრუქრურის სრულყოფაზე ათვისებული თანხების ხვედრითი წილი 14,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2013 წლის 43,6 %-დან 29,5%-მდე დავიდა.

დიაგრამა №30

ათვისებული თანხა სექტორების მიხედვით

დინამიკაში მცირდება ენერგეტიკის სფეროში ათვისებული სესხების ხვედრითი წილი. 2014 წლის მონაცემებით ის მხოლოდ 5,6%-ის დონეზეა, რომელიც 2012 წელთან შედარებით 17,9% პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

სტატისტიკისათვის მნიშვნელოვანია ვალის კლასიფიკაცია სახეობების მიხედვით.

დიაგრამა №31



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მნიშვნელოვანია მაჩვენებლები დინამიკაში ეროვნული ბანკის მიმართ და ე.წ. ისტორიული ვალის მაჩვენებლები.

3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს წარმოების მოცულობის ზრდაზე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე. საერთოდ საინვესტიციო პოლიტიკა მდგომარეობს მაკრო და მიკროეკონომიკური ინვესტირების შერწყმაში. ამიტომ მისი უმნიშვნელოვანესი პრინციპი იქმნება ყველა ეკონომიკური ბერკეტით – სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნით, საკრედიტო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებით.

ეკონომიკური დატვირთვიდან გამომდინარე ინვესტიციების მთავარი ფუნქცია ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარების ხელშეწყობაა, ის ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ პროცესში ჩართვასა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, გამოაცოცხლებს და წაახალისებს კრიზისში მყოფ საწარმოებს, შიდა წარმოებას უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური

სახსრებით. საქართველო რამოდენიმე ეკონომიკური რეგიონის მაკავშირებელი რგოლია, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მყოფი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და ფაქტიურად ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის როლს ასრულებს. საქართველო ყველაზე მოკლე სატრანზიტო მარშრუტია დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობისა და გაზის, ასევე, მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინვესტიციები, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე. ამისათვის საჭიროა მათი ისეთი განთავსება, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი დონის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებადი საწარმოების ჩამოყალიბება და განვითარება, მრეწველობაში პროდუქციის გადამუშავების მაღალი სტადიის (დონის) მიღწევა, ინოვაციების დანერგვა, ინტელექტუალური საკუთრების შეძენა.[81]

საქართველოში თანამედროვე საინვესტიციო პოლიტიკა ხელსაყრელია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის. კერძოდ, ქვეყანაში არსებობს ლიბერალური საინვესტიციო გარემო, თანაბარი პირობებია შექმნილი ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, ხორციელდება თვისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, არსებობს მხოლოდ 6 გადასახადი და თან შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ქვეყანას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, იზრდება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და ის უცხოელი ინვესტორებისთვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ამ პროცესს უფრო ინტენსიურს ხდის ქვეყანაში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. კერძოდ, ლიბერალიზებული ბიზნესის ლიცენზირებისა და ნებართვის სისტემა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, კონკურენტული, განათლებული კვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა.

ამის შედეგად თანდათანობით უფრო ადვილი ხდება განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის შეღწევა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთი სახის საბოლოო მოხმარების იმპორტირებული პროდუქცია ქვეყანაში შემოდის იაფ, ხშირად დემპინგურ

[81]Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and their Coordination under Advancing Globalization. – The Caucasus & Globalization. CA&CCPress. SWEDEN. Vol. 3, Issue 4, 2009 p. 68-89, pp. 93-94.

ფასებში. იმპორტულ პროდუქტზე დემპინგური ფასები ქვეყნის ეკონომიკისათვის სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი პროდუქციის წარმოება არ არსებობს და მისი წარმოების დაწყება, ე. ი. იმპორტის ჩანაცვლება, დიდი დანახარჯების გამო მიზანშეუწონელია.[82] სხვა შემთხვევებში დემპინგური ფასები მოახდენენ ინვესტიციური აქტიურობის შეზღუდვას. მხედველობაშია მისაღები, რომ კვების მრეწველობაში ხდება ნატურალური ნედლეულის შეცვლა უფრო იაფი იმპორტული მცენარეული ნედლეულით (მაგალითად, რძის პროდუქტების იაფფასიანი პალმის და სხვა ტროპიკული ზეთებით, ხორცის პროდუქტებში გადაჭარბებით ხმარობენ სოიოს და სხვა სუროგატებს). ამის შედეგად უფრო მეტ მოგებას იღებენ გადამამუშავებელი წარმოების მეწარმეები და იმპორტიორები, მაგრამ მკვეთრად მცირდება წარმოება სოფლად, განსაკუთრებით, მეცხოველეობის სექტორში. [83]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა სწორი, ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება იმ წარმოების გნვითარება-გაფართოებისაკენ, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას და ამავე დროს უზრუნველყოფენ იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას.

საქართველოში საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესება.

2003 წლის შემდეგ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა და ინიციატივებმა დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1272 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით აღემატება წინა წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

---

[82] Гадыршин И. Возможности снижения антидемпинговых мер в ходе экономической интеграции. – Общество и экономика. №7, 2011.

[83] აბესაძე,რ. ურდული, ვ. საერთაშორისო ბიზნესის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე მცირე ქვეყანაში,საერთაშორისოსამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენციის:გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები შრომებისკრებული. თბ., 2012 გვ. 303-304

დიაგრამა№32

პირდაპირი უცხოირი ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2010-2014 წ.წ. (მლნ.აშშ.დოლარი)

ამავე პერიოდში რეინვესტიციის მოცულობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №9 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2010-2014 წლებში.

ცხრილი №9

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2010-2014*წ.წ,

	2010	2011	2012	2013	2014*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	28	30	13	29	21

როგორც ვხედავთ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში პირველადი ინვესტიციიდან შემოსავლის სახით მიღებული სახსრების ხელმეორედ, დამატებით დაბანდების ხვედრითი წილის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბოლო პერიოდში 2012 წელს დაფიქსირდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ინვესტიცირების შედეგად შემოსავლების მხოლოდ 13 პროცენტი იქნა ხელახლა დაბანდებული, რაც ინვესტორისათვის არასასურველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებით იყო გამოწვეული. 2013 წელს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა, რაც დადებითი ფაქტია, მაგრამ 2014 წელს 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21% შეადგინა.

თუ გავაანალიზებთ კვარტლების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკას, თვალში საცემია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი ზრდის ტემპი 2014 წლის მე-4 კვარტალში.

დიაგრამა№33

ინვესტიციები კვარტლების მიხედვით 2009-2014 წ.წ.



საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის მე-4 კვარტალში 349.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 53.9%-ით აღემატება 2013 წლის მე-4 კვარტალის დაზუსტებულ მაჩვენებელს, ხოლო 49.4%-ით 2012 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემს (2012 წლის მეოთხე კვარტალში - 233 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა). 2014 წლის IV კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 24 პროცენტით, საიდანაც 84 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, მეორე ადგილზეა ნიდერლანდები 19%(67 მლნ აშშ დოლარი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს გაერთიანებული სამეფო (66 მლნ აშშ დოლარი) ასევე 19 პროცენტით.

სექტორების მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის, სადაც 90 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მეოთხე კვარტლის მთლიანი ინვესტიციების 25.6%-ს შეადგენს. მას მოჰყვება მშენებლობა - 87 მლნ. (მთლიანი ინვესტიციების 25%), საფინანსო სექტორი –78 მლნ. (22.4%), სასტუმროები და რესტორნები–29

მლნ.(8.4%), დამამუშავებელი მრეწველობა –22 მლნ.(6.2%), სამთომოპოვებითი მრეწველობა – 14 მლნ.(4.0%), ენერგეტიკა – 6 მლნ.(1.7%), სხვა – 23 მლნ.(6.5%)აშშ დოლარით.[84]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული.[85] როგორც მოსალოდნელი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ძირითადად თბილისსა და აჭარაში განხორციელდა, ხოლო შემდეგ კახეთსა და სამეგრელოში.

დიაგრამა № 34

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით



2010-2014 წლებში საინვესტიციო ნაკადების დინამიკის მიხედვით წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 2198 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (იხ ცხრილი 10)

ცხრილი №10

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2014წწ. (მლნ.აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები,	814	1 117	912	942	1272

[84] www.economy.ge

[85] ჯამაგიძე, ლ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაადგილების დეტერმინანტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი,2014, №3 გვ. 87

სულ					
მათ შორის:					
შემომავალი ნაკადები	1 303	1 596	1 430	2 234	2 198
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-488	-478	-518	-1 292	-925

თუ გადავხედავთ 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით გამოვლინდება ლიდერი ინვესტორი ქვეყნების გარკვეული ნაწილი, რომელთა შორის ლიდერობა სხვადასხვა წლების მიხედვით სხვადასხვა ქვეყნებს ერგო წილად.

2014 წლის მონაცემების მიხედვით ინვესტორი ქვეყნების ათეულს ლიდერობს ნიდერლანდები (2013 წელსაც ლიდერი ნიდერლანდები იყო), საიდანაც 331,2 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მეორე და მესამე პოზიციას შესაბამისად აზერბაიჯანი - 302,1 მლნ დოლარით, ჩინეთი - 194,9 მლნ დოლარით იკავებენ, 2012 წელს კი ტოპათეულს ლიდერობდა გაერთიანებული სამეფო, 2010 წელს კი აშშ.

დიაგრამა №35



სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით 65 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №36, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 26 პროცენტით, მეორეზე - აზერბაიჯანი 24 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 15 პროცენტით.

დიაგრამა№36



თუ გავაანალიზებთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეტროსპექტრულ სურათს, შევნიშნავთ, რომ ინვესტირებაში განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდება. 2005 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 449,8 მლნ აშშ დოლარი (2004 წელს - 499 მლნ აშშ დოლარი). გარკვეული კლება წინა წლებთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებით, თუმცა სხვა ინვესტიციების (არა ნავთობსადენთან დაკავშირებული) მოცულობა 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 44 მლნ აშშ დოლარით-183 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2005 წელთან შედარებით 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 740,2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 1 190 მლნ აშშ დოლლარს გაუტოლდა, ხოლო 2007 წელს 2 014,8 მლნ აშშ დოლარი გახდა (2006 წელთან შედარებით მატების ტემპმა 69,3% შეადგინა). 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შემცირდა 450 მლნ აშშ დოლარით (23 %-ით) და 1 564 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წელს კიდევ უფრო შემცირდა 905.6 მლნ აშშ დოლარით ანუ 58%-ით და 658.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა №37

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა[86]



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2 015 მლნ აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69,3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. მკვეთრად შემცირების შემდეგ 2010 წლიდან ფიქსირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპები. 2011 წელს წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 37%-ით გაიზარდა და 1 117.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, 2012 წელს, საქართველოში 18%-ით ნაკლები ინვესტიცია განხორციელდა (912 მლნ აშშ დოლარის მოცულობით), 2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1255 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 37%-ით აღემატება.

2013 წელი ქართული ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან განხორციელდა ეკონომიკის და ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება, შეიქმნა წარმოების განვითარებისათვის თავისუფალი გარემო, მეწარმეს მიეცა საშუალება თავად განსაზღვროს საკუთარი ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები, ცხადია, მათი კერძო საკუთრების უფლებების დაცვის პირობებში.

2014 წლის ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების შეძენა (რაც წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს) 9 თვის (იანვარი-სექტემბერი) მონაცემებით 1081,8 მლნ ლარს გაუტოლდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ძირითადი

[86] დიაგრამა აგებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

კაპიტალის მთლიანმა ფორმირებამ 7,534.7 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, სახელმწიფოს ინვესტიციამ მთლიან ინვესტიციაში დაახლოებით 31.5% შეადგინა, ხოლო კერძო ინვესტიციის მოცულობამ – 68,5%.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა 343 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 295 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა 174 მლნ. აშშ დოლარით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2014 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №11

ცხრილი №11

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014*
სულ	814	1 117	912	942	1 272
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	215	127	73	140	343
მშენებლობა	5	48	42	50	295
დამამუშავებელი მრეწველობა	175	120	168	100	174
ენერგეტიკა	22	204	179	245	99
უძრავი ქონება	119	225	53	42	87
საფინანსო სექტორი	107	168	163	166	78
სამთომოპოვებითი მრეწველობა	53	40	5	44	48
სასტუმროები და რესტორნები	17	23	18	-13	40
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	9	15	16	12	19
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1	17	18	1	1
დანარჩენი სექტორები	90	131	178	156	88

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №38:

დიაგრამაში №38

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წელს



2013 წელს კი ყველაზე მეტი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა ენერგეტიკის სექტორში – მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21,7 %. საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიცებმა მთლიანი მოცულობის 18,6% შეადგინა, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 15,1%, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში 14,7%

2009-2012 წლის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში მცირდებოდა. ასე მაგალითად, თუ 2009 წელს ეს მაჩვენებელი 37,6% იყო, 2010 წელს 34,9% დაფიქსირდა, 2011 წელს 22,9% და 2012 წელს 24,2% აღინიშნა. 2012 წლიდან დაიწყო მომატება და ბოლო მონაცემებით სახელმწიფო ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში 31,5%-ია.

საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ევროკავშირის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რომელთა მოცულობამ 2014 წელს 640,507.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64%-ით მეტია 2013 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 45%-თ აღემატება 2012 წლის და 158%-თ 2010 წლის დონეს, მაგრამ 44%-ით ჩამორჩება 2007 წლის მაჩვენებელს, როდესაც ინვესტიციების მოცულობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია.

დიაგრამა №39

ინვესტიციების დინამიკა 2000-2014 წლებში



ცხრილი 12

ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ავსტრია	11,384.4	51,463.4	29,709.0	10,045.0	28,517.2	13,499.9	5,235.0	2,719.5
ბელგია	1,563.7	62.0	112.7	23.4	-19.5	-844.8	92.5	508.5
ბულგარეთი	20.6	12.7	-291.4	-90.0	916.4	2,234.6	2,562.6	854.5
კვიპროსი	148,643.6	26,165.8	-1,612.1	40,387.7	10,358.7	38,684.6	-106,439.9	12,506.9
ჩეხეთი	227,926.4	34,857.6	45,679.0	24,213.5	46,598.3	8,031.4	43,578.3	7,458.0
ანია	158,126.2	256.3	-427.3	18.1	97,170.4	6,558.1	9,572.4	10,804.2
ესტონეთი	594.0	-210.8	5,723.2	-51.9	-332.5	385.5	-1,974.3	1,864.3
ფინეთი	-	-	-	1,533.3	993.0	1,085.7	1,235.9	844.4
საფრანგეთი	43,726.0	8,179.7	11,958.4	-7,820.1	7,353.1	25,863.8	11,034.4	19,479.4
გერმანია	56,987.8	40,590.6	21,345.0	12,848.0	25,512.9	138,812.5	21,828.3	-2,969.4
საბერძნეთი	1,349.7	-1,850.4	1,521.6	4,485.3	1,184.8	177.9	-552.6	-649.5
უნგრეთი	1,010.1	1,025.3	-46.9	-	-	-32.5	-79.5	-
ირლანდია	-1,663.2	223.5	64.6	316.2	278.5	206.5	733.7	994.9
იტალია	15,228.1	6,047.8	1,683.8	5,140.8	-5,233.3	529.2	-141.7	3,949.6
ლატვია	3,102.1	756.5	-18.0	-0.5	-103.0	1,052.4	-2,675.7	6,138.7
ლიტვა	327.3	-113.9	3,560.3	2,441.1	-1,847.1	578.4	5,390.9	3,618.9
ლუქსემბურგი	9,245.7	5,731.0	9,496.6	7,059.9	43,284.0	42,031.6	142,545.0	85,243.1

მალტა	-	-	-	16,767.9	6,186.3	32,204.2	43,165.8	38,391.4
ნიდერლანდები	299,277.2	135,870.2	32,586.4	73,362.2	241,819.1	35,368.2	153,184.8	331,234.4
პოლონეთი	19.1	22.9	10.8	53.0	152.3	-13.6	1,363.8	-22.4
პორტუგალია	13.2	117.2	24.4	21.6	-3.7	167.9	2,489.9	-1,275.9
რუმინეთი	-	5,430.6	-	-11.2	41.3	-	80.6	432.5
სლოვაკეთი	-	-	23.3	8.8	20.1	3,686.3	-278.0	291.3
ესპანეთი	3,590.2	5,474.8	137.0	91.4	30.2	941.9	-1,645.1	3,254.8
შვედეთი	6,779.1	7,634.8	-8,831.4	-1,596.1	-3,615.2	-4,464.5	5,265.2	983.9
გაერთიანებული სამეფო	145,474.8	148,907.6	72,313.2	58,964.2	54,976.7	93,603.1	55,171.3	113,851.5

დიაგრამა№40

2014 წელს შემოსული ინვესტიციების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნების ტოპათეული შემდეგნაირად გამოიყურება:



წინა წელთან შედარებით ძირითადად არ შეცვლილა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული, მხოლოდ ზოგიერთმა ქვეყნებმა დაიკავეს განსხვავებული ადგილები ათეულში მაგ., საფრანგეთი-მეშვიდე ადგილიდან გადავიდა მე-5-ზე, ლუქსემბურგი-მეორედან გადავიდა მესამეზე, ლიტვა საერთოდ აღარ მოხვდა ათეულში და ა.შ (იხ. ცხრილი №13). მაშინ, როდესაც 2012 წელს ინვესტორ ქვეყნების სიას ლიდერობდა გერმანია, 2013-2014 წლებში ის ათეულშიც ვერ შევიდა.

ცხრილი№13

ძირითადი ქვეყნების წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014წ

ქვეყანა	2013		2014	
	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	წილი(%)	მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	წილი(%)
ნიდერლანდები	153,184.8	16,3	331,234.4	26
გაერთიანებული სამეფო	55,171.3	5,9	113,851.5	8.9
ლუქსემბურგი	142,545.0	15,1	85,243.1	7
მალტა	43,165.8	4,6	38,391.4	3
საფრანგეთი	11,034.4	1,2	19,479.4	2
დანია	9,572.4	1	10,804.2	1
ჩეხეთი	43,578.3	4,6	7,458.0	0.6

აღსანიშნავია, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა გულისხმობს იმას, რომ ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური განვითარებას და ამის საფუძველზე ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ღია ეკონომიკა, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ფორმირება და შესაბამისად კარგი საინვესტიციო გარემო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის, ერთმანეთს ავსებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მთავარი პრობლემა კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსია. დიდი და მზარდი სავაჭრო დეფიციტი კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ღია ვაჭრობას ავტომატურად არ მოაქვს სარგებლობა. ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით საინვესტიციო და ბიზნესკლიმატი მეწარმეებისათვის ვერ ქმნის სათანადო პირობებს აქტიურობისა და სტიმულირებისათვის.

3.5 ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების გრძელვადიანი პროგნოზების გაანგარიშება

ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირება ემყარება ტრენდის გამოვლენას. თანამედროვე სტატისტიკის პრაქტიკაში ტრენდის გამოვლენისა და ანალიზის მრავალი მეთოდი გამოიყენება, მათ შორისაა მექანიკური და ანალიზური მეთოდები. მექანიკური მეთოდი მოიცავს: სრიალა (ანუ მცოცავი) საშუალოს, სასუალო აბსოლუტურ მატებისა და საშუალოწლიური ზრდის ტემპების საფუძველზე ტრენდის გამოვლენას, ხოლო ანალიზური მეთოდები გულისხმობს სხვადასხვა სახის ფუნქციების გამოყენებას. თუმცა, ტრენდის ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მიდგომა: ლოგიკური და ფორმალიზებული. ლოგიკური მიდგომის დროს ტრენდი განხილული უნდა იყოს როგორც მრავალი სხვადასხვა ფაქტორის (ძირითადი და არაძირითადი, რაოდენობრივად განზომადი და არაგანზომადი ფაქტორების) ერთობლივი ზემოქმედების შედეგი. ამასთან, აუცილებელია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტორების გავლენის შეფასება ცალ-ცალკე. ფორმალიზებული მიდგომის გამოყენებისას საჭიროა დინამიკური მწკრივის დანაწევრება შემადგენელ კომპონენტებად და მათი ცალ-ცალკე გამოსახვა სტატისტიკური ფორმით.[87]

ჩვენი აზრით, სტატისტიკური პროგნოზირების დროს მიზანშეწონილია მოცემული ემპირიული მწკრივის ანალიზი როგორც ლოგიკური, ისე ფორმალიზებული მიდგომების გამოყენებით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღწევა რეალური ტრენდის გამოვლენა, რაც საფუძვლად დაედება ადეკვატური საპროგნოზო მოდელების შერჩევას და შესაბამისი პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშებას.

ნულოვანი ტრენდის გამომსახველი დინამიკური მწკრივების პროგნოზირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ ასეთი დონეები იშვიათია, რადგან ეკონომიკური მოვლენების მდგომარეობის ამსახველი დინამიკური მწკრივის დონეები სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო მნიშვნელოვნად შეიძლება განსხავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამიტომ ტრენდის გამოსავლენად მიზანშეწონილია მცოცავი საშუალოს გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ

[87].გელაშვილი, ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება გვ 71

ინტერვალის სიდიდის ოპტიმალური ვარიანტის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. იგი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

ზოგადად დინამიკური მწკრივი გამოისახება შემდეგნაირად: $y_1, y_2, y_3, \ldots y_n$, პირობითად ინტერვალის სიდიდედ ავირჩიოთ 3, მაშინ სრიალა საშუალოს მეთოდით ტრენდის გამოვლენა მოხდება შემდეგნაირად:[88]

$$\bar{y}_1 = \frac{y_1 + y_2 + y_3}{3}; \quad \bar{y}_2 = \frac{y_2 + y_3 + y_4}{3}; \quad \bar{y}_3 = \frac{y_3 + y_4 + y_5}{3}; \; \bar{y}_{n-1} = \frac{y_{n-2} + y_{n-1} + y_n}{3};$$

პროგნოზირებისათვის დინამიკური მწკრივის დონეთა ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით მოითხოვს განვითარების საერთო ტენდენციის დადგენისათვის ემ-პირიულ დონეთა ($y_1, y_2, y_3 \ldots y_n$) მოსწორებას ისეთი თეორიული დონეების ($\hat{y}_1, \hat{y}_2, \hat{y}_3, \ldots \hat{y}_n$) გაანგარიშებით, რომლებიც ნათლად გამოავლენს მოვლენის განვითა-რების საერთო მიმართულებას.

შესასწავლი მოვლენების დინამიკური მწკრივის დონეები ხშირ შემთხვევაში დაახლოებით თანაბარი სიდიდით იცვლებიან. ასეთ შემთხვევაში ტრენდის გამოსავლენად მიზანშეწონილია საშუალო აბსოლუტური მატების კოეფიციენტის გამოყენება, რაც გულისხმობს იმას, ყოველი დონე მიიღება წინა დონისა და საშუალო აბსოლუტური მატების ჯამის საფუძველზე. საშუალო აბსოლუტური მატება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_к}{n-1}, \text{ ან } \bar{\Delta} = \frac{Y_n - Y_0}{n-1}.$$

ტრენდის გამოვლენის პროცედურა კი შემდეგია:

$$\hat{y}_1 = y_1, \; \hat{Y}_2 = Y_1 + \bar{\Delta}; \; \hat{Y}_3 = \hat{Y}_2 + \bar{\Delta} = Y_1 + 2\bar{\Delta} \text{ და ა.შ. } \hat{Y}_n = \hat{Y}_{n-1} + \bar{\Delta} = Y_1 + (n-1)\bar{\Delta}$$

სადაც, $\hat{y}_i$ არის თეორიული (მოსწორებული) დინამიკური მწკრივის i-ური დონეები;

[88] გაბიძაშვილი, ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში.თბ., 2011.გვ. 312

y_1- მოცემული ემპირიული დინამიკური მწკრივის საწყისი დონე;

i - მოცემული მწკრივის დონეების რიგითი ნომერი.

მოვლენათა სტატისტიკური პროგნოზირებისას ხშირად გამოიყენება საშუალო წლიური ზრდის ტემპი. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როდესაც მოცემული მწკრივის დონეებისათვის დამახასიათებელია პროგრესულად მზარდი ტენდენცია. საშუალოწლიური ზრდის ტემპის მიხედვით მწკრივის ექსტრაპოლაციის პროცესი იგივენაირად მიმდინარეობს, იმ განსხვავებით, რომ მწკრივის საწყისი დონე მრავ-ლდება საშუალოწლიურ ზრდის ტემპზე:

$$\hat{Y}_1 = Y_1;\ \hat{Y}_2 = Y_1 \cdot \overline{K};\ \hat{Y}_3 = \hat{Y}_2 \cdot \overline{K} = Y_1 \cdot \overline{K}^2,\ ,\ \hat{Y}_n = \hat{Y}_{n-1} \cdot \overline{K} = Y_1 \cdot \overline{K}^{(n-1)}$$

სადაც:

$\overline{K}$ არის ზრდის საშუალო ტემპის კოეფიციენტი;

y_1 – ემპირიული დინამიკური მწკრივის საწყისი დონე;

y_n- დინამიკური მწკრივის საბოლოო დონე;

n – დონეთა რიცხვი მოცემულ მწკრივში.

ზრდის საშუალო ტემპი კი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$\overline{K} = \sqrt[n]{k_1 \times k_2 \times \ldots \times k_n} \quad \text{ან} \quad \overline{K} = \sqrt[n-1]{\frac{Y_n}{Y_1}}$$

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ შემთხვევაში ზრდის საშუალო ტემპის კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია მხოლოდ საწყისი და საბოლოო დონეების მნიშვნელობებზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს დონეები დიდი გადახრებით ხასიათდებიან, მაშინ ამ მეთოდით გაანგარიშებული კოეფიციენტი გამოუსადეგარი იქნება მწკრივის მოსასწორებლად.

ამ დროს მიზანშეწონილია მოცემული დინამიკური მწკრივის ყველა დონის ჩართვა გაანგარიშებებში და ისე ზრდის საშუალო ტემპის გაანგარიშება:

$$\overline{K} = \frac{\sum_{i=1}^{n} y_i - y_1}{\sum_{i=1}^{n} y_i - y_n}$$

სადაც, y_i არის დინამიკური მწკრივის i – იური დონე (i=1,2,3,…n)

საშუალოწლიური ზრდის ტემპი შეიძლება გავიანგარიშოთ უფრო მარტივი ფორმულითაც (გელაშვილის ფორმულით), რომელსაც შემდეგი სახე აქვს:[89]

$$\overline{K} = \sqrt{\left(\frac{y_1 + y_{Me} + y_n}{3}\right) : y_1},$$

სადაც y_1 - დროითი მწკრივის საწყისი დონეა;

y_{Me} - დროითი მწკრივის მედიანური, ანუ ცენტრალური დონეა;

y_n - დროითი მწკრივის ბოლო დონეა.

დინამიკური მწკრივის მოსწორების უფრო სრულყოფილი ხერხია ანალიტიკური, საიდანაც გამოიყოფა: წრფივი, პარაბოლური, ჰიპერბოლური ან მაჩვენებლიანი ფუნქციით მოსწორება და პროგნოზირება. ზოგადად ანალიტიკური ხერხი ითვალისწინებს ემპირიული დონეებიდან მოცემული ფუნქციის საფუძველზე ისეთი თეორიული დონეების გაანგარიშებას, რომელიც ადექვატურად ასახავს მოვლენის განვითარების საერთო სურათს. მთავარი ამ ხერხის გამოყენების დროს არის მოსწორების შესაბამისი ფუნქციის შერჩევა, რაც უნდა ეფუძნებოდეს მოვლენის შინაარსსა და განვითარების თავისებურებებს.

მარტივად, განტოლებათა შერჩევის საფუძველს წარმოადგენს დინამიკური მწკრივის დონეების ცვალებადობის ხასიათი. კერძოდ, თუ დონეები იცვლება არითმეტიკული პროგრესიით ანუ თანაბრად იზრდება ან მცირდება, მაშინ გამოიყენება წრფივი ფუნქცია, ხოლო თუ გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ რომელიმე არაწრფივი ფუნქცია – პარაბოლა, ჰიპერბოლა, ან მაჩვენებლიანი ფუნქცია.

დინამიკური მწკრივის დონეების მოსწორების ანალიზური ხერხის საფუძველზე უმცირეს კვადრატთა მეთოდის საშუალებით ისეთი თეორიული დონეები გაიანგარიშება, რომელთა ემპირიული დონეებისაგან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმალური იქნება: $\sum (y - \hat{y}_t)^2 = \min$

ეკონომიკური პროცესების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირებისას ხშირად გამოიყენება წრფივი ფუნქცია, რომელსაც შემდეგი სახე აქვს: $\hat{y}_t = a_0 + a_1 t$

y დინამიკური მწკრივის მოსწორებული დონეებია, a_0 და a_1 განტოლების პარამეტრებია. ხოლო t წლების აღმნიშვნელია.

[89] გელაშვილი, ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება გვ 105

უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე მიღებულ ნორმალურ განტოლებათა სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{cases} na_0 + a_1\Sigma t = \Sigma y \\ a_0\Sigma t + a_1\Sigma t^2 = \Sigma yt \end{cases}$$

სტატისტიკაში არსებობს ამ სისტემის ამოხსნის მარტივი ხერხი, რაც ითვალისწინებს წლების ათვლას ცენტრიდან, რის შედეგადაც წრფივი ფუნქციის პარამეტრები გაიანგარიშება შემდეგი სახით:

$$a_0 = \frac{\sum y}{n}; \quad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2}$$

იმ შემთხვევაში კი როდესაც მოვლენებისა და პროცესების ცვლილება შედარებით სწრაფად მიმდინარეობს, მაშინ ტრენდის გამოვლენა შესაძლებელია განხორციელდეს პარაბოლური ფუნქციით: $\hat{y}_t = a_0 + a_1 t + a_2 t^2$

პარამეტრების განსაზღვრა ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით, რომლის შესაბამისადაც ნორმალურ განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{cases} na_0 + a_1\Sigma t + a_2\sum t^2 = \Sigma y \\ a_0\Sigma t + a_1\Sigma t^2 + a_2\sum t^3 = \Sigma yt \\ a_0\sum t^2 + a_1\sum t^3 + a_2\sum t^4 = \sum yt^2 \end{cases}$$

ამ შემთხვევაშიც თუ წლების ათვლა დაიწყება ცენტრიდან, მაშინ ნორმალურ განტოლებათა სისტემის გამარტივების შემდეგ პარამეტრების გამოსათვლელი ფორმულები მიიღებს შემდეგ სახეს:

$$a_0 = \frac{\sum y - a_2\sum t^2}{n}; \quad a_1 = \frac{\sum yt^2}{\sum t^2} \quad a_{12} = \frac{n\sum yt^2 - \sum y\sum t^2}{n\sum t^4 - \sum t^2\sum t^2}$$

იმ შემთხვევაში, როდესაც საპროგნოზო ობიექტი იცვლება გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ ტრენდის გამოვლენა ხდება მაჩვენებლიანი ფუნქციის გამოყენებით: $\hat{y}_t = a_0 a_1^t$

გამოთვლების გამარტივების მიზნით იგი დაიყვანება წრფივ ფორმამდე, რისთვისაც საჭიროა მისი გალოგარითმება, ამ შემთხვევაშიც თუ წლების ათვლა დაიწყება ცენტრიდან, მაშინ ნორმალურ განტოლებათა სისტემის გამარტივების შემდეგ პარამეტრების გამოსათვლელი ფორმულები მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\log a_0 = \frac{\sum \log y}{n}; \ \log a_1 = \frac{\sum (t \log y)}{\sum t^2};$$

ჩვენს მიერ განხილული ტრენდის გამოვლენის მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხები ამით არ ამოიწურება. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ხერხებზე, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სტატისტიკური პროგნოზირების თეორიასა და პრაქტიკაში[90]

ზოგჯერ მოვლენების სტატისტიკური პროგნოზირებისას მიზანშეწონილია მრავალფაქტორიანი მოდელების გამოყენება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ერთფაქტორიანი, ისე მრავალფაქტორიანი მოდელები არ გამორიცხავს ერთმანეთს, პირიქით, ისინი სტატისტიკური პროგნოზირების ერთიანი მეთოდოლოგიური სისტემის შემადგენელი ნაწილებია. მოვლენებისა და პროცესების დინამიკის პროგნოზირებაში, როდესაც საჭიროა მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენება, შედარებით უფრო სასურველ შედეგს იძლევა შემდეგი სახის საპროგნოზო მოდელი: $\hat{y}_t = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + \cdots + a_n x_n$

სადაც, $\hat{y}_t$ პროგნოზული მაჩვენებლებია, a_0, a_1, $a_2 \ldots a_n$ განტოლების პარამეტრებია, $x_0, x_1, x_2 \ldots x_n$ - ფაქტორებია, ხოლო t - საპროგნოზო პერიოდი.

დინამიკის მრავალფაქტორიანი პროგნოზირებისას შეიძლება გამოყენებული იქნას ასევე პარაბოლური, ხარისხოვანი და სხვა ტიპის მოდელები.

შეუძლებელია ისეთი მრავალფაქტორიანი მოდელის აგება, რომელშიც მოცემული იქნება კვლევის ობიექტის ცვლილებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი. ამიტომ ხშირად მრავალფაქტორიან მოდელში შეაქვთ დროის ფაქტორი (t),

[90] გელაშვილი, ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გვ 89

რომელიც წარმოადგენს მოდელში აღურიცხავი ყველა ფაქტორის ერთობლივი ზემოქმედების ასახვას. ასეთ მოდელს აქვს შემდეგი სახე

$$\hat{y}_t = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + \cdots + a_nt$$

t - ს ჩართვის მთავარი მიზანი არის მოდელში შესატანი ფაქტორების შემცირება. პრაქტიკაში ძალიან ხშირად საკმარისია ხოლმე ასეთი სახის მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენება:

$$\hat{y}_t = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + a_3x_3 + a_4t$$

x_1, x_2 და x_3 ისეთი ფაქტორებია, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კვლევის ობიექტის განვითარებაზე.

საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტ-იმპორტის პროგნოზირებისათვის გამოვიყენეთ ყველა ზემოთ განხილული მარტივი და ანალიზური მეთოდი, აგრეთვე კომპიუტერული პროგრამა Eview-6.

პროგნოზირების დასაწყისშივე განისაზღვრა მთავარი მიზანი- იმ მეთოდისა და მოდელის შერჩევა, რომლის მიხედვითაც გაანგარიშებული მაჩვენებლებისათვის ემპირიული დონეებისაგან გადახრების კვადრატების ჯამი იქნებოდა მინიმალური, რაც უმცირეს კვადრატთა მეთოდის მთავარ პირობას წარმოადგენს. ამოსავალ საინფორმაციო ბაზას 2000-2014 წლების ექსპორტ-იმპორტის დინამიკური მწკრივი წარმოადგენდა.

ცხრილი №14

ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (2000-2014 წ.წ.)

წლები	ექსპორტი ათასი აშშ დოლარი	იმპორტი ათასი აშშ დოლარი
2000	69 394,0	161 535,9
2001	55 961,2	214 544,9
2002	59 027,2	211 795,3
2003	77 748,2	380 372,7
2004	111 363,4	604 352,9
2005	165 160,2	627 350,4
2006	157 901.9	947 822.6
2007	268 530,3	1 538 897,3
2008	335 153,8	1 756 449,6

2009	237 546,8	1 335 506,6
2010	309 513,4	1 467 162,8
2011	424 300,2	2 057 198,9
2012	353 006,5	2 431 111,4
2013	607 891,3	2 270 720,9
2014	620 804,6	2 369 355,0

რადგან ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისას აუცილებელია ერთი და იმავე დროითი მწკრივის დონეების სხვადასხვა მეთოდებით პროგნოზირება, ამიტომ იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებისა და საიმედოობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოვახდინეთ იმპორტის დინამიკური მწკრივის მოსწორება და პროგნოზირება საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალო წლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციის საფუძველზე. შედეგად გამოვავლინეთ იმპორტისა და ექსპორტის, აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის, საექსპორტო და საიმპორტო ნაკადებში ევროკავშირის ხვედრითი წილების დინამიკური მწკრივის ტრენდი და გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებლები.

საშუალო აბსოლუტური მატებისა და საშუალო წლიური ზრდის ტემპის გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ ფორმულები:

$$\overline{\Delta} = \frac{Y_n - Y_1}{n-1} = \frac{2369355.0 - 161535.9}{14} = 157701.4 \quad \overline{K} = \frac{\sum Y - Y_1}{\sum Y - Y_n} = \frac{18374177 - 161535.9}{18374177 - 2369355.0} = 1.14$$

ანალიზური მეთოდებიდან ჩვენი შემთხვევისათვის მისაღები აღმოჩნდა წრფივი ფუნქცია. ცნობილია, რომ განტოლებათა შერჩევის საფუძველს წარმოადგენს დინამიკური მწკრივის დონეების ცვალებადობის ხასიათი. რადგან ჩვენს შემთხვევაში დონეები იცვლება არითმეტიკული პროგრესიით (ანუ თანაბრად იზ-რდება), ამიტომ შევჩერდით წრფივ ფუნქციით მოსწორების მოდელზე. გამარტივებული მეთოდით ნორმალურ განტოლება სისტემის ამოხსნის შედეგად მივიღეთ a_0 **და** a_1 **პარამეტრების მნიშვნელობები:** a_0**=1224945.1** a_1**=180032, ხოლო მათი წრფის განტოლებაში ჩასმის შედეგად - წრფივი განტოლება:** y=1224945.1+180032.3t.

საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალო წლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციის საფუძველზე გაანგარიშებული იმპორტის საპროგნოზო

მაჩვენებლები წარმოვადგინეთ ცხრილი №15-ის სახით. ამასთან, სამივე მეთოდით გამოთვლილი საპროგნოზო მაჩვენებლებიდან გავიანგარიშეთ საშუალო მნიშვნელობები:

ცხრილი №15

წლები	იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი აშშ დოლარი)			
	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული	საშულო აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული	საშუალოწლიური ზრდის ტემპით გაანგარიშებული	საშუალო პროგნოზი
2015	2665204	2527056	1122278	2104846
2016	2845236	2684758	1277092	2269029
2017	3025268	2842459	1453264	2440330
2018	3205300	3000160	1653737	2619733
2019	3385333	3157862	1881866	2808353
2020	3565365	3315563	2141463	3007464
2021	3745397	3473265	2436872	3218511
2022	3925430	3630966	2773032	3443142
2023	4105462	3788667	3155563	3683231
2024	4285494	3946369	3590864	3940909

იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკური სურათი წარმოვადგინეთ დიაგრამის სახითაც:

დიაგრამა№41



უთუოდ საინტერესოა ევროკაშირის ქვეყნებთან იმპორტის წილის ცვლილებისა და პროგნოზირების საკითხი. ამიტომ ზემოთ განხილული პროგნოზირების სამივე მეთოდით შევეცადეთ განგვესაზღვრა იმპორტში ევროკავშირის მოსალოდნელი წილის სიდიდე და გაგვეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. წრფივი ფუნქციით მოსწორებისას ნორმალურ განტოლებათა სისტემის პარამეტრები აღმოჩნდა a_0=28.4 და a_1==0.11-ის ტოლი. საშუალო აბსოლუტური მატება 0.37, ხოლო საშუალოწლიური ზრდის ტემპი 1.013 დაფიქსირდა. მათ საფუძველზე გავიანგარიშეთ ევროკაშირის ქვეყნებთან იპორტის წილის პროგნოზები, ხოლო შემდეგ საშუალო პროგნოზი.

ცხრილი №16

პროგნოზირების სამივე მეთოდით გაანგარიშებული იმპორტში ევროკავშირის წილის დინამიკა

წლები	საპროგნოზო მაჩვენებლები			
	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული	საშულო აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული	საშუალოწლიური ზრდის ტემპით გაანგარიშებული	საშუალო პროგნოზი
2015	29.3	28.4	27.7	28.46
2016	29.41	28.7	28.07	28.74
2017	29.53	29.1	28.43	29.02
2018	29.64	29.5	28.8	29.31
2019	29.75	29.9	29.18	29.6
2020	29.87	30.2	29.56	29.89
2021	29.98	30.6	29.95	30.18
2022	30.1	31	30.34	30.47
2023	30.21	31.3	30.74	30.76
2024	30.32	31.7	31.14	31.06

ვიზუალურად მოსალოდნელი ტენდენციების წარმოსადგენად გამოვიყენეთ გრაფიკული მეთოდი და ზემოთმოტანილი მონაცემები წარმოვადგინეთ დინამიკის გრაფიკით.

დიაგრამა №42

იმპორტში ევროკავშირის წილის პროგნოზი



ანალოგიურად მოვახდინეთ ექსპორტის დინამიკური მწკრივის მოსწორება და შემდეგ პროგნოზირება საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალოწლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციის საფუძველზე. ამიტომ პირველ რიგში გავიანგარიშეთ საშუალო აბსოლუტური მატება და საშუალო წლიური ზრდის ტემპი:

$$\overline{\Delta} = \frac{Y_n - Y_1}{n-1} = \frac{620804.6 - 69394.0}{14} = 39386.47 \quad \overline{K} = \frac{\sum Y - Y_1}{\sum Y - Y_n} = \frac{3853347 - 69394}{3853347 - 620804.6} = 1.171$$

შემდეგ კი წრფივი განტოლების პარამეტრების მნიშვნელობები:

a_0= **256889.82, ხოლო** a_1=**39085.04**

უმცირეს კვადრატთა მეთოდის გათვალისწინებით მოსწორებულ დონეებსა და ემპირიულ დონებს შორის განსხვავების საფუძველზე დავადგინეთ, რომ მოსწორებისათვის ყველაზე ზუსტია საშუალო აბსოლუტური მატების მეთოდი.

ექსპორტის დინამიკური მწკრივის მოსწორების შედეგად სამივე მეთოდით გაანგარიშებული პროგნოზები წარმოვადგინეთ ცხრილი 17-ს სახით. ამასთან მიღებული პროგნოზების საფუძველზე გავიანგარიშეთ პროგნოზულ მაჩვენებელთა საშუალო მნიშვნელობები, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ისინი საიმედოობის მაღალი ხარისხის შემცველნი არიან.

ცხრილი№17

წლები	ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი აშშ დოლარი)			
	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული	საშულო აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული	საშუალოწლიური ზრდის ტემპით გაანგარიშებული	საშუალო პროგნოზი
2015	569570.1	660191.1	736791.1	6555184
2016	608655.1	699577.5	862473.7	723568,7
2017	647740.2	738964	1009595	798766,3
2018	686825.2	778350.5	1181813	882329,7
2019	725910.3	817737	1383408	975685
2020	764995.3	857123.4	1619392	1080503,7
2021	804080.3	896509.9	1895629	1198739,7
2022	843165.4	935896.4	2218988	1332683,3
2023	882250.4	975282.8	2597505	1485013
2024	921335.4	1014669	3040590	1658864,7

საშუალო საპროგნოზო მაჩვენებლები ექსპორტის ზრდის ტენდენციას გვიწინასწარმეტყველებენ, მაგრამ არა იმ ტემპებით, როგორც იმპორტის.

ვიზუალურად მოსალოდნელი ტენდენციების წარმოსადგენად გამოვიყენეთ დინამიკის გრაფიკი.

დიაგრამა№43



ევროკავშირის ქვეყნების საქართველოს იმპორტში დაკავებული წილის პროგნოზის ანალოგიურად მოვასწორეთ ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილის მაჩვენებლები 2000-2014 წლებში და გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებლები 2015-2024 წლებისათვის, რომლებიც წარმოვადგინეთ ცხრილი №18-ის სახით:

ცხრილი №18

წლები	ექსპორტში ევროკავშირის წილის საპროგნოზო მაჩვენებლები			
	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული	საშულო აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული	საშუალოწლიური ზრდის ტემპით გაანგარიშებული	საშუალო პროგნოზი
2015	21.2	22.0	22.1	21.8
2016	21.8	22.1	22.2	22.0
2017	22.4	22.4	22.8	22.5
2018	22.9	22.8	23.3	23.0
2019	23.4	23.0	23.5	23.3
2020	23.8	23.1	23.7	23.5
2021	24.0	23.9	23.9	23.8
2022	24.5	2.3	24.0	23.9
2023	25.0	23.4	24.1	24.2
2024	25.3	23.9	24.4	24.5

სამივე მეთოდით დათვლილი წილების საპროგნოზო მაჩვენებლები მართალია მცირე ტემპებით, მაგრამ ასახავენ ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის წილის მოსალოდნელ ზრდას, რაც ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შეღწევის მზარდი ტემპების ხარჯზე იქნება შესაძლებელი. ამ დინამიკის ვიზუალური აღქმისათვის შედეგები გამოვსახეთ დინამიკის გრაფიკით.

დიაგრამა №44

ექსპორტში ევროკავშირის წილის საპროგნოზო მაჩვენებლები



და ბოლოს, შეგვიძლია ცხრილის სახით წარმოვადგინოთ ევროკავშირის ქვეყნებთან საგარო ვაჭრობის საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკა, რაც ადასტურებს ბრუნვის აბსოლუტურად მზარდ ტენდენციას.

ცხრილი №19

საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საპროგნოზო მაჩვენებლები

წლები	საპროგნოზო მაჩვენებლები (ათასი აშშ დოლარი)			
	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული	საშულო აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული	საშუალოწლიური ზრდის ტემპით გაანგარიშებული	საშუალო პროგნოზი
2015	3234774	3187247	1724361	2715461
2016	3453891	3384335	1971687	2936638
2017	3673008	3581423	2254488	3169640
2018	3892126	3778511	2577851	3416162
2019	4111243	3975599	2947594	3678145
2020	4330360	4172687	3370370	3957806
2021	4549478	4369774	3853784	4257679
2022	4768595	4566862	4406535	4580664
2023	4987712	4763950	5038568	4930077
2024	5206830	4961038	5761254	5309707

პროგნოზით მიღებული სტატისტიკური ტენდენციის ვიზუალური აღქმისათვის არჩევანი შევაჩერეთ დინამიკის გრაფიკზე.

დიაგრამა №45

საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საპროგნოზო მაჩვენებლები



სტატისტიკური პროგნოზირებისას მეტად მნიშვნელოვანია მიღებული პროგნოზების ხარისხის შეფასება. პროგნოზის ხარისხი მოიცავს პროგნოზის სიზუსტეს, საიმედოობას, რეგულირების შესაძლებლობას.

პროგნოზის სიზუსტის შეფასების ორი წესი არსებობს: პირველი გულისხმობს ფაქტიური და პროგნოზული მნიშვნელობების სიახლოვის ზომის დადგენას, ხოლო მეორე- სარწმუნო ინტერვალის სიდიდის შეფასებას, ჯერ კიდევ პროგნოზის შემუშავების პროცესში.[91] რადგან პროგნოზი ალბათური ხასიათისაა, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული ზომის ცდომილებებიც, ამიტომ პროგნოზის სიზუსტის განსაზღვრისათვის მიღებულია მისი მიახლოებული სიდიდის განსაზღვრა.

პროგნოზის სიზუსტის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფორმულა:

$$K = \frac{p}{p + q}$$

[91] ს.გელაშვილი ეკონომიკური პროგნოზების სტატისტიკური პროგნოზირება. თბ., 2012, გვ. 180

სადაც p არის ფაქტიურ მაჩვენებელთა მნიშვნელობების მოხვედრა პროგნოზულ ინტერვალში; ხოლო q-ფაქტიური მნიშვნელობების პროგნოზულთან არდამთხვევის რაოდენობაა.

მოცემული ფორმულა გამოიყენება ინტერვალური პროგნოზების სიზუსტის შეფასებისათვის. სხვა შემთხვევაში პროგნოზის სიზუსტის შეფასებისათვის შეიძლება გ. ტეილის განსხავების (შეუსაბამობის) კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$L = \frac{\sqrt{\sum (\hat{y} - y)^2 : n}}{\sqrt{\sum y^2 : n}} = \frac{\sqrt{\sum (\hat{y} - y)^2}}{\sqrt{\sum y^2}}$$

სადაც $\hat{y}$ და y შესაბამისად პროგნოზული და ფაქტიური მნივნელობებია.

წილადის მრიცხველი ეს არის პროგნოზის საშუალო კვადრატული შეცდომა, ხოლო მნიშვნელი-კვადრატული ფესვი ფაქტიური მაჩვენებლის საშუალო კვადრატიდან. თუ L-ის მნიშვნელობა დიდია, მაშინ პროგნოზის მნიშვნელობა არაზუსტია, ხოლო თუ მისი მნიშვნელობა ახლოსაა 0-თან, მაშინ პროგნოზი ზუსტია. იდეალურ შემთხვევაში კი L=0, რაც იშვიათად ხდება. ასეთ შემთხვევაში ყველა პროგნოზული და ფაქტიური მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, რაც მხოლოდ თეორიულად შეიძლება იყოს.[92]

პროგნოზირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავად მეთოდის შერჩევას. აღსანიშნავია, რომ ხშირად მარტივი მეთოდების გამოყენება უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე რთული მეთოდები. თუმცა პროგნოზირების სიზუსტის ხარისხი გაცილებით იზრდება, თუ პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის ერთდროულად გამოყენება ხდება. ვერიფიკაცია გულისხმობს არა მხოლოდ პროგნოსის სიზუსტისა და საიმედოობის განსაზღვრას, არამედ პროგნოზის ხარისხის კომპექსურ შეფასებასაც. დღეს სტატისტიკის პრაქტიკაში განასხვავებენ: პირდაპირ და ირიბ ვერიფიკაციას. პირდაპირი ვერიფიკაციის დროს უკვე არსებულ პროგნოზულ მაჩვენებლებთან ერთად გამოითვლება ახალი პროგნოზული

[92] ს. გელაშვილი-ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. თბ., 2012, გვ.181.

მაჩვენებლები პროგნოზირების სხვა მეთოდების გამოყენებით, ამის შემდეგ ხორციელდება მათი ურთიერთშედარება და შედარებით უფრო ზუსტი და მისაღები მაჩვენებლების დადგენა. ირიბი ვერიფიკაცია გულისხმობს მიღებული პროგნოზის შედარებას ანალოგიური ობიექტის უკვე არსებულ სხვა პროგნოზთან.[93]

ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების მიღებული პროგნოზების სიზუსტის შეფასებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ვერიფიკაციის პირდაპირი მეთოდი, რადგან ექსპორტისა და იმპორტის დროითი მწკრივის წრფივი ფუნქციით მოსწორებისა და პროგნოზირების მაჩვენებლების პარალელურად, იმავე მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდა საშუალო აბსოლუტური მატებისა და საშუალოწლიური ზრდის ტემპის საფუძველზე. ფაქტიურ და მოსწორებულ მაჩვენებელთა შედარების საფუძველზე კი არჩეულ იქნა ზუსტი და შედარებით ზუსტი მეთოდები, ამიტომ გამოთვლილი საპროგნოზო მაჩვენებლები შეიძლება ჩავთვალოთ ზუსტად და მოსალოდნელი ტენდენციები კი საიმედოდ. პროგნოზის სიზუსტის საილუსტრაციოდ გავიანგარიშეთ პროგნოზის სიზუსტის შეფასების გ. ტეილის განსხვავების (შეუსაბამობის) კოეფიციენტის მნიშვნელობები, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტისათვის, 0,22-ის, ხოლო იმპორტისათვის 0,35 ტოლი აღმოჩნდა, რაც პროგნოზების სიზუსტის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები საიმედოა და მომავალში საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალ ტემპებს უნდა ველოდოთ.

როგორც ავღნიშნეთ, ხშირად მარტივი მეთოდების გამოყენება უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე რთული მეთოდები. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ჩვენს შემთხვევაშიც, როდესაც ესპორტ-იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ ავტორეგრესიისა და მცოცავი საშუალოს მოდელი.

ე.წ. "ავტორეგრესიისა და მცოცავი საშუალოს" (ARIMA-ს ტიპის) მოდელი ტრენდული კომპონენტის დამატებით, რომელიც ნაპოვნია კომპიუტერული პროგრამა Eviews-6-ის გამოყენებით გამოისახება შემდეგნაირად:

EXPS = 309857.612448 - 60784.0442144*@TREND + 10673.9271091*(@TREND)^2

[93] ს. გელაშვილი-ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. თბ., 2012, გვ.182.

სადაც @TREND დროის ხელოვნურ ცვლადს აღნიშნავს.

ამასთან, როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,97-ის ტოლია, კოეფიციენტთა t-სტატისტიკები საკმაოდ მაღალია, დარბინისა და უოტსონის სტატისტიკა 2,2-ს უდრის, F-სტატისტიკის მნიშვნელობა კი 309-ს. აქედან გამომდინარე, მოდელი მაღალი საიმედობით ხასიათდება.

რაც შეეხება ამ მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2015-2020 წლებისათვის, ისინი ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში, სადაც ნათლად ჩანს ექსპორტის მზარდი ტენდენცია:

ცხრილი №20

წლები	ექსპორტის პროგნოზი (ათასი აშშ დოლარი)
2015	685427.8
2016	743572,9
2017	808774,3
2018	901 359,7
2019	995 780.7
2020	110 1503,9

ექსპორტში ევროკავშირის წილის პროგნოზირებისათვის გამოვიყენეთ ისევ ლოგარითმის ე.წ. ARIMA-ს ტიპის მოდელი, რომელიც ნაპოვნია კომპიუტერული პროგრამა Eviews-6-ის გამოყენებით:

LOG(ECEXP) = 2.94123807967 + [AR(1)=0.552050739425,MA(1)= 1.88510845441,INITMA=1996,ESTSMPL="1996 2014"]

სადაც AR(1) წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესულ წევრს, ხოლო MA(1) – პირველი რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია, MA(1)=u_{t-1}, სადაც u_{t-1} მოცემული განტოლების ცდომილებაა ერთი პერიოდით წინ).

ამასთან, როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,88-ის ტოლია, კოეფიციენტთა t-სტატისტიკები

საკმაოდ მაღალია (შესაბამისად 58,6, 22,9 და -4,0), დარბინისა და უოტსონის სტატისტიკა 2,0-ს უდრის, F-სტატისტიკის მნიშვნელობა კი 61,7-ს. აქედან გამომდინარე, მოდელი საკმარისად საიმედოა.

რაც შეეხება ამ მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2015-2020 წლებისათვის, ისინი ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში,

ცხრილი №21

წლები	ექსპორტში ევროკავშირის წილის პროგნოზი
2015	21,0
2016	21,7
2017	22.0
2018	22,3
2019	22,9
2020	23.0

იმპორტის პროგნოზირებისათვის გამოვიყენეთ ლოგარითმის ARIMA-ს ტიპის მოდელი ტრენდული კომპონენტის დამატებით, რომელიც ნაპოვნია კომპიუტერული პროგრამა Eviews-6-ის გამოყენებით:

LOG(IMPS) = 13.0215244643 + 0.162747893627*@TREND +
[AR(1)=0.613016767143,MA(1)=0.624324446179,BACKCAST=1996,ESTSMPL=
="1996 2014"]

სადაც @TREND დროის ხელოვნურ ცვლადს აღნიშნავს, AR(1) წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესულ წევრს, ხოლო MA(1) –პირველი რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია, MA(1)=u_{t-1}, სადაც u_{t-1} მოცემული განტოლების ცდომილებაა ერთი პერიოდით წინ).

ამასთან, როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,97-ის ტოლია, კოეფიციენტთა t-სტატისტიკები საკმაოდ მაღალია (შესაბამისად, 30,7, 4,9, 2,6 და 2,7-ის ტოლი), დარბინისა და უოტსონის სტატისტიკა 1,7-ს უდრის, F-სტატისტიკის მნიშვნელობა კი 155,8-ს. აქედან გამომდინარე, მოდელი მაღალი საიმედობით ხასიათდება.

რაც შეეხება ამ მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2015-2020 **წლებისათვის, ისინი ნაჩვენებია ცხრილში №22**

ცხრილი №22

წლები	**იმპორტის პროგნოზი (ათასი აშშ დოლარი)**
2015	**3 685 405**
2016	**3 925 839**
2017	**4 285 292**
2018	**4 207 700**
2019	**4 638 534**
2020	**5 555 235**

ევროკავშირის წილის საპროგნოზო გაანგარიშებებისათვის გამოვიყენეთ ლოგარითმის ე.წ. ARIMA-**ს ტიპის მოდელი ტრენდული კომპონენტის დამატებით, რომელიც ნაპოვნია კომპიუტერული პროგრამა** Eviews-6-**ის გამოყენებით:**

LOG(ECIMP) = 3.24409890167 + 0.00591077428617*@TREND +
[AR(5)=0.155669470422,MA(5)=-0.961247548273,BACKCAST=2000,ESTSMPL=
="2000 2014"]

სადაც AR(5) **წარმოადგენს მე-**5-**ე რიგის ავტორეგრესულ წევრს, ხოლო** MA(5), **მე-**5-**ე რიგის რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია,** $MA(1)=u_{t-5}$, **სადაც** u_{t-5} **მოცემული განტოლების ცდომილებაა ერთი პერიოდით წინ).**

ამასთან, როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,83-ის ტოლია, მე-2-ე და მე-3-ე კოეფიციენტთა t-**სტატისტიკები საკმაოდ დაბალია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს მაინცდამაინც არ უშლის ხელს, პროგნოზირების სიზუსტეს. დარბინისა და უოტსონის სტატისტიკა 2,4-ს უდრის,** F-**სტატისტიკის მნიშვნელობა კი 18-ს. აქედან გამომდინარე, მართალია მოდელი დიდი სიზუსტით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ მის ბაზაზე გარკვეული პროგნოზების გაკეთება მაინც შესაძლებელია.**

რაც შეეხება ამ მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2015-2020 **წლებისათვის, ისინი ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:**

ცხრილი№ 23

წლები	იმპორტში ევროკავშირის წილის პროგნოზი
2015	28,.3
2016	28,5
2017	28.9
2018	29.1
2019	29.4
2020	29.8

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ როგორც ექსპორტის ისე იმპორტის შემთხვევაში ტრენდის გამოვლენისა და პროგნოზირების ყველა გამოყენებული მეთოდებიდან: (საშუალო აბსოლუტური მატება და საშუალოწლიური ზრდის ტემპი, წრფივი ფუნქცია, ასევე კომპიუტერული პროგრამით ნაპოვნი "ავტორეგრესიისა და მცოცავი საშუალოს" (ARIMA-ს ტიპის) ტრენდული კომპონენტის დამატებით მიღებული მოდელი) ყველაზე საიმედო გამოვიდა და შედარებით ზუსტ მაჩვენებლები მოგვცა წრფივი ფუნქციით მოსწორების მეთოდმა, რადგან მოსწორებული დონეებისა და ემპირიულის დონეების ჯამები ერთმანეთის დაემთხვა, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადახრები დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები უფრო ზუსტია სხვა დანარჩენი მეთოდებით გაანგარიშებულ მაჩვენებლებთან შედარებით და საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. საქმე იმაშია, რომ ARIMA-ს ტიპის მოდელები სწრაფად კარგავენ პროგნოზირების უნარს, თუმცა მათი გამოყენება გამართლებულია რთული პროცესების პროგნოზირებისათვის მოკლევადიან პერსპექტივაში. ჩვენს შემთხვევაში რეგრესიის მახასიათებლებმა დაასაბუთა ამ მოდელის გამოყენების საიმედოობა.

ზემოთ განხილული მეთოდები არის პროგნოზირების პასიური მეთოდები, რომელიც ემყარება იმ დაშვებას, რომ მომავალი უნდა იყოს წარსულის მსგავსი. ასეთი პროგნოზის არადამაკმაყოფილებლობა მიუთითებს სწორედ აქტიური პროგნოზირების აუცილებლობაზე, ანუ იმაზე, რომ დაისახოს კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებები, რომელიც გარდატეხას შეიტანს არასასურველ

ტენდენციებში, რომელიც გამოავლინა პასიურმა პროგნოზირებამ. აქტიური პროგნოზირების ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებით ეფექტურად ითვლება ე.წ. სცენარების მეთოდი, რომლის არსიც სწორედ კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვაში მდგომარეობს.

საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში, ევროკავშირის ქვეყნებთან როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის შემთხვევაში უნდა ველოდოთ სისტემატურ ზრდის ტენდენციას, კერძოდ 2024 წლისათვის ესქპორტი 48,4 %-ით გადააჭარბებს 2014 წლის, ხოლო 20,4% -ით 2020 წლის დონეს, იმპორტის შემთხვევაში კი ზრდის ტემპები გაცილებით მაღალია, რადგან 2024 წელს 2014 წელთან შედარებით იმპორტი გაიზრდება 80,9%-ით, ხოლო 2020 წელთან შედარებით 20,2%-ით, ცხადია იმ შემთხვევაში თუ შენარჩუნდა 2000-2014 წლებში გამოვლენილი ტენდენცია. სწორედ ამაშია ექსტრაპოლაციის მეთოდის ძირითადი არსი, რომელიც ნიშნავს, რომ იმპორტის ზრდის მიღებული პროგნოზული შეფასებები მეტისმეტად პესიმისტურ სურათს აყალიბებს, (მისი მეტისმეტად მაღალია ზრდის ტემპების გამო). ესკი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი დარჩება. ადვილი მისახვედრია, რომ ადგილობრივ ბაზარზეც ქართული პროდუქციიის ადგილს ისევ უცხოური პროდუქცია დაიკავებს. შედეგად, მივიღებთ იმას, რომ საქართველოში სამომხმარებლო ბაზარი ისევ გაჯერებული იქნება იმპორტირებული პროდუქციით. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის პარალელურად შეინიშნება ექსპორტის ზრდის ტენდენციაც, მაინც გაცილებით დაბალია ექსპორტის ზრდის ტემპები. პროგნოზის მიხედვით იმპორტი 4,7-ჯერ გადააჭარბებს ექსპორტს. ისევ არ უნდა ველოდოთ ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტის გაზრდას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის წინაშე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევა: საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონიმიკური ზრდა, შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ოპტიმალური გეგმა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამამულო წარმოების აღორძინებას, საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, ხელი შეუწყოს ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნას, საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ცნობადობის ამაღლების და საექსპორტო ბაზრების შესახებ

მეწარმეების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, რათა არ დაუშვას ასეთი პროგნოზის რეალიზაცია.

ამ არც თუ ოპტიმისტური პროგნოზის პირობებში, იკვეთება ექსპორტსა და იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილის გაზრდის მოლოდინიც, თუ შენარჩუნდა საკვლევ პერიოდში დაკავებული წილის ცვლილების ტენდენცია. მაშინ, ევროკავშირის წილი ექსპორტში 2020-2024 წლებში 24-25%-ის დონეზე შენარჩუნდება, ხოლო იმპორტში 31%-მდე გაიზრდება. აქ გასათვალისწინებელია მსოფლიოს ქვეყნების სხვადასხვა დაჯგუფებების (სუამის, დსთ-ს წევრი ქვეყნების, ამერიკის, აზიის) საქართველოსთან საგრეო ვაჭრობის მზარდი ტენდენციები, რაც ცხადია გავლენას იქონიებს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებლებზეც. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდის პარალელურად, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების სრულად ამოქმედების შემდეგ, ევროსტანდარტების სრული დაცვის პირობებში, საქართველოში წარმოებული პროდუქცია მიმზიდველი გახდება ევროკავშირის შიდა ბაზრისათვის, რადგან ევროკავშირის ბაზარს ალტერნატივა არ გააჩნია[94] და სრულად განხორციელდება საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაცია, რისკენაც ასე მიისწრაფვის დღეს ჩვენი ქვეყანა.

3.5 „ევროპული კონვერგენტული" კრიტერიუმები და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მოსალოდნელი ტენდენციები

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ევროკავშირში გაერთიანების რეალურ გზას, ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად დაადგა საქართველო. მაგრამ ევროკავშირში გაერთიანება გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მოითხოვს, რაც ევროპული

[94] ნათია დაღელიშვილი-ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) – რეალობა თუ „პარტნიორობა ქაღალდზე?"ჟ.„ეკონომიკა და ბიზნესი,"№1 2013, გვ. 91.

კონვერგენტული კრიტერიუმების სახითაა ცნობილი. მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

1. მშპ ერთ მოსახლეზე უნდა შეადგენდეს 10-12 ათას დოლარს;
2. უმუშევრობის დონე არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.
3. ინფლაციის დონე უნდა ფიქსირდებოდეს ერთინშნა ციფრის დონეზე;
4. ქვეყნის საგარეო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს.
5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს.

ვნახოთ, აკმაყოფილებს თუ არა საქართველო ამ მოთხოვნებს და გავაანალიზოთ, როგორია საქართველოში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორის დინამიკური სურათი.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს. რომლის მოცულობა ერთ მოსახლეზე ქვეყნების რეიტინგული კლასიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანია. ეს ნიშანი დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრებისა და საერთოდ ქვეყნის განვითარების დონეს. საქართველოში 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება: (იხ. დიაგრამა №46)

დიაგრამა №46

1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა საქართველოში (აშშ დოლარი)[95]

[95] 2014 წლის მაჩვენებელი გაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით.



უნდა აღვნიშნოთ, რომ 2014 წლის მაჩვენებელი გაანგარიშებულია 2014 წლის მოსახლეობოს საყოველთაო აღერის წინასწარი მონაცემის მიხედვით. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებამ გამოიწვია ერთ სულზე მშპ-ს 20%-ით გაზარდა 2014 წლის წინასწარ მონაცემთან შედარებით. (რომელმაც 3680,8 აშშ დოლარი შეადგინა).

მართალია, საქართველოში ფიქსირდება 1 მოსახლეზე მშპ-ის სისტემატური ზრდის ტენდენცია, მაგრამ მაასტრიხტის ხელშეკრულების მთავარ ინდიკატორთან მიახლოება და პირველი კონვერგენტული კრიტერიუმის შესრულდება საქართველოში სავარაუდოთ ვერ მოხერხდება. „საქართველო 2020" –ის პროგნოზის მიხედვით 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოსალოდნელი სიდიდე 8000 აშშ დოლარია, მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით კი ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანაში მისი სიდიდეე 10-12 ათას დოლარამდე უნდა გაიზარდოს. ექსპერტთა გათვლებით ამ ნიშნულს საქართველო საგარო ვალის ზრდის გარეშე მიაღწევს 10-12 წლის შემდეგ.[96] ამის საილუსტრაციოდ ჩვენ განვსაზღვრეთ 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოსალოდნელი ტენდენციები, ამიტომ გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებლები წრფივი ფუნქციის საფუძველზე. პარამეტრების მნიშვნელობების გაანგარიშებისა და განტოლებაში ჩასმის შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის წრფის განტოლება: y=2865,9+264,4t, რომლის საფუძველზეც გავიანგარიშეთ მწკრივის საპროგნოზო დონეები და შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №24

[96] Автандил Силагадзе, Тамар Атанелишвили - Некоторые сравнительные показатели экономического развития новых ассоциированных постсоветских стран ЕС . Журн. «Социальная Экономика», №4. Тбилиси, 2014, стр. 63-64.

მშპ-ის პროგნოზი ერთ სულზე საქართველოში 2015-2020 წლებში (აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019	2020
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4982	4453	5246.5	5511	5775.5	6040

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების გათვალისწინებით მივიღეთ წრფივი განტოლება: y=2959,8+313,8t და მის საფუძველზე გაანგარიშებული დინამიკური მკრივის დონეების შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლები:

ცხრილი №25

მშპ-ის პროგნოზი ერთ სულზე საქართველოში 2015-2020 წლებში (აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019	2020
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4528.8	4842,6	5156,4	5470,2	5784.0	6097.8

წლების მიხედვით ჩაშლილი მაჩვენებლები ნათლად აჩვენებენ მაასტრიხტის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის შეუსრულებლობას.

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა უმუშევრობის დონის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში მერყეობა. ეს პრობლემა საქართველოსთვის ერთ-ერთ მტკივნეულ და მოუგვარებელ საკითხად რჩება. ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის დონე. რომელიც ბოლო მონაცემებით 12,4%-ის დონეზეა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონემ ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2009 წელს მიაღწია, როდესაც 16.9% დაფიქსირდა. თუმცა, შემდეგ ამ მაჩვენებელმა დაიწყო კლება, 2012 წელს 15.0%-მდე, ხოლო 2013 წელს 14,6%-მდე დაეცა და შემდეგ კიდევ განაგრძო კლება. დღეს ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი (დაახლოებით ორი მესამედი) თვითდასაქმებულია. ფაქტია, რომ ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების რაოდენობა ერთად შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტია.

დიაგრამა №47

უმუშევრობის დონის დინამიკა



„საქართველო 2020“-ის მიხედვით უმუშევრობის დონე 2020 წელს 12%-იან ზღვარს მიუახლოვდება, გამოდის, რომ ევროკავშირში გაწევრიანების ამ პირობასაც საქართველო სამწუხაროდ ვერ შეასრულებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა გათვალისწინებული შედეგი ვერ მოიტანა. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, ნაწილობრივ მიუღწეველი რჩება. პრობლემების დასაძლევად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია: საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება.[97] იმისათვის, რომ გაგვეანალიზებინა დეტალურად ჩაშლილი უმუშევრობის მოსალოდნელი ტენდენციის დინამიკური სურათი, გავიანგარიშეთ მისი საპროგნოზო მაჩვენებლები ისევ წრფივი ფუნქციის საფუძველზე, რომლის პარამეტრების გაანგარიშების შემდეგ მივიღეთ შემდეგი წრფივი განტოლება: y=14,8-0.15t . ამის საფუძველზე

[97]საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020” გვ.5

გავიანგარიშეთ მწკრივის საპროგნოზო დონეები და შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №26

უმუშევრობის საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოში 2015-2020 წლებში

	2015	2016	2017	2018	2019	2020
უმუშევრობის დონე პროცენტებში	13.9	13.75	13.6	13.45	13.3	13.15

მართალია მონაცემებით უმუშევრობის დონე ქვეყანაში მცირდება, მაგრამ ქვეყანა 10 პროცენტიან ზღვარს 2020 წლისათვის სავარაუდოდ ვერ მიუახლოვდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფლაციის დინამიკა. სტრატეგია 2020 წლისთვის ინფლაციის 3%-იანი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას ისახავს მიზნად. სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2%, ხოლო 2015 წლის იანვრის მაჩვენებელმა კი 1.4% შეადგინა. ინფლაციის შემცირება მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და სურსათის გაიაფებამ განაპირობა. მიზნობრივი პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 5%-იანი მიზნობრივი ნიშნულის დაბლა შენარჩუნდება 2015 წლის პირველ ნახევარში და მას წლის მეორე ნახევარში მიაღწევს.

დიაგრამა №48

სამომხმარებლი ფასების ინდექსები (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



ამრიგად მოთხოვნა, რომ ინფლაციის დონე უნდა ფიქსირდებოდეს ერთინშნა ციფრის დონეზე, რეალიზებადია.

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი პირობაა საგარეო ვალის მშპ-სთან პროცენტული თანაფარდობის დადგენილი სიდიდის შესრულება.

დიაგრამა №49

საგარეო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტშისაქართველოში 2005-2020 წლებში (პროცენტულად)



საქართელოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მთლიანი სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში 35,5 პროცენტია, ხოლო საგარეო ვალის წილი 26,8 %-ია[98]. „საქართველო 2020"-ის მიხედვით, 2020 წლისათვის საგარეო ვალის წილი მშპ-ში 40%-ს მიუახლოვდება. გამოდის რომ ამ კრიტერიუმის მიხედვით ქვეყანა დიდი ალბათობით დააკმაყოფილებს ევროკავშირში გაწევრიანების მაასტრიხტის ხელშეკრულების პირობას.

ბოლო პირობა, რაც აუცილებელია ევროკავშირში გაერთიანებისათვის, არის ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს. საქართველოში ეს მაჩვენებელი ზუსტად ამ სიდიდის ზღვარზეა, რადგან GFSM-ის მიხედვით 3.2%-ის დონეზეა, ამიტომ ამ მხრივაც წაყენებული პირობა შესრულებადია.

რადგან ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მიღწეული და მოსალოდნელი დონეა, ამის მიხედვით მოვახდინეთ ევროკავშირის ქვეყნების დაჯგუფება და გავიანგარიშეთ საქართველოსათვის საერთაშორისო დოლარში (მაჩვენებელთა შესადარისობის უზრუნველყოფის

[98] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

მიზნით) გამოსახული ერთ სულზე მშპ-ის მოცულობის საპროგნოზო მაჩვენებლები 2024 წლამდე.

მოვახდინეთ ევროკავშირის ქვეყნების დაჯგუფება 1 სულზე მშპ-ს მიხედვით თანაბარინტერვალიან ჯგუფებად. სტერჟესის ფორმულის გამოყენებით განვსაზღვრეთ გამოსაყოფი ჯგუფების რაოდენობა. მაგრამ მიღებული სიდიდის მიხედვით დაჯგუფება ლოგიკურად აზრს იყო მოკლებული, რადგანაც სრულად ვერ ხდებოდა ჯგუფების ფორმირება (პირველი და მეორე ჯგუფის გარდა არც ერთი ჯგუფი არ იქმნებოდა), ამის მიზეზი იყო „ამოვარდნილი" დონე ლუქსემბურგის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლის გამო. მისი გამორიცხვა შეუძლებელი იყო, ამიტომ მეორადი დაჯგუფების საფუძველზე, გავამსხვილეთ დაჯგუფების ინტერვალი და მივიღეთ რეიტინგული კლასიფიკაციის სამი ჯგუფი. იმისათვის, რომ მონაცემები ყოფილიყო შესადარი ისინი გაანგარიშებულ იქნა შესადარ ფასში, ამიტომ მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით (PPP) დათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გამოსახული იქნა საერთაშორისო დოლარში. მაჩვენებლები მიღებული იქნა საერთაშორისო დოლარში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის (PPP) შეფარდებით მოსახლეობის რიცხოვნობასთან.[99]

ამგვარი გადაჯგუფების შედეგად პირველ ჯგუფში მოხვდა ევროკავშირის ყველა ის ქვეყანა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულზე მერყეობს: 17115,1-42245,6 საერთაშორისო ვალუტის ფარგლებში. ამ ჯგუფში გაერთიანდა ევროკავშირის 22 ქვეყანა (ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ლატვია, უნგრეთი, პოლონეთი საბერძნეთი, პორტუგალია, ესტონეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვენია, მალტა, ესპანეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ფინეთი, ბელგია.) მეორე ჯგუფში გაერთიანდა ის ქვეყნები, რომელთა მშპ 1 სულზე შეადგენს: 42245,6-67376,1. საერთაშორისო დოლლარს. აქ შევიდნენ: დანია, შვედეთი, გერმანია, ავსტრია, ირლანდია, ნიდერლანდები და ბოლო ჯგუფში შევიდა მხოლოდ ლუქსემბურგი, რომლის მშპ ერთ სულზე 92,506.63

[99] საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ წარმოადგენს PPP-ის მონაცემების პირველად წყაროს. WEO (World Economic Outlook) მიერ დათვლილი წონები წარმოადგენს პირველად წყაროს და გამოიყენება მხოლოდ იმ მიზნით რომ შესაძლებელი იყოს ჯგუფში შემავალი ქვეყნების შესადარისობა. პირველადი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკური პროგნოზები

დოლარია. თუ გადავხედავთ დინამიკაში ქვეყნების ამ კლასიფიკაციას, ძირითადი ჯგუფები და მასში შემავალი ქვეყნების რაოდენობა შენარჩუნებულია, მხოლოდ განხორციელდა ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ გაიუმჯობესა მონაცემები გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ჩეხეთმა, ლიტვამ, ესტონეთმა, შეუმცირდათ მაჩვენებელი და უფრო უკან დაიწია საბერძნეთმა, უნგრეთმა, ლატვიამ და ა. შ.

ევროკავშირში გამოვლენილი ამ ტენდენციების ფონზე საინტერესოა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1 მოსახლეზე მაჩვენებლის დინამიკური მწკრივი და რა თქმა უნდა დეტალურად გაწერილი საპროგნოზო მაჩვენებლები. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ შესაძლებელია თუ არა საქართველოს მაჩვენებლის მიახლოება ევროკავშირში შემავალი ქვეყნების თუნდაც ყველაზე დაბალ მაჩვენებელთან.

1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივი საქართველოში (საერთაშორისო დილარში) წარმოვადგინეთ შემდეგი სახით:

2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
3753,2	4239,5	4693,10	5420,6	5671,0	5494,2	5841,2	6342,5	6812,2	7155,9	7665,6

აღნიშნული მაჩვენებლის დროითი მწკრივის ტრენდი არის ძირითადი ტენდენცია, რომელიც ყალიბდება ხანგრძლივად მოქმედი არსებითი, ანუ ძირითადი ფაქტორების ზემოქმედებით. როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, მოვლენის განვითარების საპროგნოზო გაანგარიშებანი სხვადასხვა ხერხებით შეიძლება განხორციელდეს. აქაც არჩევანი შევაჩერეთ პროგნოზირების საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალოწლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციის მეთოდებზე.

პირველ რიგში გავიანგარიშეთ საშუალო აბსოლუტური მატება და 1 სულზე მშპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპი შემდეგი ფორმულების საფუძველზე:

$$\overline{\Delta} = \frac{Y_n - Y_0}{n-1} = 391{,}2327 \quad \overline{K} = \frac{\sum Y - Y_1}{\sum Y - Y_n} = 1{,}071$$

ამის შემდეგ მოვასწორეთ ზემოთმოტანილი დროითი მწკრივის დონეები და და გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებლები მომდევნო ათი წლისათვის, შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №27

წლები	მოსწორებული დონეები საშუალო აბსოლუტური მატებით	მოსწორებული დონეები საშუალო წლიური ზრდის ტემპით	წლები	მოსწორებული დონეები საშუალო აბსოლუტური მატებით	მოსწორებული დონეები საშუალო წლიური ზრდის ტემპით
2004	3753,25	3753.24	2010	6100,64	5664,27
2005	4144,48	4019,72	2011	6491,88	6066,44
2006	4535,71	4305,13	2012	6883,11	6497,15
2007	4926,95	4610,79	2013	7274,34	6958,45
2008	5318,18	4938,16	2014	7665,574	7452,50
2009	5709,41	5288,77			

ცხრილი №28

წლები	პროგნოზი საშუალო აბსოლუტური მატებით	პროგნოზი საშუალო წლიური ზრდის ტემპით	წლები	პროგნოზი საშუალო აბსოლუტური მატებით	პროგნოზი საშუალო წლიური ზრდის ტემპით
2015	8056,81	7981.63	2020	10012,97	1129,2
2016	8448,04	8548,32	2021	10404,20	1209,4
2017	8839,27	9155,25	2022	10795,44	1295,27
2018	9230,52	9805,3	2023	11185.67	1387,23
2019	9621,74	1055,3	2024	11577,90	1485,72

ორივე მეთოდით მოსწორებული და ემპირიული დონეების მნიშვნელობების ერთმანეთის შევადარებით აღმოჩნდა, რომ მათ შორის გადახრები უმნიშვნელოა.

თუმცა უფრო მცირე განსხვავება დაფიქსირდა საშუალო აბსოლუტური მატების მეთოდით მოსწორებისას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწორების მეთოდი სწორად არის შერჩეული და მიღებული რეტროსპექტული ტრენდის საფუძველზე გაანგარიშებული პროგნოზული მაჩვენებლების საიმედოობის ხარისხი მაღალია.

დინამიკური მწკრივის მოსწორების უფრო სრულყოფილია ანალიტიკური ხერხები: პროგნოზირება წრფივი, პარაბოლური, ჰიპერბოლური ან მაჩვენებლიანი ფუნქციით. რადგან ჩვენ შემთხვევაში მწკრივის დონეები იცვლება არითმეტიკული პროგრესიით, ამიტომ პროგნოზირებისათვის გამოვიყენეთ წრფივი ფუნქცია: $y = a_0 + a_1 t$. ნორმალურ განტოლებათა სისტემიდან გაანგარიშებული პარამეტრების მნიშვნელობები იქნება:

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = \frac{63089,1}{11} = 5735,4 \quad \text{და} \quad a_1 = \frac{\sum ty}{\sum t^2} = \frac{39600}{110} = 360$$

2005-2014 წლების მიხედვით 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოსწორებისა და ნორმალურ განტოლებათა სისტემის პარამეტრების გაანგარიშებანი იხილეთ დანართში №6

საპროგნოზო მნიშვნელობები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი №29

წლები	პროგნოზი წრფივი ფუნქციით	წლები	პროგნოზი წრფივი ფუნქციით
2015	7976,089	2020	9854,185
2016	8351,705	2021	10229,802
2017	8727,321	2022	10605,418
2018	9102,953	2023	10981.034
2019	9478,67	2024	11356,651

რადგან თეორიული დონეების ემპირიული დონეებისაგან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმალურია საშუალო აბსოლუტური მატებით მოსწორებისას

(განსხვავება ემპირიული დონეების ჯამსა და მოსწორებული დონეების ჯამს შორის 285,56-ია,) და წრფივი ფუნქციით მოსწორებისას (ამ დროს მაჩვენებლები ერთმანეთს დაემთხვა., ხოლო საშუალოწლიური ზრდის ტემპების შემთხვევაში განსხვავება არის 3534,45,) შეიძლება ითქვას, რომ მოსწორებისათვის ყველაზე ზუსტია წრფივი ფუნქციის და შედარებით ზუსტი საშუალო აბსოლუტური მატების ხერხი. აქედან გამომდინარე, მათ საფუძვლზე გაანგარიშებული პროგნოზებიც უფრო საიმედო იქნება. ამასთან, თუ ამ პროგნოზულ მაჩვენებელთა საშუალო მნიშვნელობებს გავიანგარიშებთ იგი საიმედოობის ხარისხის მიხედვით უფრო მისაღები იქნება.

ცხრილი № 30

წლები	საშ. აბსოლუტური მატებით გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები	წრფივი ფუნქციით გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები	საშუალო საპროგნოზო მაჩვენებლები
2015	8056,207	7895,37	7976,089
2016	8448,039	8255,37	8351,705
2017	8839,272	8615,37	8727,321
2018	9230, 505	8975,4	9102,953
2019	9621,737	9335,4	9478,67
2020	10012,970	9695,4	9854,185
2021	10404,203	10055,4	10229,802
2022	10795,436	10415,4	10605,418
2023	11186,668	10775,4	10981.034
2024	11577,901	11135,4	11356,651

მაშასადამე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული პროგნოზები შეესაბამება 1 სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის სავარაუდო მოცულობას, თუ შენარჩუნებულ იქნა მისი ზრდის ის ტენდენცია, რასაც ამას ადგილი ჰქონდა 2004-2014 წლებში. გამოდის, რომ ამ ნიშნის მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებთან მიახლოება ცოტა შორეული პერსპექტივაა, მაგრამ ნუ განვეწყობით პესიმისტურად, რადგან მშპ-ის მოცულობის მატების ტემპები ერთ მოსახლეზე საქართველოს უფრო მაღალი აქვს ბულგარეთან და თვით

გერმანიასთან შედარებითაც. ასე მაგალითად თუ 2014 წელს ბულგარეთის აღნიშნული მაჩვენებლის მატების ტემპი წინა წელთან შედარებით 3,6%-ია, 2013წელს 2012 წელთან შედარებით 2,9%, ხოლო 2012 წელს 2011 წელთან შედარებით-3% დაფიქსირდა, საქართველოსათვის 2014 წელს 7,12%-იანი მატება აღინიშნა, (გერმანიაშიც მხოლოდ 3%-იანი მატებაა), 2013 წელს 7,1% და 2012 წელს-7,4%. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი გაქტორების გავლენით შესაძლებელია ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისა და მატების ტემპებს ველოდოთ, რაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსივობის გაძლიერებასა და საქართველო 2020-ის საპროგნოზო მაჩვენებელთან მიახლოების წინაპირობას შექმნის.

დ ა ს კ ვ ნ ა

სადისერტაციო ნაშრომში დასმული ამოცანების შესაბამისად დეტალურად არის განხილული საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ეტაპები, გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც გამოყოფილია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და დადგენილია საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სიტემების მსგავსებანი და განსხვავებანი. დასაბუთებულია საქართველოში ზოგადი სისტემის გამოყენების მიზანშეწონილობა. გამომწვევი მიზეზების ჩვენებით ჩამოყალიბებულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები და შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები მათი შესაძლო რეალიზაციისათვის, დახასიათებულია საქართველოს საგარეო ვალის სტატისტიკური სურათი და გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლები.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას ემპირიული მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან, რადგან საგარეო სავაჭრო ოპერაციების ნაწილი აღურიცხავი რჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს, კერძოდ:

- არასრულყოფილად ხდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის დაფიქსირება; საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში ძირითადად ფიქსირდება მოვაჭრე ქვეყანა და არა საქონლის წარმოშობის ქვეყანა.
- არ ხორციელდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ შევსება; საქმე ისაა, რომ 2010 წლიდან დეკლარაციების შევსებაზე დროითი შეზღუდვის დაწესების შემდეგ, აღნიშნული ველის შევსება ნებაყოფლობითი გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ საგარეო ვაჭრობის მონაცემები ტრანსპორტის ჭრილში აღარ მუშავდება.
- შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში არ ხორციელდება იმპორტირებული ავტომობილების შესახებ მიახლოებითი საბაზრო ღირებულების მითითება. ეს იწვევს გარკვეული შეუსაბამობის წარმოშობას, რადგან მომსახურების სააგენტოდან ყოველთვიურად

მიღებულ მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული, ექსპორტირებული და რეექსპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მითითებულია საქონლის მიახლოებითი საბაზრო ღირებულება.

- არასწორად ხდება იმპორტირებული ავტომობილებისათვის შესაბამისი კოდების მინიჭება; მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში ექსპორტისა და რეექსპორტის შემთხვევაში ქვეყნის კოდების სრულად მინიჭება არ ხდება. აღნიშნული ველის შევსება კი აუცილებელია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისთვის ქვეყნების ჭრილში.
- არასრულყოფილად ხდება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება ქვეყნების, 11-ნიშნა დონეზე საქონლის კოდების, ღირებულების მითითებით.
- ჯერ კიდევ პრობლემატურია საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვის საკითხი;
- აღრიცხვის თვალსაზრისით, გარკვეულ პრობლემებს ქმნის ის ფაქტიც, რომ თვის ბაზაში ზოგ დეკლარაციაში არ არის მითითებული გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა;
- მოუწესრიგებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეცდანიშნულების ტვირთის დეკლარირების საკითხი;
- გარკვეული ხარვეზები არსებობს **99050000000** **კოდით** დეკლარირებული ტვირთების აღრიცხვის სფეროში.
- პრობლემებია საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსების აგების საკითხშიც. საქმე ისაა, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაცია კლასიფიცირდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) მიხედვით, ხოლო ფასების ინდექსების გაანგარიშება ხდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE) შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კლასიფიკატორების შესაბამისი დეტალური კონვერტორის (HS-NACE) არ არსებობა ექვსნიშნა დონეზე პროდუქციის მიხედვით ინდექსების გაანგარიშების საშუალებას არ იძლევა. ამ ეტაპზე ინდექსების გაანგარიშება ხორციელდება მხოლოდ NACE–ის 4-ნიშნა ჯგუფების დონეზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ქართულ ენაზე კლასიფიკატორების შემუშავების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქსტატის ინფორმაციული ბაზის სრულყოფასთვის აუცილებელია განხორციელდეს საბაჟო დეკლარაციების სრულფასოვანი შევსება, ქვეყნების, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდების, ღირებულების მითითებით, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის სრულყოფილად დაფიქსირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეცდანიშნულების ტვირთის ზუსტად აღრიცხვის, დიპლომატიური ტვირთების აღრიცხვის სრულყოფის და სხვ. საფუძველზე, სრულყოფილ იქნეს შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზები, საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების სრულად დანერგვის მიზნით მოხდეს ბიზნეს რეგისტრისა და საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების შედარება და ურთიერთდაკავშირება, სრულყოფილ იქნას ექსპორტ-იმპორტის ფასების ინფორმაციული ბაზა, განხორციელდეს ექვს ნიშნა დონეზე პროდუქციის მიხედვით ინდექსების გაანგარიშება, რაც კლასიფიკატორების შესაბამისი დეტალური კონვერტორის (HS-NACE) არსებობას მოითხოვს.

ამ ხარვეზების მიუხედავად, საქსტატში არსებული ინფორმაციული ბაზის საფუძველზე გამოვლენილია ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები, ასევე ამ ურთიერთობების უახლოესი ტენდენციები გეოგრაფიულ და სასაქონლო სტრუქტურის ჭრილში. განსაზღვრულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხის კოეფიციენტი და სტატისტიკური გრძელვადიანი პროგნოზების საფუძველზე გამოვლენილია მოსალოდნელი ტენდენციები ევროინტეგრაციის მიმდინარე პროცესების ფონზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2008-2014 წლებში საქართველოში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 47%-ით გაიზარდა, ექსპორტი 2014 წელს 2008 წელთან შედარებით 91,4%-ით, ხოლო იმპორტი 36,0%-ით გაიზარდა, დღეს საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რჩება. ვლინდება იმპორტის მკვეთრი ზრდის ტენდენცია ექსპორტთან შედარებით.

2008-2014 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ 6,7%-ით გაიზარდა, მაგრამ ასევე გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი. მარტო 2014 წელს 2008 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის სალდო 19,3%-ით გაიზარდა, რომლის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა ამავე პერიოდში 102,9% შეადგინა. შესაბამისად, არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. თუმცა, ამავე

პერიოდში გაფართოვდა ვაჭრობის გეოგრაფია და გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, რომელმაც ბოლო მონაცემებით 145 შეადგინა. 2013 წელთან შედარებით 40-დან 43-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მაგრამ ამასთან 94-დან 102-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვიც, ვისთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ამავე პერიოდში ძირითადში არ შეცვლილა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც.

საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპითაა განპირობებული. ბოლო მონაცემებით, იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს, ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო მეტი, თითქმის 4-ჯერ მეტი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მცირდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ხვედრითი წილი მთლიან ბრუნვაში, რაც 2014 წელს 50%-ს შეადგენს, ევროკავშირის ქვეყნებთან კი ეს მაჩვენებელი 58,5%-ის დონეზე დაფიქსირდა. ექსპორტის ზრდის გამო 88 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა ექსპორტის დონის მაჩვენებელი, რომელიც 0,34-დან 0,64-მდე, მ.შ. ევროკავშირთან 0.076-დან 0,138-მდე გაიზარდა. იმპორტის დონე კი 1,44-დან 1,91-მდე და ევროკავშირთან 0,40-დან 0,52-მდე გაიზარდა.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2990 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აქედან, ექსპორტი 621 მლნ. აშშ დოლარი (20,8%) იყო, ხოლო იმპორტი 2369 მლნ. აშშ დოლარი(79.2%). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 22%და იმპორტში 28%, ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 30 პროცენტი.

2014 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა ევროკავშირის 28 ქვეყანასთან, საექსპორტო ურთიერთობები არ განხორციელდა მხოლოდ ლუქსემბურგთან. საანგარიშო წლის განმავლობაში ყველა ქვეყანასთან აღინიშნა უარყოფითი სავაჭრო სალდო 1 748 550 ათასი. აშშ დოლარით. ბრუნვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ბულგარეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, ლიტვა. რაც შეეხება იმპორტს, აქ უპირობო ლიდერია გერმანია. შემდეგ მოდის რუმინეთი, იტალია, ბულგარეთი, ნიდერლანდები და ა.შ.

ევროკავშირის ძირითადი ტოპ-ათეული საექსპორტო ქვეყნების წილი მთელ ექსპორტში 19,6%-ს შეადგენს, ევროკავშირთან ექსპორტის 90%-ს და ევროკავშირის

ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის 18,7%-ს შეადგენს (მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 4,9%).

ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს სპილენძის მადნები და კონცენტრატები, კაკალი ახალი ან გამხმარი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, ფეროშენადნობები და ა.შ. 2014 წელს საიმპორტო პროდუქციაში სჭარბობდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სამკურნალო საშუალებები, მსუბუქი ავტომობილები, ხორბალი და მესლინი, სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან და სხვ.

ძირითადი საიმპორტო ქვეყნების ათეულს ევროკაშირის ქვეყნებიდან ლიდერობს გერმანია, რომლის წილი ევროკავშირთან მთელი ექსპორტის 19,7%-ს შეადგენს, შემდეგ მოდიან რუმინეთი და იტალია, შესაბამისად 13,1% და 9,4%-იანი წილით. საერთოდ, ამ ტოპათეული ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 20,4%-ია, მათი წილი ევროკავშირთან იმპორტში 74%-ს შეადგენს, რაც მთლიანი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 15,3%, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 58,7%-ს შეადგენს.

ამრიგად, ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთ საიმედო პარტნიორად გვევლინება, რომელთანაც ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიურად ვითარდება და უფრო გაძლიერდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირების შედეგად. მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას, ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ევროკავშირის ბაზართან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას, რასაც თავისთავად მოყვება საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდა. ეს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შეუწყობს ხელს, რომლის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ყოველივე ზემოთაღნიშნული საქართველოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების ხარისხის შესაფასებლად ჩვენს მიერ სრულყოფილი იქნა გაზომვისათვის არსებული მეთოდოლოგია მაჩვენებელთა სისტემაში დამატებითი ინდიკატორის შეტანის ხარჯზე. ოეფიციენტმა, რომელიც დაახლოებით 20%-ია, აჩვენა ინტეგრაციის

დაბალი დონე, რაც იმას ნიშნავს რომ 2008-2014 წლებში საქართველომ მოახდინა თავისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ 20 %-ის რეალიზაცია.

ასეთი ვითარების ფონზე მოვახდინეთ საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების პროგნოზების გაანგარიშება, რათა გაგვესაზღვრა საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების ცვლილების მოსალოდნელი მოლოდინები და ექსპორტსა და იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილის მაჩვენებლები. პროგნოზირების მეთოდებიდან გამოვიყენეთ საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალო წლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციით მოსწორებისა და პროგნოზირების მეთოდები. როგორც გაანგარიშებებიდან გამოიკვეთა, ხშირ შემთხვევაში უფრო ზუსტი აღმოჩნდა წრფივი ფუნქცია და მის საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები კი უფრო საიმედო. საქმე იმაშია, რომ შედარებით რთული, მაგალითად, ARIMA-ს ტიპის მოდელები სწრაფად კარგავენ პროგნოზირების უნარს, თუმცა მათი გამოყენება მიზანშეწონილია რთული პროცესების პროგნოზირებისათვის მოკლევადიან პერსპექტივაში. გამოყენებული მეთოდები არის პროგნოზირების ის პასიური მეთოდები, რომელიც ემყარება იმ დაშვებას, რომ მომავალში უნდა იყოს წარსულის მსგავსი ტენდენციები. ასეთი პროგნოზის არადამაკმაყოფილებლობა მიუთითებს სწორედ აქტიური პროგნოზირების აუცილებლობაზე, ანუ იმაზე, რომ დაისახოს კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებები, რომელიც გარდატეხას შეიტანს არასასურველ ტენდენციებში, რომელიც გამოავლინა პასიურმა პროგნოზირებამ. აქტიური პროგნოზირების ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებით ეფექტურად ითვლება ე. წ. სცენარების მეთოდი, რომლის არსიც სწორედ კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვაში მდგომარეობს.

პროგნოზის მიხედვით მომავალი 10 წლის განმავლობაში, ევროკავშირის ქვეყნებთან როგორც ექსპორტის ისე იმპორტის შემთხვევაში უნდა ველოდოთ სისტემატური ზრდის ტენდენციას, კერძოდ 2024 წლისათვის ექსპორტი 48,4 %-ით გადააჭარბებს 2014 წლის დონეს. იმპორტის შემთხვევაში კი ზრდის ტემპები გაცილებით მაღალი იქნება, რადგან 2024 წელს 2014 წელთან შედარებით, იმპორტი ევროკავშირიდან (პროგნოზის მიხედვით) 80,9%-ით გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმპორტის ზრდის მიღებული პროგნოზული შეფასებები მეტისმეტად პესიმისტურ სურათს აყალიბებს (მისი მეტისმეტად მაღალი ზრდის ტემპების გამო). გამოდის, რომ საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის პარალელურად შეინიშნება

ექსპორტის ზრდის ტენდენციაც, მაინც გაცილებით დაბალია ექსპორტის ზრდის ტემპები. პროგნოზის მიხედვით იმპორტი 4,7-ჯერ გადააჭარბებს ექსპორტს. ისევ არ უნდა ველოდოთ ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტის გაზრდას. აქედან გამომდინარე, დასკვნა ასეთია: საქართველოს მთავრობის წინაშე დგას და იდგება მნიშვნელოვანი გამოწვევა: შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ოპტიმალური გეგმა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამამულო წარმოების აღორძინებას, რათა არ დაუშვას ასეთი პროგნოზის რეალიზაცია.

ამ არცთუ ოპტიმალური პროგნოზის პირობებში, იკვეთება ექსპორტსა და იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილის გაზრდის მოლოდინიც: თუ შენარჩუნდა საკვლევ პერიოდში დაკავებული წილის ცვლილების ტენდენცია, მაშინ ევროკავშირის წილი ექსპორტში საპროგნოზო პერიოდში, ანუ 2020-2024 წლებში 25%-ის დონეზე შენარჩუნდება, ხოლო იმპორტში 33%-მდე გაიზრდება. აქ გასათვალისწინებელია მსოფლიოს ქვეყნების სხვადასხვა დაჯგუფებების (სუამის, დსთ-ს წევრი ქვეყნების, ამერიკის, აზიის) საქართველოსთან საგარეო ვაჭრობის მზარდი ტენდენციები, რაც ცხადია, გავლენას იქონიებს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებლებზეც. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდის პარალელურად, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების სრულად ამოქმედების შემდეგ ევროსტანდარტების სრული დაცვის პირობებში, საქართველოში წარმოებული პროდუქცია მიმზიდველი გახდება ევროკავშირის შიდა ბაზრისათვის, გაიზრდება ექსპორტი და გაღრმავდება საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაცია, რისკენაც ასე მიისწრაფის დღეს ჩვენი ქვეყანა.

რადგან სტატისტიკური პროგნოზირებისას მეტად მნიშვნელოვანია მიღებული პროგნოზების ხარისხის შეფასება. ამიტომ მირებული პროგნოზების სიზუსტის განსაზღვრა მოვახდინეთ გ. ტეილის განსხვავების (შეუსაბამობის) კოეფიციენტის საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტისათვის, 0,22-ის, ხოლო იმპორტისათვის 0,35 ტოლი აღმოჩნდა, რაც პროგნოზების სიზუსტის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ რომ ჩვენს მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები საიმედოა.

ცნობილია, ევროკავშირში გაერთიანება გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მოითხოვს, რაც ევროპული კონვერგენტული კრიტერიუმების სახელითაა ცნობილი, ამიტომ, ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოს ამ

კრიტერიუმებთან მიახლოების მოლოდინები და განსაზღვრულ იქნა შესრულებადი რეალური ინდიკატორები.

მართალია, საქართველოში ფიქსირდება 1 სულზე მშპ-ის სისტემატური ზრდის ტენდენცია, მაგრამ მაასტრიხტის ხელშეკრულების მთავარ ინდიკატორთან მიახლოება და პირველი კონვერგენტული კრიტერიუმის შესრულდება საქართველოში სავარაუდოთ არ განხორციელდება.

საქართელოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მთლიანი სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში 35,5 პროცენტია, ხოლო საგარეო ვალის წილი 26,8 %-ია. საქართველო მთლიანი საგარეო ვალი 2013 წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და მისმა მოცულობამ 2013 წლის ბოლოს ისტორიულ მაქსიმუმს - 13,6 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 88,3%-ს მიაღწია). 2014 წელს მისი მოცულობა შემცირებულია, მაგრამ სავალუტო კურსის ცვლილების გამო, ლარში სახელმწოფო ვალის მოცულობა 2014 წელს გაზრდილია. ამავე პერიოდში სამთავრობო სექტორის საგარეო ვალმა 4250 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 4 მლნ დოლარით აღემატება. ეროვნული ბანკის მაჩვენებელი ამ პერიოდში 252 მილიონ დოლარამდე (230 მლნ ლარით) შემცირდა. სახელმწიფო სექტორის ვალი მშპ-ს 40%-ზე ნაკლები რჩება. კომერციული ბანკების ვალები გაიზარდა 200 მლნ დოლარით, სხვა სექტორების ვალები გაიზარდა დაახლოებით 100 მლნ დოლარით.

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2015 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 4 040 051 ათასი აშშ დოლარია, ხოლო მთავრობის საგარეო ვალი - 4010516 ათასი აშშ დოლარი.

„საქართველო 2020"-ის სტრატეგიის მიხედვით, 2020 წლისათვის საგარეო ვალის წილი მშპ-ში 40%-ს მიუახლოვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კრიტერიუმის მიხედვით, ქვეყანა დიდი ალბათობით დააკმაყოფილებს ევროკავშირში გაწევრიანების მაასტრიხტის ხელშეკრულების პირობას, რომლის თანახმადაც საგარეო ვალის წილი მშპ-ში არ უნდა აჭარბებდეს 60%-ს.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1 272 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით აღემატება 2013 წლის მონაცემებს. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 343 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა -

295 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა - 174 მლნ. აშშ დოლარით. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ინვესტორი ქვეყნების ათეულს ლიდერობს ნიდერლანდები (2013 წელსაც ლიდერი ნიდერლანდები იყო), საიდანაც 331,2 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მეორე და მესამე პოზიციას შესაბამისად აზერბაიჯანი - 302,1 მლნ-ით და ჩინეთი - 194,9 მლნ დოლარით იკავებენ. 2012 წელს ტოპ-ათეულს ლიდერობდა გაერთიანებული სამეფო, 2010 წელს კი აშშ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ძირითადად თბილისსა და აჭარაში განხორციელდა, ხოლო შემდეგ - კახეთსა და სამეგრელოში.

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა უმუშევრობის დონის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში მერყეობა. ეს საკითხი საქართველოსთვის ერთ-ერთ მტკივნეულ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება. ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის დონე, რომელიც ბოლო მონაცემებით, 12,4%-ის დონეზეა. მართალია ,,საქართველო 2020"-ის მიხედვით უმუშევრობის დონე 2020 წელს 12%-იან ზღვარს მიუახლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების ამ პირობას საქართველო უახლოეს წლებში სამწუხაროდ ვერ შეასრულებს.

სტრატეგია 2020 წლისათვის ინფლაციის 3%-იანი საპროგნოზო მაჩვენებლის მიღწევას ისახავს მიზნად. სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2% შეადგინა, ხოლო 2015 წლის მაისის მაჩვენებელმა კი 3,5%. მიზნობრივი პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 5%-იანი მიზნობრივი ნიშნულის დაბლა შენარჩუნდება 2015 წლის პირველ ნახევარში და მას წლის მეორე ნახევარში მიაღწევს. ამრიგად, მოთხოვნა, რომ ინფლაციის დონე უნდა ფიქსირდებოდეს ერთ-ნიშნა ციფრის დონეზე, რეალიზებადია.

ბოლო პირობა, რაც აუცილებელია, რომ შესრულდეს ევროკავშირში გაერთიანებისათვის არის ის, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს. საქართველოში ეს მაჩვენებელი ზუსტად ამ სიდიდის ზღვარზეა, რადგან GFSM-ის მიხედვით 3,2%-ის დონეზეა, ამიტომ ამ მხრივაც წაყენებული პირობა შესრულებადია.

რადგან ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს და მისი მოცულობა ერთ მოსახლეზე ქვეყნების რეიტინგული კლასიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანია, ამიტომ ის გამოვიყენეთ ევროკავშირის ქვეყნების დაჯგუფებისათვის და საქართველოსათვის 2004-2014 წლების მიხედვით

შედგენილი დროითი მწკრივის საფუძველზე გავიანგარიშეთ 1 მოსახლეზე მშპ-ის საპროგნოზო მაჩვენებლები. რადგან ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებისას აუცილებელია ერთი და იმავე დროითი მწკრივის დონეების სხვადასხვა მეთოდებით პროგნოზირება, ამიტომ მშპ-ის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებისა და საიმედოობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოვახდინეთ მშპ-ს დინამიკური მწკრივის მოსწორება და პროგნოზირება საშუალო აბსოლუტური მატების, საშუალო წლიური ზრდის ტემპისა და წრფივი ფუნქციის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც უფრო ზუსტი წრფივი ფუნქცია და უფრო საიმედო მის საფუზველზე განგარიშებული პროგნოზები აღმოჩნდა. პროგნოზის მიხედვით 1 მოსახლეზე მშპ-ის მოცულობის მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებთან მიახლოება ცოტა შორეული პერსპექტივაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთ მოსახლეზე მშპ-ის მატების ტემპები საქართველოს უფრო მაღალი აქვს ბულგარეთთან და თვით გერმანიასთან შედარებითაც, ასე მაგალითად, ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული მატების ტემპები ცხადყოფს, რომ თუ 2014 წელს ბულგარეთის აღნიშნული მაჩვენებლის მატების ტემპი 3,6%-ია, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 2,9%, ხოლო 2012 წელს 2011 წელთან შედარებით 3% დაფიქსირდა, საქართველოსათვის 2014 წელს 7,1%-იანი მატება აღინიშნა, 2013 წელს - 7,1% და 2012 წელს - 7,4%. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორების გავლენით შესაძლებელია ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისა და მატების ტემპებს ველოდოთ, რაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსივობის გაძლიერებასა და ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო სივრცეში სრულყოფილ ინტეგრაციას გამოიწვევს.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკის ორგანიზებულობის ხარისხის ამაღლებას, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხსა და საიმედოობას; ეს კი თავისთავად განაპირობებს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული რეალური ტენდენციების გამოვლენას, მის ბაზაზე კი საიმედო პროგნოზებისა და ადეკვატური დასკვნების ჩამოყალიბებას. ეს კი ნიშნავს, რომ შეიქმნება მნიშვნელოვანი წინაპირობები სწორი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ღირსეულ ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

ლიტერატურა

1. აბესაძე ო.ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტატისტიკური მახასიათებლები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბ., 2014;
2. აბესაძე ო. საქართველოს ევროინეტგრაციული პროცესების ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიაცია და სტატისტიკა." შრომების კრებული. "თბ., 2014;
3. აბესაძე ო. ევროპის ბაზარზე საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. ჟურნალი.„ახალი ეკონომისტი."თბ., 2015;
4. აბესაძე ო. საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები და მათი სრულყოფის გზები. ჟურნალი ეკონომისტი. №1, თბ., 2015;
5. აბესაძე ო. საქართველოს ევროკავშირთან საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების ადეკვატური მოდელები და საპროგნოზო გაანგარიშებანი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი: „ეკონომისტი" №1 თბ., 2015;
6. აბესაძე რ, ბურდული ვ. საერთაშორისო ბიზნესის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე მცირე ქვეყანაში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: გლობალიზაცია,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები შრომების კრებული. თბ., 2012;
7. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია .მონოგრაფია.თბ., 2015;
8. ასლამაზიშვილი ნ., საგარეო ვაჭრობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003;
9. ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა, თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, გამომცემლობა საუნჯე, თბილისი, 2009;
10. ასლამაზიშვილი ნ., უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები GEPLC, დეკემბერი, 2005;
11. ანალიტიკური კვლევა „ბიზნეს გარემო საქართველოში", საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, თბილისი, 2006;
12. ბენია მ. ევროკავშირის საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. დისერტაცია. თბ.,2015;

13. ბერუჩაშვილი თ., ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორის ევოლუცია, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2006;
14. ბერუჩაშვილი თ., ყარაულაშვილი ა., მშვიდობაძე ვ., საქართველო და ევროკავშირი, თბილისი, 2006;
15. გაბიძაშვილი ბ. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი" თბ.,2008;
16. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი" თბ.,2012;
17. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. თბ., 2012;
18. გელაშვილი ს. ზოგიერთი ანალიზური მოდელის აგება და გამოყენება ეკონომიკური პროცესების სტატისტიკურ პროგნოზირებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და სტატისტიკა", თბ., 2014;
19. გელიტაშვილი ნ. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ თბ., 2011;
20. გოგოლაშვილი კ. კაპანაძე ს. ჭყოიძე ვ. აკობია ე. გეგეშიძე ა. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, სერიიდან „ევროინტეგრაცია" თბ., 2006;
21. გრიგოლია თ. ევროკავშირის ისტორია, ევროპის პოლიტიკა და გეოგრაფიული კონტურები. თბ.,. 2011;
22. დაღელიშვილი ნ.-ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) – რეალობა თუ „პარტნიორობა ქაღალდზე?"ჟ.„ეკონომიკა და ბიზნესი,"№1 2013;
23. ევროინტეგრაციის საკითხები-ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია.თბ.,2013;
24. ევროკავშირი და საქართველო ვაჭრობის საკითხები. ევროპის დელეგაცია საქართველოში. თბ., 2012.;
25. ეთერია ე. გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონალური ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, შრომების კრებული, თბ., 2008;
26. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში „კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები." თბ., 2012;

27. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კრიტიკული შეფასება. Com (2010). ბრიუსელი 12 მაისი. 2010;
28. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები-თბ.,2009;
29. ვაშაკიძე ზ. დიასამიძე მ. ვაშაკიძე ა. საქართველოს ეკონომიკა და ეროვნული ინტერესები. ჟ. „ეკონომიკა"№10-12. თბ, 2014;
30. თოდრაძე გ. დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების ხრდის მიზეზები და მათი შემცირების გზები ბიზნეს სტატისტიკაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და სტატისტიკა". თბ.,2014;
31. კბილაძე დ, აბესაძე ნ., მეტრეველი შ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2008;
32. კბილაძე დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თბ.,2011;
33. ლიბერალური აკადემია -„ვინ ვინ არის არის ბრიუსელში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე". 2012;
34. კაკულია მ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. 8., თბ.,2010
35. კიკვაძე ტ., ბერიძე თ., ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009;
36. ზალდასტანიშვილი კ. ევროკავშირთან ვაჭრობის არსებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. ჟ. საქართველოს ეკონომიკა,თბ., 2008;
37. მარშავა ქ., სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის საკითხისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები IX ტომი, გამომცემლობა „სიახლე", თბ., 2011;
38. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი თბ., 2008;
39. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., ეკონომიკური გლობალიზაცია: გამოწვევა ოფიციალური სტატისტიკისათვის. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. სამეცნიერო შრომათა კრებული. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2008;
40. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2008;
41. მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა. თბ.,2012;

42. მესხია ი. გლობალური კრიზისი და საქარტველოს ეკონომიკა. ჟ. „სოციალური ეკონომიკა.” თბილისი, 2009, №2;
43. მუსხელიშვილი მ. საქართველო და ევროპა, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. თბ., 1995;
44. ნაწერები სერგეი მესხისა.თბ., თომი I., 1903;
45. ნიკოლაძე ნ.თხზ.ტ.IV პროფ. გამეზარდაშვილის რედ. თსუ 1964;
46. ნიკო ნიკოლაძე-150. საიუბილეო კრებული.თბ.,1966;
47. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ., საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2009;
48. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2015;
49. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. თბ., 2009;
50. პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციომირების სამართლებრივი საფუზვლები-საბაზისო აქტები და კომენტარები. თბ., 2013;
51. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2009-2012 წლებისათვის;
52. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, „საქართველო 2020”; http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirikashvili/Strategy2020.pdf
53. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ იორკი, აშშ 2004;
54. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ იორკი, აშშ 2011;
55. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.თბ, 2014;
56. საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 1993 წ მეხუთე გამოცემა.;
57. საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ თბ., 2009;
58. სეკარევი ა. ვროპული ინტეგრაციის პროცესი: მიღწევები, ხარვეზები და გამოწვევები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. თბ., 2013;
59. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის.ლექციების კურსი. ნაწილი II.თბ,. 2013;

60. ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2010;
61. ღაღანიძე გ. პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის განსაზღვრა. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №1. თბ.,2014;
62. ღაღანიძე გ. ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო სტრატეგიის ფორმირების საკითხები ევროკავშირის ბაზარზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №6. თბ.,2013;
63. ღაღანიძე გ. საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №5. თბ., 2011;
64. ღაღანიძე გ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის ალტერნატივა: დივერსიფიკაცია თუ კონცენტრაცია. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №3. თბ., 2011;
65. ქარჩავა ნ., პრივატიზაციისა და საგარეო ვაჭრობის ურთიერთკავშირის მაკროეკონომიკური ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დისერტაცია, თბილისი, 2004;
66. ყანდაშვილი თ., საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება, დისერტაცია. თბ., 2002;
67. ყორღანაშვილი ლ. გლობალიზაცია და საქართველოს ინტეგრაციული სტრატეგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და სტატისტიკა". შრომათა კრებული. თბილისი, 2014;
68. ყორღანაშვილი ლ. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გზა ევროინტეგრაციისაკენ". შრომათა კრებული. თბილისი, 2014,
69. ყორღანაშვილი, ლ. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული "საერთაშორისო ბიზნესი", თბ., 2007,
70. ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა.თბ., 2008;
71. შუბითიძე ვ. პოლიტოლოგია თბ., 2006;
72. შუბითიძე ვ., წერეთელი ნ. ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება. თბ., 2013

73. ჩავლეიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი, ჟ.ეკონომიკა და ბიზნესი, №3. 2013;
74. ძებისაური ლ., „სტატისტიკა საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2012;
75. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბ., 2012;
76. ძებისაური ლ., „საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011;
77. ძოწენოძე ც. „საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პრობლემები და პერსპექტივები.” ქუთაისი., 2014;
78. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., 2006;
79. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, PMSG, თბ., 2010;
80. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი I თბ.,2015;
81. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ნაწილი II თბ.,2015;
82. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში.თბ.,2011;
83. ხოკრიშვილი ე. აღმოსავლეთ პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი გამოწვევები, 2008;
84. ხოკრიშვილი ე. დარელიშვილი ნ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავარო სივრცე (DGFTA)ევროკავშირთან. თბ.,2013;
85. ჯავახიშვილი ივანე. თხზ. თომი II. თბ.,1983;
86. ჯამაგიძე ლ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაადგილების დეტერმინანტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, №3. 2014;
87. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი. თბილისი, ახალი საქართველო, 2010;
88. ჭყოიძე ვ. ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები,- აღმოსავლეთ პარტნიორობა-მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატი. თბ., 2009;

89. Abesadze O. The main trends of transformation of foreign trade in Georgia.. 2nd International Scientific –Practical Conference "Business Administration and Corporate Social Responsibility." Baky, 2014;

90. Abesadze O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena, 2015;

91. Abesadze N. - The Main Trends of Integration of Georgia into the World Economic System. Procedia - Social and Behavioral Sciences. Volume 156, 26 November, 2014;

92. Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and their Coordination under Advancing Globalization. – The Caucasus & Globalization. SWEDEN. Vol. 3, Issue 4, 2009;

93. Ali M. El –Agraa The European Union Economocs and Policies. Cambridje university UK. 2012;

94. Bache, I., Stephen G. „Politics in the European Union". Oxford University Press. 2006;

95. Gvelesiani R., Gogorishvili I. The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering Vol:8, No:11, 2014;

96. Gogorishvili I. Sustainable economic development and global crisis. Materials of 2nd International Symposium "Systems Thinking for a Sustainable Economy. Advancements in Economic and Managerial Theory and Practice" Rome, Italy. 2014;

97. Development and Globalization: Facts and Figures. United Nations Conference on Trade and Development. United Nations. New York and Geneva, 2008;

98. Declaration: Prague Summit-Southern Corridor-Ref: CL09-102EN, Source UE: Conceil, UN forum, Date: 8/5/2009;

99. Edwards T.H."Measuring Global and Regional Trade Integration in Terms of Concentration of Access". Review of World Economics, Vol. 143. 2007;

100. Enrico Giovannini. Understanding Economic Statistics: an OECD Perspective. OECD. 2008;

101. ECORYS და CASE- Research-"Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova" 2014;

102. Europäischer Rat von Brüssel, 2007. Schlussfolgerungen des Vorsitzes. Anlage I. - Brüssel,21./22. Juni 2007, 11177/1/07 REV 1. DE (Brüssel, 20.07.2007), S. 15 ENP;

103. EU/Georgia action plan, Europaen Commission. 2006;

104. Globerman S., “Trade, FDI And Regional Economic Integration: Cases Of North America And Europe”. Bellingham, Washington 98225, August, 2002;
105. Calvatore Dominick International Economics. 5 th Edition . Prentige Hall. Englewood Cliffs New Jersey. The USA 1995;
106. Handbook of Statistical Organization, Third Edition. The Operation and Organization of Statistical Agency. New York, 2003;
107. James W. Vogelgesang, Export Sophistication and Catching Up, Baylor University, 2010;
108. International Merchandise Trade Statistics, Compilers manual, United Nations, New York, 2004;
109. Korganashvili L.Prospects of development of foreign economic relations of Georgia in the circumstances of globalization and regional integration. IV International Congress “Caucasus and Central Asia in Globalization Process”. Baku, 2014;
110. Making data meaningful, United Nations Economic Commission for Europe, Part I, A guide to writing stories about numbers, UN, New York and Geneva, 2009;
111. Making data meaningful, United Nations Economic Commission for Europe, Part II, A guide to presenting statistics, UN, New York and Geneva, 2009;
112. Manual on Statistics of International Trade in Services. Geneva, Luxembourg, New York, Paris, Washington, 2002;
113. Willem Mole The Economocs of European Integration. Theory, Practice,Policy. Ashgate Publishing Company. England. 3th edition 1997;
114. Statistical Territories of the World for use in International Merchandise Trade Statistics, Studies in Methods Series M, No. 30, Rev. 3, , New York, 2000;
115. Sichinava A., Social and economic aspects of EU-Georgia relations under the European neighborhood policy. Journal of Social, Political and Economic Studies, Sweden, 2010;
116. Shengelia, T, Berishvili, Kh. Evaluation of the global position of Georgia and its role in the development of business. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6.1. 2014
117. Shengelia, T. Influence of role of international business on formation of international relations policy . Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 5.3/4 2013.
118. Foreign Trade Zones, Guidelines for Submitting Statistical Data, US Census Bureau. 2009;
119. Papava V., The Georgian Economy: From “Shock Therapy” to “Social Promotion”. Communist Economies & Economic Transformation, Vol. 8, No. 8, 1996;

120. Papava V., Post-War Georgia's Economic Challenges. CACI Analyst, Vol. 10, No. 23, November 26, 2008; European Commission (2005-11-10). "1972". The History of the European Union. Enlargement – Europa http://eur-lex.europa.eu/en/treaties/index.htm
121. Papava V., Reflection of Donors' Financial Aid within the Framework of Brussels Conference Decisions in the 2008 and 2009 State Budgets of Georgia. Tbilisi, "Open Society Georgia" Foundation, 2009;
122. Paul r. Krugman, Maurice Obstfeld International Economocs. Theory and Policy. R.R The USA . 1997;
123. Papachashvili N., Jamagidze, L, Import of Institutions and Economic Value Transformation: The Interactions among the Economic Agents in Georgia. http://econpapers.repec.org/paper/msmwpaper/2014_2f30.htm
124. Papachashvili N. Knowledje Economy –global challenges for economic development. http://ir.kneu.edu.ua:8080/bitstream/2010/6497/1/Papachashvili.pdf
125. Petrovic, Milenko, and Malgorzata Klatt. ,, The European Union and its post-communist neighbours: EU enlargement and the European Neighbourhood Policy." The European Union and Global Engagement: Institutions, Policies and Challenges . 2015;
126. Philip King International Economics and international Economic police: A reader. Donnelley and Sons Compay . The USA 1990;
127. Peter B.Kenen The International Economy. Third Edition. University of Cambridje.Neq York. The USA. 1994;
128. Paresashvili N.Policy Implementation of the Eastern Partnership in Georgia, Journal: ,,Public Policy and Administration", Vol.12 **№4** . 2013;
129. The Growth of the International Economy 1820-1990. Third Edition. New Yotk.1992;
130. Robert C Feenstra Alan Taylor, international Economics. Worth Publishers. New York 2008;
131. Franklin R. Root International Trade and Investment. South-Westrn Publishimg. The USA. 1993;
132. Carlo A. "Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms. Review of World Economics, Vol. 143. 2007;
133. Is the EU regional policy the source of inspiration for the countries beyond the EU? . Bulletin 4-15. 2009;

134. Аладашвили Б., Такие разные инвестиции, ежемесячный деловой журнал ,,Business Time Georgia'', , Ноябрь,2014;
135. Сичинава А., Бараташвили Е., Булия А. Социально-экономические аспекты отношений ЕС и Грузии в рамках Европейской политики соседствою. Журнал социально-политических и экономических исследований. Швеция, 2010;
136. Экономическая статистика, под.ред. Ю.Н. Иванова. М., 2006;
137. Колесов В. П., Кулаков М. В., Международная Экономика: Учебник. М.: ИНФРА – М., 2004;
138. Мишел Пебро Международные экономические, валютные и финансовые отношения, пер. С французского. М.,1994;
139. Салин В. Н., Шраковская Е. Р., Социально-экономическая статистика, М., 2004 ;
140. Силагадзе А. Атанелишвили Т. - Некоторые сравнительные показатели экономического развития новых ассоцированных постсоветских стран ЕС. Журн. Социалная Экономика.. №4. Тбилиси, 2014;
141. Хартли Т.К- Основы права Европейского сообщества, Москва-Будапешт, 1998;
142. www. geostat.ge;
143. http://www.visegrad.info/statistics.html/
144. http://www.economy.ge/ge/dcfta
145. http://www.bcng.ge/files/GSP-upload.pdf
146. http://civil.ge/geo/article.php?id=23646
147. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm
148. http://infoman.ge/geo/company/ministry_of_refugees_of_georgia
149. http://transparency.ge/nis/node/44;
150. http://www.parliament.ge/site2/index.php?lang_id=GEO&sec_id=491&info_id=6279
151. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304;
152. www.economy.ge;
153. http://www.mof.ge/4410;
154. http://www.mfa.gov.ge.
155. http://nfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=181

დანართი №1

რეექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში

(ათასი აშშ დოლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ბულგარეთი	304.1	216.0	174.6	263.9	451.6	69521.4	72,808.1
ესპანეთი	123.5	305.7	219.1	509.4	826.9	34247.7	37749.6
ბელგია	5,724.9	11957.0	1939.9	17038.8	5408.7	54010.8	32085.7
იდერლანდები	4396.4	3,161.8	4551.1	5185.7	4745.6	14005.7	21700.6
გერმანია	275.6	230.9	55.8	3256.3	3,697.3	4565.1	10484.9

ექსპორტის, იმპორტის, სალდოს, ბრუნვის დონისა და იმპორტის-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელის, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანგარიშება 2014 2008 წლის მოხედვით

1. ***2014 წლის ექსპორტის დონე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან:***

$$\overline{k} = \frac{2861}{4\ 490.5} = 0,64 \quad \overline{k}_{EU} = \frac{620,8}{4\ 490.5} = 0,138$$

2008 წლის ექსპორტის დონე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან

$$\overline{k} = \frac{1495}{4\ 382\ ,1} = 0,34 \quad \overline{k}_{EU} = \frac{335,1}{4382\ ,1} = 0,076$$

2. ***2014 წლის იმპორტის დონე, მ.შ. ევროკავშირის ქვეყნებთან:***

$$\overline{k} = \frac{8596}{4\ 490.5} = 1,91 \quad \overline{k}_{EU} = \frac{2369,4}{4\ 490.5} = 0,52$$

2008 წლის იმპორტის დონე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან

$$\overline{k} = \frac{6302}{4382,1} = 1,44 \quad \overline{k}_{EU} = \frac{1764,3}{4\ 382\ ,1} = 0,40$$

3. **სალდოს დონე, მ.შ. ევროკავშირის ქვეყნებთან:**

$$\overline{k} = \frac{-5735}{4\ 490.5} = 1,27 \quad \overline{k}_{EU} = \frac{-1748,5}{4\ 490.5} = 0,389$$

2008 წლის სალდოს დონე, მ.შ. ევროკავშირის ქვეყნებთან:

$$\overline{k} = \frac{-4806}{4382,1} = 1,10 \quad \overline{k}_{EU} = \frac{-1730,8}{4\ 382,1} = 0,39$$

4. **2014 წლის ბრუნვის დონე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან:**

$$\overline{k} = \frac{11457}{4490,5} = 2,55 \quad \overline{k}_{EU} = \frac{2990,2}{4\ 490.5} = 0,6659$$

2008 წლის ბრუნვის დონე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან:

$$\overline{k} = \frac{7797}{44382,1} = 1,78 \quad \overline{k}_{EU} = \frac{2099,4}{4\ 382,1} = 0,48$$

5. 2014 წლის იმპორტის-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან:

$$\overline{k} = \frac{8596}{2861} = 3,00 \qquad \overline{k}_{EU} = \frac{2369,4}{620,\quad ,8} = 3,82$$

2008 წლის იმპორტის-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან:

$$\overline{k} = \frac{6302}{1495} = 4,21 \qquad \overline{k}_{EU} = \frac{1764,3}{335,2} = 5,3$$

6. 2014 წლის საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლები კი შეადგენს:

$$\overline{k} = \frac{-5735}{11457}100 = 50\ \% \quad \overline{k}_{EU} = \frac{-1748,5}{2990,2}100 = 58,5\%$$

2008 წლის საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლები:

$$\overline{k} = \frac{-4805}{7797}100 = 61,6\ \% \quad \overline{k}_{EU} = \frac{-1730,8,}{2099,4}100 = 82,4\%$$

პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა საქართველოს სავაჭრო ოპერაციებში

	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	დადებითი სალდო	უარყოფითი სალდო
2000	110	87	92	31	73
2001	114	81	104	26	81
2002	125	86	111	31	84
2003	124	83	112	30	86
2004	125	80	118	19	94
2005	131	94	120	28	93
2006	132	100	120	26	97
2007	123	95	114	23	93
2008	130	94	126	21	100
2009	131	102	121	28	92
2010	138	106	128	31	96
2011	147	107	135	29	102
2012	148	114	128	47	101
2013	134	111	122	40	94
2014	145	122	129	43	102

დანართი №4

ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ბულგარეთი	108,216.7	82,290.6	66,757.2	93,689.0	69,654.7	150,753.8	164,090.2
იტალია	17,144.9	23,282.1	26,048.4	75,501.4	53,330.1	81,489.0	86,193.1
ესპანეთი	19,667.7	15,313.9	32,709.2	23,693.0	15,852.5	66,865.8	70,314.1
გერმანია	33,062.6	23,025.4	34,987.7	49,056.5	38,571.8	72,996.2	69,141.6
ბელგია	7,190.8	13,519.5	22,074.6	33,647.9	60,446.5	61,479.8	41,675.4
ლიტვა	8,763.2	9,884.8	11,256.1	18,525.5	19,030.7	21,772.3	31,764.0
ნიდერლანდები	12,652.5	9,019.6	17,833.1	17,667.0	11,746.6	22,543.9	31,168.8
საფრანგეთი	39,910.1	5,817.3	10,923.7	27,754.1	17,163.9	33,872.9	26,813.0
გაერთიანებული სამეფო	43,576.6	8,186.2	18,199.2	13,842.6	20,850.8	30,067.5	24,671.2
ჩეხეთი	4,349.9	7,093.1	8,056.5	9,428.2	9,852.8	14,587.1	14,165.3

დანართი №5

საიმპორტო ქვეყნების ტოპათეული

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
გერმანია	497,303.9	302,143.0	333,438.9	480,587.9	542,393.8	449,393.5	465,853.3
რუმინეთი	92,433.0	115,095.3	140,801.4	188,308.2	258,979.7	322,924.1	311,400.5
იტალია	183,794.8	130,067.7	136,866.8	184,838.7	271,211.4	220,707.3	221,619.0
ბულგარეთი	124,101.1	152,840.0	131,725.6	255,553.3	271,483.4	200,025.3	209,773.6
ნიდერლანდები	134,052.8	105,267.8	105,240.7	133,226.0	142,548.8	124,226.8	148,480.6
საფრანგეთი	156,125.8	233,709.4	289,581.3	269,683.1	279,078.7	-	-
საბერძნეთი	57,545.5	61,977.2	72,614.5	61,905.6	50,952.1	59,500.9	117,530.9
გაერთიანებული სამეფო	91,245.2	59,493.6	66,320.9	88,481.5	115,184.9	91,486.6	94,917.6
პოლონეთი	51,514.4	46,019.1	55,741.9	63,051.8	85,821.1	88,802.4	93,892.8
ესპანეთი	34,871.9	23,480.4	34,063.0	82,176.1	88,575.4	89,394.1	90,268.3

დანართი 6

მშპ-ის დინამიკური მწკრივის დონეების მოსწორება წრფივი ფუნქციით

	მშპ 1 სულზე (საერთაშორისო დოლარი)	t	t^2	**Yt**	$\hat{Y}$		**მშპ 1 სულზე (საერთაშორისო დოლარი)**	t	t^2	**Yt**	$\hat{Y}$
2004	3753,2	-5	25	-18766,0	3935,37	2009	5494,2	0	0	0	5735,37
2005	4239,4	-4	16	–16957,6	4295,37	2010	5841,2	1	1	5841,2	6095,37
2006	4693,1	-3	9	-14079,3	4655,37	2011	6342,5	2	4	12685,0	6455,37
2007	5420,6	-2	4	-10841,2	5015,37	2012	6812,3	3	9	20436,9	6815,37
2008	5671,0	-1	1	-5671,0	5375,37	2013	7156,0	4	16	28624,0	7175,37
						2014	7665,6	5	25	38328,0	7535,37